



წლის
ანგარიში



კომუნიკაციების
კომისია

comcom.ge

კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის მიმართვა	4
საქართველოში 5G დაინერგა	6
Starlink-ის ინტერნეტი საქართველოშია	7
თელეკომ ბაზრების კომპლექსური კვლევა	8
ფიქსირებული მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა	11
მობილური მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა	12
სათელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარებითი ანალიზი	14
ინტერნეტზე მეტი ხელმისაწვდომობისთვის სათელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სათელეკომუნიკაციო მიწებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარება	16
საქართველო ევროკავშირის რეგულირების ერთიან სივრცეში	17
ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული მხარდაჭერა მოქალაქეებისთვის	19
ცვლილებები სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში	21
დამოუკიდებელი თანამგზავრული კავშირის უზრუნველსაყოფად ახალი ორბიტალური კოორდინატი საქართველოსთვის	22
თექნოლოგიების განვითარების პერსპექტივაზე საგანმანათლებლო ლიტერატურის მხარდაჭერა	22
კარტელური გარიგების კრეცედენტი მედიასივრცეში	23
ინტერნეტ სივრცე არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის გარეშე	25
თელეკომ სექტორის განვითარების ტენდენციები	26
მაუწყებლობის სექტორის განვითარების ტენდენციები	75
სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები	85
„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ევროკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია	86
ეთერში პროდუქტის განთავსების ე.წ. Product Placement შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა	87
წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგი	88
მედიამონიტორინგის განვითარება	89
მედიაკადავია	97
მედიაკრიტიკა	
მედიასკოლა	
მედიალაბი	
საერთაშორისო კარტინორებათან თანამშრომლობა	104
ადგილობრივ კარტინორებათან თანამშრომლობა	110

დანართები

კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა	114
კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი	
მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა	
ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილებისა და აქტივების გასხვისებაზე	
რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი	
კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები	
განხილული დავები	
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება	
დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა	
სასამართლო დავები	
აუდიტის დასკვნა	



კახა ბექაშვილი

**კომუნიკაციების კომისიის
თავმჯდომარე**

მიმაჩნია, რომ 2023 წელი როგორც კომუნიკაციების კომისიის, ისე სატელეკომუნიკაციო დარგისთვის იყო გარდამტეხი და თვისებრივად გამორჩეული. გასულ წელს ComCom-მა მომხმარებლებისთვის, კომუნიკაციისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით, არაერთი პროექტი განახორციელა.

2023 წელს ტელეკომ სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ. კერძოდ: რამდენიმე წლიანი აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოში 5G ინტერნეტი დაინერგა, რითაც ქვეყანა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა ტექნოლოგიურად მოწინავე სახელმწიფოების რიგებშია; ასევე, საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, სადაც Starlink-ის მადალსიჩქარიანი თანამგზავრული ინტერნეტი გაეშვა; ევროპულ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის, კერძოდ, ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზრების კომპლექსური კვლევა თითქმის დავასრულეთ; შევისწავლეთ მომსახურების ბაზრებზე არსებული გარემო, რის საფუძველზეც, ქმედით ნაბიჯებს გადავდგამთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს, რათა ტელეკომ ბაზარი უფრო კონკურენტული

გახდეს. არაერთხელ გვითქვამს, რომ ტელეკომ სექტორში თამაშის წესები უნდა შეიცვალოს იმისთვის, რომ მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერები მოიხსნას და კონკურენცია გაიზარდოს. ჩვენი მიზანია, სრულად გავხსნათ ტელეკომ ბაზარი და ახალმა კომპანიებმა, ყოველგვარი ბარიერების გარეშე შეძლონ საქმიანობა იმისთვის, რომ საბოლოოდ, მომხმარებლებს მრავალფეროვან სერვისებზე ჰქონდეთ წვდომა.

მნიშვნელოვანი წელი იყო მაუწყებლობის დარგისთვისაც. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ხშირად ვსაუბრობთ მედიის გამომწვევებზე, რომ საქართველოში მედია პლურალისტური და მრავალფეროვანი, თუმცა ამავდროულად, მკვეთრად პოლარიზებული, პოლიტიკურად მიკერძოებული და სიძულვილის ენით გაჭერებული არის. მედიამომსახურებების მიმართულებით ქართული კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით წლების წინ დაწყებული პროცესი, 2023 წელსაც გაგრძელდა. კომუნიკაციების კომისიის მონაწილეობითა და ევროკომისიის ჩართულობით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის „აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ“ ევროპულ დირექტივასთან ჰარმონიზების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები მომზადდა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგადაც სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების საკითხები კომუნიკაციების კომისიის რეგულირებას დაექვემდებარა. ასევე, დაიხვეწა საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა კომუნიკაციების კომისიის მხრიდან რეაგირების წესებს, არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი მასალის, კერძოდ, პორნოგრაფიისა და უხამსობის შემცველი პროგრამების ან რეკლამების გადაცემის შემთხვევაში. თუმცა, მედიის გამომწვევად რჩება ყალბი ინფორმაციის გავრცელება, მანიპულაცია და პოლიტიკური მიკერძოება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად და იმისთვის, რომ მაყურებელს სწორად ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეეძლოს, აუცილებელია მაღალი მედია სტანდარტის დამკვიდრება.

მედია სტანდარტის დამკვიდრებასთან ერთად, კომუნიკაციების კომისია და მედიააკადემია წლებია ეფექტიანად ზრუნავს ქვეყანაში მედიანაწილობის განვითარებაზე. თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ მედიანაწილობის მიმართულებით ჩვენი პროექტები და მიღწეული შედეგები, საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული და ამ კუთხით ComCom-ის ინოვაციური მიდგომები ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიერ წარმატებულ მაგალითებადაა დასახელებული.

და ბოლოს, ტრადიციულად, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ კომპომელს მათი მაღალი პროფესიონალიზმისა და ღირსეულად შესრულებული სამუშაოსთვის, რის საფუძველზეც კომუნიკაციების კომისია, მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებსა და ფუნქციებს მაქსიმალურად ეფექტიანად ასრულებს. მომხმარებლების ინტერესების დაცვისა და კანონით დაკისრებული ვალდებულებების საუკეთესოდ შესრულებისთვის, გასულ წელს ComCom-მა საერთაშორისო ISO 9001:2015 სერტიფიკატი კიდევ ერთხელ მიიღო, რაც იმის დადასტურებაა, რომ კომუნიკაციების კომისია უწყვეტ რეჟიმში ცდილობს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას, ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობას და რაც მთავარია, მუდმივად ინარჩუნებს აქტიურ კომუნიკაციას მომხმარებლებთან. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თანამედროვე და უკიდურესად ცვალებად გარემოში, კომუნიკაციების კომისია არის გარანტი იმისა, რომ ერთი მხრივ, ბაზრის მოთამაშეებს ჰქონდეთ სამართლიანი, თავისუფალი და განვითარების ხელშეწყობი გარემო, ხოლო მეორე მხრივ, თითოეულ მომხმარებელს - უწყვეტი და ხარისხიანი წვდომა სატელეკომუნიკაციო სერვისებზე.

რამდენიმე წლიანი აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოში მე-5 თაობის მობილური ინტერნეტი, ე.წ. 5G გაეშვა, რითაც ქვეყანა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა ტექნოლოგიურად მონინავე სახელმწიფოების რიგებშია.

2023 წელს კომუნიკაციების კომისიამ (ComCom), ქვეყანაში ახალი თაობის ტექნოლოგიის დასაწერად, ოპერატორებისთვის აუქციონი 24 ლოტზე გამოაცხადა და აუქციონის ფარგლებში 700, 3400-3700 და 2600, ასევე, 800 და 1800 მეგაჰერცის დიაპაზონების სიხშირული ზოლები გამოიტანა.

5G-ის დასაწერად საჭირო პარამეტრები და პირობები კომუნიკაციების კომისიამ ევროკომისიის გადანყვეტილებების და ევროპელი კოლეგა მარეგულირებლების გამოცდილების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სიხშირული რესურსის საწყისი საფასური საკონსულტაციო კომპანიების ე.წ. დიდ ოთხეულში შემავალ კომპანია EY-ის ექსპერტებთან ერთად დათვალა. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისიამ გაიზიარა ევროკომისიის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, წევრ ქვეყნებს, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და მობილური ქსელების განვითარების მიზნით, უნდა მიეღოთ გადანყვეტილებები, რომლებიც 5G-სთვის განკუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ლიცენზიების დროულ გაცემას და ფინანსურ შედეგატებს უზრუნველყოფდა. კომუნიკაციების კომისიამ აუქციონის პირობები სწორედ აღნიშული რეკომენდაციების მიხედვით შეიმუშავა. ComCom-ის გადანყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურისთვის ფასდაკლების დაწესების შესაძლებლობა 5%-20%-დან 80%-მდე გაიზარდა.

კომუნიკაციების კომისიამ, 5G ინტერნეტის დასაწერად აუქციონი 4 კომბინირებულ და 20 ცალკემდგომ ლოტზე გამოაცხადა. კომუნიკაციების კომისიის გადანყვეტილებით, აუქციონში მონაწილე კომპანიებს, 5G ქსელების აგებისას, ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ტექნიკური ნორმებით უნდა ეხელმძღვანელოთ, რაც ქსელის მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აუქციონის პირობების შესაბამისად, ქსელის განვითარებასთან ერთად, კომპანიები, რომლებიც მე-5 თაობის ინტერნეტის დაწერვისთვის საჭირო სიხშირეს მოიპოვებდნენ, ვალდებულნი იქნებოდნენ, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი - MVNO საკუთარ ქსელზე დაეშვათ. კერძოდ, ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნებოდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები შესაბამის ქსელზე დაშვების მსურველ ყველა ოპერატორთან, სამართლიანი დაარადისკრიმინაციული პირობებით.



მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების კომისიამ კომპანიების მიერ აუქციონის პირობებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები, თითქმის სრულად გაითვალისწინა და კომპანიებისთვის არჩევანის უზრუნველყოფისთვის აუქციონზე ერთი ლოტი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების ვალდებულების გარეშე გამოიტანა, აუქციონში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა ლიცენზიის მაძიებელმა - „სელფი მობაილმა“ მიიღო.

თავდაპირველად, მე-5 თაობის ინტერნეტის დასაწერად საჭირო სიხშირის მოსაპოვებლად, ოპერატორებს ოთხივე კომბინირებულ ლოტზე ჰქონდათ ვალდებულება, საკუთარ ქსელზე MVNO დაეშვათ, რისთვისაც კომპანიები დამატებით ფასდაკლებას მიიღებდნენ. „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ მოთხოვნის საფუძველზე, იმისთვის, რომ ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიის დაწერვა არ შეფერხებულიყო, კომუნიკაციების კომისიამ ერთ კომბინირებულ და ორ ცალკემდგომ ლოტზე აუქციონი MVNO-ს დაშვების ვალდებულების გარეშე გამოაცხადა. თუმცა, „მაგთიკომმა“ და „სილქნეტმა“ აუქციონში მონაწილეობა არ მიიღეს.

აუქციონის შესაბამისად, „სელფი მობაილს“ 5G ინტერნეტის დასაწერად საჭირო სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიები 15 წლის ვადით მიენიჭა. „სელფი მობაილ“ ერთ კომბინირებულ და სამ ცალკემდგომ ლოტში გამარჯვებულად გამოცხადდა, რაც 700 მჰც, 3400-3700 მჰც, 2600 მჰც და 1800 მჰც სიხშირულ დიაპაზონებს მოიცავდა. აღნიშნული ლოტების საფასურმა ჯამში 4,497,045 ლარი შეადგინა. აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, „სელფი მობაილს“ საკუთარ ინფრასტრუქტურაზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების ვალდებულება გაუჩნდა, რისთვისაც კომპანიამ აუქციონის ფარგლებში, 20%-იანი ფასდაკლებით ისარგებლა. შესაბამისად, „სელფი მობაილ“ ერთადერთი ოპერატორია საქართველოში, რომელმაც 5G ინტერნეტის დასაწერად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობა მიიღო.

2023 წლის ბოლოს „სელფი მობაილმა“ 5G ინტერნეტი გუდაურსა და ბაკურიანში, ასევე თბილისში - დიდუბესა და დიდ დილოში გაუშვა.

შეგახსენებთ, რომ 5G - ეს არის ახალი თაობის უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგია, რომელიც უკვე არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდის მობილური ინტერნეტის სიჩქარეს, შეამცირებს დაყოვნებას და საკომუნიკაციო სექტორთან ერთად, სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებს, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, ინფრასტრუქტურა და სხვა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებს.



Starlink-ის ინტერნეტი საქართველოში

2023 წლის ბოლოს ილონ მასკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ Starlink-ის მაღალი სიჩქარის ინტერნეტი საქართველოში ხელმისაწვდომი. შესაბამისად, საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, სადაც Starlink-ის მაღალსიჩქარიანი თანამგზავრული ინტერნეტი გაეშვა. კომუნიკაციების კომისიამ Starlink-ს ავტორიზაცია 2022 წლის ივლისში მიანიჭა. ავტორიზაციის პირობების შესაბამისად, SpaceX-ი საქართველოში მაღალსიჩქარიან ფართობოლოვან ინტერნეტ მომსახურებას Starlink-ის თანამგზავრული სისტემებით აწვდის.



Starlink-ი მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სატელიტური ფართობოლოვანი ინტერნეტ სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალსიჩქარიან, დაბალი დაყოვნების მქონე ფართობოლოვანი ინტერნეტის მიწოდებას მთელს მსოფლიოში, მათ შორის, იმ ადგილებში, სადაც ინტერნეტ კავშირი დაბალი საიმედოობის, უხარისხო ან სრულიად მიუწვდომელია. Starlink-ი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო მაღალმთიან რეგიონებშია. Starlink-ის დანერგვის შემდეგ, ყველა ასეთ გეოგრაფიულ არეალში მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ნებისმიერი მსურველისთვის საქართველოში, უკვე შესაძლებელია.

მსოფლიოს მასშტაბით, SpaceX-ს 5000-ზე მეტი Starlink-ის დაბალ ორბიტალური თანამგზავრი ჰყავს გაშვებული.

2023 წლის ბოლო მონაცემებით, Starlink-ს საქართველოში **221** მომხმარებელი ჰყავს

ტელეკომ ბაზრების კომპლექსური კვლევა

2023 წელს კომუნიკაციების კომისიამ, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის, კერძოდ, ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზრების კომპლექსური კვლევა ჩაატარა და პირველადი შედეგები დაინტერესებულ მხარეებს სამუშაო რეჟიმში წარუდგინა.

ტელეკომ სექტორის კვლევის პირველი ეტაპის ფარგლებში, მობილური და ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებების საცალო და საბითუმო ბაზრების შესწავლა დასრულდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, რეგულირების მიზნებისთვის შეფასებას უნდა დაექვემდებაროს ისეთი საბითუმო ბაზრები, როგორცაა ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბითუმო დაშვების ბაზრის ე.წ. Bitstream სეგმენტი, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისა და ინტერნეტ ტრანზიტის ბაზრები, ასევე, მობილურ ქსელზე საბითუმო დაშვების ბაზარი. შემდგომ ეტაპზე კი, ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები და მათზე დასაკისრებელი შესაბამისი ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნას, მცირე და საშუალო ოპერატორების განვითარებასა და კონკურენციის ზრდას, რაც პოზიტიურად აისახება საბოლოო მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე.

კვლევის ფარგლებში, პირველ ეტაპზე განისაზღვრა ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებების შესაბამისი საცალო ბაზრები, რომლებიც მოიცავს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის შეთავაზებების საბაზრო სეგმენტებს. ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებების შეთავაზებების ბაზარზე განვითარების ტენდენციების, საბაზრო წილების დინამიკის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და კონკურენციის პერსპექტიული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საცალო ბაზარი არ არის საკმარისად კონკურენტული და საბითუმო სეგმენტზე წინასწარი ე.წ. Ex-ante რეგულირების გარეშე, ეფექტური კონკურენციის განვითარება არ არის მოსალოდნელი. შესაბამისად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფიქსირებული მომსახურებების სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის მისაღწევად, რაც თავის მხრივ საბოლოო მომხმარებლისთვის მაღალხარისხიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შეთავაზებების ფართო არჩევანსა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, წინასწარი რეგულირების მიზნებისთვის საჭიროა შეფასდეს ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების, ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბითუმო დაშვების - ე.წ. Bitstream-ისა და ინტერნეტ ტრანზიტის ბაზრები.



კვლევის ფარგლებში, ასევე შეფასდა მობილური მომსახურებების ხმოვანი, მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და მობილური ინტერნეტის საცალო სეგმენტები, რის მიხედვითაც საქართველოში ერთი მხრივ, მობილური მომსახურებების ბაზრის მოთამაშეების წილები უცვლელია, ხოლო მეორე მხრივ, შეთავაზებების კონკურენტული ბაზრისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და ქსელის მფლობელი ოპერატორების მხრიდან ქსელის რესურსების ეფექტური განვითარების საკმარისი მზაობა არ შეინიშნება. ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მობილური მომსახურებების საცალო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი საბითუმო ბაზრების სიღრმისეული შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, პროპორციული და ეფექტიანი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა.

კვლევის ფარგლებში, მობილურ ქსელზე საბითუმო დაშვების სეგმენტიც შეფასდა და აღნიშნულ ბაზარზე წინასწარი რეგულირების საჭიროება გამოიკვეთა.

კომუნიკაციების კომისიამ, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით, ტელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევა 2022 წელს დაიწყო, რომელიც ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარება II-ის (AA Facility II) ფარგლებში ხორციელდება. აღსანიშნავია ასევე, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში მიღებული მხარდაჭერის შესაბამისად, აღნიშნული კვლევის ყველა საკვანძო ეტაპზე ჩართულები არიან ევროკომისიის ექსპერტები. მათ მიერ, როგორც კვლევის ჩარჩოსა და შინაარსის შემუშავების ეტაპზე, ისე, ფიქსირებული და მობილური მომსახურებების საცალო და შესაბამისი საბითუმო ბაზრების კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, გაიცა რეკომენდაციები.

პროექტი მასშტაბურია, რომელიც ევროკომისიის რეკომენდაციისა და რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესების მიხედვით, წინასწარი რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლი ბაზრების ანალიზს და შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების რეგულირებადი ბაზრების შეფასებას გულისხმობს.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მოქმედი ოპერატორებიდან ორი მსხვილი კომპანიაა, რომლებიც მომხმარებელს როგორც მობილურ, ისე, ფიქსირებულ მომსახურებებს სთავაზობენ. ეს შესაძლებლობა ოპერატორებს ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობას, რადგან დიდია მათი საბაზრო წილები და ბაზარზე არსებული მცირე ოპერატორების მიერ მათთვის კონკურენციის განწევა პრობლემაა, ხოლო ბაზარზე შესვლა ახალი მსურველებისთვის, სირთულეს წარმოადგენს. აღნიშნული მიუთითებს მობილური მომსახურებებისა და ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე შესვლის სტრუქტურულ ბარიერებზე.

ასევე, ბოლო წლებში უფრო მეტად გამოიკვეთა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე საფასო პოლიტიკის არჩევანის სიმწირე, შესაბამისად გამოწვევაა, საქართველომაც აუწყოს ფეხი ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ გაჩენილ მზარდ მოთხოვნებს, როგორც მობილური ინტერნეტ მომსახურების დიდ მოცულობებზე, ისე ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების მაღალ სიჩქარეზე.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა როგორც მობილური, ისე ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებების სეგმენტების მოკვლევა. კვლევის ფარგლებში ერთი მხრივ, შეფასდა მომხმარებლებისთვის საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობა, ხოლო მეორე მხრივ, სექტორის განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები, რაც ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნით და მცირე და საშუალო ოპერატორების გაძლიერებით მიიღწევა.

ევროპის მარეგულირებელმა ორგანოებმა ბაზრის ანალიზისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისთვის ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კანონით, ასევე წინასწარ რეგულაციას დაქვემდებარებული ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურებების ბაზრების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციით და ამ ბაზრების განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესებით უნდა იხელმძღვანელონ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო სრულად უნდა დაუახლოვდეს ევროპულს, რისთვისაც აუცილებელია კომუნიკაციების კომისიამ, საცალო ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობისა და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დაშვების გაუმჯობესებისათვის, ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად დაადგინოს რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლი ბაზრები.



ევროკავშირში მოქმედი დოკუმენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, ევროკომისიის რეკომენდაციისა და რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად მომზადებული სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის საკონსულტაციო დოკუმენტის გათვალისწინებით, უკვე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განახლებული ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური წესების საფუძველზე, კომუნიკაციების კომისია ჩაატარებს მომსახურების შესაბამისი ბაზრის სეგმენტების კვლევასა და ანალიზს. სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის პარალელურად, კომუნიკაციების კომისია მუშაობს „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს დადგენილების ცვლილებაზე, რისთვისაც ჯერ კიდევ 2018 წელს ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის (Twinning) ფარგლებში შემუშავდა ცვლილებების პირველადი პროექტი, ხოლო

2019 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში, მოხდა მეთოდოლოგიური წესების განახლებული პროექტის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა განხორციელდა 2021 წელს ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამის (Twinning) შემფასებელი მისიის (Twinning Review Mission) ფარგლებში. ამასთან, 2022 წელს ევროკავშირის დახმარება ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში, ევროპელი ექსპერტების მიერ მეთოდოლოგიური წესების შემუშავებულ პროექტთან დაკავშირებით, წარმოდგენილ იქნა დამატებითი რეკომენდაციები. 2023 წელს კი დოკუმენტის პროექტის რევიზია განხორციელდა სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის AA Facility II-ს ექსპერტების მიერ. 2023 წელს შემუშავებული საბოლოო პროექტის შესახებ დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მიღება და მათი განხილვა მოხდა როგორც სამუშაო, ისე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამართული საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობისას.

კომპლექსური კვლევის მიზანია სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს ანალიზი, შესვლის ბარიერების გამოვლენა და შემდეგ უკვე, ბარიერების მოხსნის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა. 2024 წელს, უკვე ოფიციალური საჯარო წარმოების ფარგლებში, ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური წესებისა და პროცედურების მიხედვით, შეფასდება ტელეკომ მომსახურებების საცალო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო, დადგინდება შესაბამისი საბითუმო ბაზრები და მათი სიღრმისეული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის შემთხვევაში, ბაზარზე არსებული დაბრკოლებების საპასუხოდ, განისაზღვრება პროპორციული სპეციფიკური ვალდებულებები.

აღნიშნული რეგულაციის სარგებელი ორმხრივია - მცირე ზომის ან ბაზარზე ახალ შემომსვლელ კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას, განავითარონ საქმიანობა და შექმნან ალტერნატიული საკომუნიკაციო შეთავაზებები, ქსელის მფლობელ ოპერატორებს კი, მეტად გაუჩნდებათ სტიმული აითვისონ საკუთარი ქსელის შესაძლებლობები, რითაც დამატებით შემოსავალს მიიღებენ. საბოლოოდ, სარგებელი აისახება მომხმარებელზე, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება მრავალფეროვანი სატელეკომუნიკაციო მომსახურებები.

პროექტის ფარგლებში, შედეგებისა და საჭიროებიდან გამომდინარე, გამოვლინდებიან სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები და განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, რაც ერთი მხრივ, მრავალფეროვან სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას განაპირობებს, ხოლო მეორე მხრივ, მცირე ზომის კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას, განავითარონ საქმიანობა და მომხმარებელს ალტერნატიული საკომუნიკაციო სერვისები შესთავაზონ.

2024 წელს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური წესები დადგენილებით განისაზღვრება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკომისიის შესაბამის წესებსა და რეკომენდაციებთან და რომელსაც სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევა დაეყრდნობა.

ფიქსირებული მომსახურების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა

ტელეკომ ბაზრების კომპლექსური კვლევის ფარგლებში, ფიქსირებული მომსახურებების ბაზრის შესწავლა მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგაც, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები გამოვლინდებიან და მარეგულირებელი ჩარჩო განისაზღვრება, რაც ფიქსირებული მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნასა და კონკურენციის გაზრდას უზრუნველყოფს.

ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზრის („Bitstream“) სეგმენტის რეგულირება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელზე იმ მცირე და საშუალო ოპერატორების დაშვებას გულისხმობს, რომლებიც აბონენტებს საცალო მომსახურებას სთავაზობენ.

რეგულაციის ფარგლებში განისაზღვრება პირობები, რომლითაც დაშვების მაძიებელი ოპერატორები შეძლებენ გამოიყენონ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელის ცენტრალური ან ადგილობრივი დაშვების წერტილიდან აბონენტის სახლამდე მიყვანილი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ აბონენტს მომსახურება მიანოდონ. აღნიშნული ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს

შედარებით მცირე ზომის ოპერატორებს შევიდნენ ბაზარზე და განვითარდნენ, შექმნან ალტერნატიული შეთავაზებები ფართოზოლოვანი ინტერნეტის ფიქსირებულ სეგმენტზე, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელს აძლევს არჩევანის და ალტერნატიული სერვისების მიღების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ მომსახურებების მრავალფეროვნებას და ხელმისაწვდომობას განაპირობებს. მომხმარებელი შეძლებს მიიღოს ალტერნატიული ოპერატორის მომსახურება უკვე მასთან არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ხოლო ქსელის მფლობელი ოპერატორები დამატებით საბითუმო შემოსავალს მიიღებენ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების რეგულირებადი ბაზრების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით, ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ე.წ. ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზრის - „Bitstream“-ის საბითუმო მომსახურების სეგმენტი, რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლი ბაზარია. „Bitstream“ დაშვება ამჟამად ევროპის არაერთ ქვეყანაში, მათ შორის: ბელგიაში, გერმანიაში, ხორვატიაში, იტალიაში, ესპანეთში, ნორვეგიასა და დანიაში, რეგულირდება.

2024 წლის გეგმა

ტელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია ფიქსირებული მომსახურებების ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს გამოავლენს, საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მარეგულირებელ ჩარჩოს, რაც მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის ბარიერების მოხსნას და კონკურენციის ზრდას უზრუნველყოფს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება ქვეყანაში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის განვითარებასა და მომხმარებლებისთვის საკომუნიკაციო სერვისების არჩევანის შესაძლებლობის შექმნაზე.



მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა

მობილური მომსახურებების ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და ახალი კომპანიებისთვის შესვლის ბარიერების მოხსნის საკითხზე, კომუნიკაციების კომისია უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. შესაბამისად, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, კომუნიკაციების კომისიამ 2019-2022 წლებში არაერთი ნაბიჯი გადადგა.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ კიდევ ერთხელ იმსჯელა სავალდებულო წინასწარი ე.წ. Ex-ante რეგულირების რეჟიმის ამოქმედების საჭიროებაზე და ბაზარზე MVNO-ს დაშვებისთვის არსებული გარემო და მიმდინარე პროცესები შეაფასა.

ბაზრის სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით, მობილური მომსახურებების ბაზარზე, კონკურენციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, სავალდებულო წინასწარი რეგულირების რეჟიმის შემოღების პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა - ბაზრის მოთამაშეების საბაზრო წილების გადანაწილება დინამიკაში თითქმის იგივეა და არც შეთავაზებების პირობების გაუმჯობესებაა გამოკვეთილი.

გამომდინარე იქედან, რომ კომუნიკაციების კომისია, ევროპულ ექსპერტებთან ერთად, ტელეკომ ბაზრის კომპლექსურ კვლევას ახორციელებს, კომუნიკაციების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დასრულებული კვლევის შედეგებით ეხელმძღვანელა და მობილური ოპერატორებისთვის მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის სავალდებულო დაშვების შესახებ რეგულაციის ამოქმედების ვადა 1 წლით - 2024 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა.

კომუნიკაციების კომისიამ, ჯერ კიდევ 2019 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს - „მაგთიკომს“, „სილქნეტსა“ და „სელფი მობაილს“ MVNO-ს ქსელთან დაშვების ვალდებულება დაკისრებოდათ. თუმცა, მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმართვის შესაძლებლობისთვის, კომუნიკაციების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაკვირვებოდა პროცესს და ქსელის მფლობელ ოპერატორებს, MVNO-სთვის შეთავაზების გამოქვეყნების საბოლოო ვადად 2023 წლის 30 ივნისი განუსაზღვრა.



მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალურმა ოპერატორმა „ეკლექტიკმა“, ბრენდული სახელწოდებით „ჰალო“, პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო და მომხმარებელს მობილურ მომსახურებას აწვდის, კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციით, სხვა კომპანიებმა, რომლებიც დაშვების სურვილს გამოხატავენ, მოქმედი მობილური ოპერატორების ქსელზე დაშვების შესაძლებლობა ვერ მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის მიერ გამართული 5G აუქციონის ფარგლებში, „სელფი მობაილზე“ გაცემული სიხშირული რესურსისთვის განისაზღვრა MVNO-ს დაშვების ვალდებულებები, რაც იძლევა მოლოდინის საფუძველს, რომ ოპერატორი ითანამშრომლებს დაშვების მსურველ კომპანიებთან და ორმხრივად საინტერესო ეკონომიკური მოდელის პირობებით, ქსელზე დაშვება მოხდება.

კომუნიკაციების კომისიამ არაერთხელ განმარტა, რომ მობილური მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან აღნიშნული ხელს უწყობს საცალო მომსახურების ბაზარზე როგორც კონკურენტული გარემოსა და ხელმისაწვდომი მომსახურებების შექმნას, ისე ინოვაციური სერვისების დანერგვას.

MVNO არის მობილური მომსახურების მიმწოდებელი ისეთი ოპერატორი, რომელსაც არ აქვს საკუთარი ქსელი ან ინფრასტრუქტურა და მობილური მომსახურებების მიწოდებას ახორციელებს უკვე არსებული ოპერატორის ქსელის მეშვეობით. არსებობს ვირტუალური დაშვების სხვადასხვა მოდელი და მათი სხვადასხვაგვარი პირობითი კატეგორიზაცია, რომლებსაც ქსელის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებულ ქსელურ ელემენტებთან დაშვება განსაზღვრავს. თუმცა, ძირითადად გამოყოფენ მსუბუქ, საშუალო და სრულ MVNO-ებს. ვირტუალურ ოპერატორებს არ აქვთ ქსელის მშენებლობასა და მის ოპერირებასთან დაკავშირებული ის დიდი კაპიტალური დანახარჯები, რომელიც, როგორც წესი, არსებითი დაბრკოლებაა მობილური მომსახურებების მიწოდების საქმიანობის დასაწყებად. შესაბამისად, ოპერატორის ქსელზე დაშვებულ კომპანიებს ეძლევათ საშუალება თავიანთი რესურსები მიმართონ სერვისების განვითარებისკენ და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადონ ხარისხსა და ინოვაციაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი, თანამედროვე და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული ნიშური სერვისები.

ტექნოლოგიური წინსვლისა და შემდეგი თაობის ქსელების ე.წ. NGA, 5G ტექნოლოგიის განვითარების კვალდაკვალ, იზრდება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების როლი, რომლებიც ინოვაციური, ნიშური სერვისების განვითარებით, სხვადასხვა სფეროში ციფრული ეკონომიკის განვითარებასა და გაციფრულების პროცესების დაჩქარებას უწყობს ხელს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში MVNO-ს დაშვება კომერციული პირობებით განხორციელდა და მარეგულირებელი მექანიზმების გამოყენება არ გახდა

საჭირო, თუმცა გარკვეულ ქვეყნებში, მათ შორის ჩრდილოეთ მაკედონიაში, კვიპროსსა და ესპანეთში, აღნიშნული ბაზრის განვითარებისთვის წინასწარი რეგულირება გახდა საჭირო, ნორვეგიაში კი რეგულაცია დღესაც მოქმედებს. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ, მათ შორის: ჩეხეთმა, ხორვატიაში, საფრანგეთმა და საბერძნეთმა, რეგულირება და სავალდებულო დაშვების პირობები სალიცენზიო ვალდებულებებით განსაზღვრა.

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში 2000-მდე აქტიური მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი არსებობს, ხოლო 300-ზე მეტი სერვისების გაშვებას გეგმავს.

MVNO ბაზარი 81.7 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული და პროგნოზირებენ, რომ 2030 წლისთვის 135 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.



კომუნიკაციების კომისიაში მიმდინარე კომპლექსური კვლევის ფარგლებში, ევროკომისიის მიერ დადგენილი ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს მობილური მომსახურებების საცალო და საბითუმო სეგმენტებზე დაშვების ბაზრის რეგულირების საჭიროება.

კვლევის ფარგლებში შეფასდება ბაზარზე არსებული კონკურენცია და შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით, კანონმდებლობის გათვალისწინებით, დადგინდება შესაბამისი რეგულირებადი ბაზრები, განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები და მათზე დასაკისრებელი სპეციფიური ვალდებულებები. კვლევის მიზანია, მობილური მომსახურების ბაზრებზე შესვლის ბარიერების მოხსნა და კონკურენციის ხელშემწყობი მექანიზმების დადგენა. აღნიშნული, ერთი მხრივ, მრავალფეროვან სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას განაპირობებს, ხოლო მეორე მხრივ, მცირე ზომის კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას, განავითარონ საქმიანობა და შექმნან ალტერნატიული საკომუნიკაციო შეთავაზებები. ქსელის მფლობელი ოპერატორები კი მეტად აითვისებენ საკუთარი ქსელის შესაძლებლობებს, რითაც დამატებით შემოსავალს მიიღებენ.

კომუნიკაციების კომისია, მობილური მომსახურების დაშვების ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, სწორედ ტელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიიღებს.

სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარებითი ანალიზი

„ვიდრე საქართველოში შენარჩუნდება მაღალსიჩქარიანი და მაღალი მოცულობის ინტერნეტის მაღალი ფასები, მომხმარებლები კვლავ იძულებული იქნებიან აირჩიონ დაბალსიჩქარიანი და დაბალი მოცულობის მომსახურებები ან გადაიხადონ მნიშვნელოვნად მაღალი, პრემიუმ ფასები და ასე მიიღონ მაღალი სიჩქარე და მოცულობა“



- ეს არის ამონარიდი ე.წ. ბენჩმარკინგის კვლევის დასკვნიდან, რომელიც კომუნიკაციების კომისიის დაკვეთით 2023 წელს ჩატარდა. საქართველოში ტელეკომ მომსახურებების ფასების კვლევა მიზნად ისახავდა ქვეყანაში ტელეკომ მომსახურების ფასების შედარებას ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, კერძოდ, რამდენად ხელსაყრელია მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურებების და ფიქსირებული ინტერნეტ სერვისების ფასები ცალ-ცალკე და სხვა ტელეკომ მომსახურებებთან კომბინაციაში.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დაბალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებები, როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ ბაზარზე, კვლევაში შემავალი ქვეყნების ფასების თითქმის ანალოგიური, ან უფრო იაფია, ხოლო, რაც შეეხება მაღალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებების ფასებს - ევროპული ქვეყნების საშუალოს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

კვლევის მიხედვით, მაღალი მოცულობის და სიჩქარის მომსახურებებზე მაღალი ფასები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემურია, ვინაიდან 2022 წლის მონაცემებით, მობილური ინტერნეტის მოხმარება მკვეთრად მზარდია და საშუალოდ 12 გბ-ს აღწევს. (2023 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი უკვე 14 გბ-ია). ციფრულ ეპოქაში ინტერნეტის მოხმარების ტრენდი მიმართულია მზარდი სიჩქარის და მოცულობის მოხმარებისკენ, რაც 5G ინტერნეტის დანერგვასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება. ანალოგიური მდგომარეობაა ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებებზე, ვინაიდან მომხმარებლების მიერ ონლაინ გატარებული დრო და სხვადასხვა მომსახურებების ონლაინ მიღებაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ მომსახურებების როლი აბონენტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კერძოდ: საქართველოში მობილურ მომსახურებებზე ფიზიკური პირი აბონენტებისთვის დაბალი მოცულობის პაკეტები, მაგალითად როგორცაა 5 გბ და ულიმიტო წუთები - ევროპულთან შედარებით 1%-ით ძვირია, 5 გბ ინტერნეტი და 577 წუთის ფასი კი 23%-ით მეტი; საქართველოში მაღალი მოცულობის პაკეტებზე ფასები უფრო მაღალია, კერძოდ, 10 გბ ინტერნეტი და 1795 წუთის ღირებულება, ევროპის 24 ქვეყნის საშუალო ფასთან შედარებით, 35%-ით უფრო ძვირია, ხოლო 20 გბ ინტერნეტი და ულიმიტო წუთები - ევროპის 24 ქვეყნის საშუალო ფასთან შედარებით, 36%-ით უფრო ძვირია.

რაც შეეხება იურდიულ პირ აბონენტებს, მათთვის 10 გბ ინტერნეტი და 1795 წუთი 1%-ით უფრო მაღალია, ვიდრე კვლევაში შემავალ ქვეყნებში არსებული ანალოგიური პაკეტების საშუალო ფასი. ხოლო 5 გბ ინტერნეტი და 577 წუთი საქართველოში 32%-ით უფრო იაფია. 20 გბ ინტერნეტისა და ულიმიტო წუთების ფასი კი 36%-ით უფრო მეტია, ვიდრე ევროპის ქვეყნების საშუალო ფასი ანალოგიურ პაკეტებზე.


100 მბ/წმ



ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კი მდგომარეობა ასეთია: ფიზიკური პირი აბონენტებისთვის, ოპტიკური ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე მოხმარებადი - 25 მბ/წმ-იანი ინტერნეტ პაკეტის ფასი, ევროპის ქვეყნების ანალოგიური მომსახურებების საშუალო ფასზე თბილისში 5%-ით, ხოლო რეგიონებში - 17%-ით იაფია. მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ინტერნეტზე კი საქართველოში ფასები, ევროპულთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია. კერძოდ, 100 მბ/წმ-იანი ინტერნეტ პაკეტის ფასი ევროპის ქვეყნების ანალოგიური მომსახურებების საშუალო ფასზე 136%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში ოჯახების საშუალოდ 55% - 100 მბ/წმ-იანი ან უფრო მაღალი ინტერნეტ სიჩქარით სარგებლობს, მათგან 19 ქვეყანაში ოჯახების 40%-ზე მეტი აღნიშნული სიჩქარის ინტერნეტს იყენებს, საქართველოში კი აბონენტების მხოლოდ 1%-ს - 4 ათას აბონენტს აქვს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი.

რაც შეეხება იურიდიულ პირ აბონენტებს, მათთვის ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურება უფრო ძვირია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, იურიდიული პირებისთვის 10 მბ/წმ-იანი ოპტიკური ინტერნეტის ფასი, საქართველოში ევროპის 23 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 189%-ით მაღალია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მაღალი მოცულობის ოპტიკური ინტერნეტი, სტანდარტულ იურიდიულ შეთავაზებებში ხელმისაწვდომი საერთოდ არ არის.

კომბინირებული შეთავაზებების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნახევარ მილიონზე მეტი თბილისისა და რეგიონებში მცხოვრები ოჯახისთვის, ინტერნეტისა და ტელევიზიის პაკეტებიდან ყველაზე იაფი პაკეტების ღირებულება, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, რასაც რეგიონების შემთხვევაში, ოპერატორების მიერ შეთავაზებული სააქციო ფასები განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, კომბინირებულ შეთავაზებებში აბონენტებისთვის ტელევიზიის 20 არხისა და ოპტიკური 25 მბ/წმ-იანი სიჩქარის ინტერნეტ პაკეტის ღირებულება, ევროპის 24 ქვეყანასთან შედარებით, საქართველოს რეგიონებში 43%-ით, ხოლო თბილისში 24%-ით უფრო ნაკლებია. ტელევიზიის 30 არხისა და 100 მბ/წმ-იანი მაღალი სიჩქარის ოპტიკური ინტერნეტ პაკეტი კი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს რეგიონებში 35%-ით, ხოლო თბილისში 30%-ით ძვირია.



კვლევა ბრიტანულმა კვლევითმა ორგანიზაციამ - Strategy Analytics-მა (Teligen, TechInsights) საერთაშორისოდ აღიარებული და აპრობირებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ არის შემუშავებული. საქართველოს მონაცემები ევროკავშირის წევრი 22 ქვეყნისა და დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებლებთანაა შედარებული. მეთოდოლოგიის მიხედვით, ევროპის ქვეყნებთან შესადარებლად, გამოყენებულია ორი მსხვილი ოპერატორის, „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ მომსახურებების ფასები, ვინაიდან აღნიშნული კომპანიები საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის 70%-ზე მეტს ფლობენ და მომხმარებელს როგორც ფიქსირებულ, ისე მობილურ ინტერნეტს სთავაზობენ. კვლევაში გამოყენებული მონაცემები, 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, საქართველოში არსებული შეთავაზებებიდან, ყველაზე დაბალ ფასიანს ასახავს. ფასები მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის (PPP) შესაბამისად არის დაანგარიშებული და წარმოდგენილია აშშ დოლარში.

2024 წლის გეგმა

ფასების შედარებით ანალიზში გამოკვეთილი შედეგების გასაუმჯობესებლად და იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ, კომუნიკაციების კომისია, სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის დასრულების შემდეგ, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნითა და ალტერნატიული შეთავაზებების გაჩენით კონკურენციის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მარეგულირებელი მექანიზმები მიმართული იქნება იქითკენ, რომ ქართველმა მომხმარებელმა, ევროპელი მომხმარებლების მსგავსად, მაღალი მოცულობისა და სიჩქარის მომსახურებებით სარგებლობა ხელმისაწვდომ ფასად შეძლონ.

ინფრასტრუქტურის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარება

სატელეკომუნიკაციო მომსახურებები და ციფრული სერვისები ქვეყნის განვითარებასა და მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ტელეკომ მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ქსელურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების დიდი კაპიტალტევადობის გამო, მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის ჩართულობით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანი, საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიჩქარიანი, ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისთვის, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობების უზრუნველყოფაა.


კანონის აღსრულება ხელს შეუწყობს ტელეკომ ოპერატორებს, ეფექტიანად განავითარონ თავიანთი ქსელი, კერძოდ, ქსელის ასაშენებლად გამოიყენონ უკვე არსებული ელექტროენერჯის, გარეგანათების, თბომომარაგების, ტრანსპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურა.

აღნიშნული ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარებას - ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოებას, საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობის ზრდას, ციფრული სერვისების განვითარებას, რაც საბოლოოდ დარგის განვითარებაზე აისახება.

კანონს საფუძვლად უდევს ევროკავშირის 2014/61/EU დირექტივა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაზიარების გზით, ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას ემსახურება, რაც ტელეკომ ოპერატორებს შორის კონკურენციის გაზრდას გამოიწვევს და საბოლოოდ პოზიტიურად აისახება მომხმარებელზე, რომლისთვისაც გარანტირებული იქნება ინტერნეტზე მეთი ხელმისაწვდომობა და არჩევანის თავისუფლება.

კანონით დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად, მისი მოქმედება ვრცელდება ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, რომელშიც შედის როგორც სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ისე ის არსებული ინფრასტრუქტურა, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, თუმცა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფართობოლოვანი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

კანონი, აგრეთვე, მოიცავს საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების კოორდინაციას, რაც გულისხმობს ნაწილობრივ ან სრულად სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაპროექტებისა და განხორციელების პროცესში ავტორიზებული პირების ინფორმირებას, სურვილის შემთხვევაში განახორციელონ თავიანთი ფართობოლოვანი ქსელის განვითარებისა და მშენებლობის სამუშაოები სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სამუშაოებთან კოორდინირებულად. კანონის მოქმედება აგრეთვე, ვრცელდება ახალაშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი ან/და მრავალფუნქციური შენობების შიდა ინფრასტრუქტურაზე. ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის, დაგეგმილი და მიმდინარე საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის ეფექტური გაცვლის მიზნით, კანონი ითვალისწინებს კომუნიკაციების კომისიის მიერ ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის (Single Information Point) შექმნას, სადაც ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მსგავსი ტიპის სამუშაოებთან დაკავშირებული ნებართვებისა და თანხმობების მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ.



კანონი, აგრეთვე, ითვალისწინებს სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საკითხთან დაკავშირებით ავტორიზებულ პირებსა და ინფრასტრუქტურის ოპერატორებს შორის დავის განხილვის ქმედით მექანიზმს და კანონით

გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას. კანონის თანახმად, დავებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს კომუნიკაციების კომისია.

2024 წლის გეგმა

საქართველოს კანონით „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“, კომუნიკაციების კომისიას სამართლებრივი აქტების შემუშავება და შესაბამისი აქტივობების გატარება დაევალა, რომლის შემდეგაც კანონის დებულებები სრულად ამოქმედდება. კომუნიკაციების კომისია, დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ტელეკომ ოპერატორებთან, ენერჯეტიკის სექტორის ოპერატორებთან, შესაბამისი დარგის მარეგულირებელ ორგანოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებაზე მუშაობს. ნორმატიული აქტები, ასევე, ინფრასტრუქტურის ოპერატორსა და ავტორიზებულ პირს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის განსაზღვრას ითვალისწინებს.

ფასების გაანგარიშების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ელექტროენერჯის, გარეგანათების, თბომომარაგების, წყლის, ტრანსპორტისა და სხვა დანიშნულებით გამოყენებულ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საფასურის გაანგარიშების გამჭვირვალობას, რაც აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას გაზრდის.

საქართველო ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცეში

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების მიზნით, ეკონომიკური გავლენის ანალიზი ჩაატარა.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ როუმინგის ერთიან სივრცესთან მიერთებით, ქართველი აბონენტების მიერ მობილური მომსახურებების მისაღებად გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება. ამასთან ერთად, როგორც დიდ, ისე მცირე და საშუალო ბიზნესებს მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლონ ინოვაციური საკომუნიკაციო პროდუქტებით და გააფართოვონ მათ მიერ შექმნილი ციფრული პროდუქტების მოხმარების არეალი. მიერთება, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს ციფრული ბაზრის განვითარებას, ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან ჰარმონიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს.

როუმინგის ერთიანი ევროპული სივრცის მომსახურებები „Roam Like at Home“-ის (RLAH) სახელით მოიხსენება, რაც ევროკავშირის ქვეყნების აბონენტებს აძლევს შესაძლებლობას, ამ ქვეყნებში გამოიყენონ თავიანთი მობილური მომსახურებები როუმინგის დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, ან ისარგებლონ მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფებით. RLAH ევროკომისიის მიერ ჯერ კიდევ 2013 წელს დაინიჭრდა, ხოლო 2014 წელს, ხმათა დიდი უმრავლესობით, დამტკიცდა ევროპარლამენტის მიერ. ტარიფების ეტაპობრივად შემცირების პროცესის გავლის შემდეგ, 2017 წლიდან ევროპის კავშირისა და აღმოსავლეთ ალიანსის ქვეყნებისთვის RLAH სრულად ამოქმედდა და მომხმარებლებისთვის როუმინგის ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის სარგებელი სრულყოფილად გახდა ხელმისაწვდომი.



2022 წელს, საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების შესახებ საკითხი დააინიცირა. აღნიშნული საქართველოსა და ევროკავშირის შორის როუმინგის ერთიანი სივრცის შექმნას გულისხმობს, რაც საქართველოს მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ევროკავშირში მოგზაურობისას ისარგებლონ როუმინგის ადგილობრივი ტარიფებით, მათ შორის ხმოვან, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსა და ინტერნეტ მომსახურებაზე.

ევროკავშირის როუმინგულ სივრცესთან მისაერთებლად, როუმინგთან დაკავშირებული საქართველოს სამართლებრივი ბაზა და მარეგულირებელი ნორმები, სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანების (BEREC) კანონმდებლობას და რეგულაციებს.

კომუნიკაციების კომისიამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით, ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების მიზნით, დაიწყო პროექტი, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი თუ ეკონომიკური საფუძვლების მომზადებას ემსახურება.

2024 წლის გეგმა

ევროკავშირისა და საქართველოს სამართლებრივი გარემოს დაახლოების საჭიროებების შესწავლის შემდეგ, ექსპერტები შემდგომი ნაბიჯების შესახებ რეკომენდაციებს წარადგენენ. კომუნიკაციების კომისიისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სპეციალისტების ჩართულობით, მომზადდება პირველადი და მეორადი კანონპროექტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტაციის, პირველადი და მეორადი კანონპროექტების, სამართლებრივ რევიზიას ევროკავშირის ინიციატივის EU4Digital Initiative-ის საქართველოს მხარდაჭერის მიზნით დაქირავებული ევროპელი ექსპერტები განახორციელებენ. EU4Digital Initiative არის ევროკავშირის წამყვანი რეგიონალური პროგრამა, რომელიც ერთობლივი პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ნევრი (EaP) ქვეყნების ციფრული ტრანსფორმაციისა და ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის პროცესს მხარს უჭერს. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემდეგ, კომუნიკაციების კომისიისთვის მეორადი კანონმდებლობის მიღების ვადები განისაზღვრება.



ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული მხარდაჭერა მოქალაქეებისთვის

2023 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის „Log-in Georgia“-ს ფარგლებში, რომელიც 2020 წლიდან, მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კომპანია „ოუფენ ნეტმა“, კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით, ოპტიკური ქსელის მშენებლობა ტყიბული-ამბროლაური-ონი, ჩოხატაური-სამტრედია და ქობულეთი-ხელვაჩაურის ტერიტორიებზე დაასრულა. აღნიშნული ქსელი 425 კმ-იან ინფრასტრუქტურას მოიცავს, რომელიც დამატებით 58,000 მოსახლისთვის და ასევე, კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას უზრუნველყოფს.

2023 წელს სამშენებლო სამუშაოები დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ზუგდიდი-ხობის მიმართულებაზეც, რომელიც მოიცავს 270 კმ-იან ინფრასტრუქტურას, 48 დასახლებულ პუნქტს და 26,500 მოსახლეს.

მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურებით, ოპტიკური ქსელის მშენებლობის მიზნით, გამოცხადდა ახალი ტენდერები აბაშა-სენაკის, წყალტუბო-ვარციხე-ხონის, წიათურა-საჩხერესა და ასევე, ზესტაფონი-ხარაგაულის ტერიტორიებზე და მიმდინარეობს საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები.

2023 წელს აქტიურად მიმდინარეობდა პროექტის მეორე კომპონენტიც, რომელიც მოსახლეობაში ინტერნეტის პოპულარიზაციისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება. პროგრამის მიზანს შერჩეული მუნიციპალიტეტებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ციფრული ცნობიერების ამაღლება, მათთვის ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენების სწავლება და ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აშენებულია 800 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი, ხოლო ჯამში დასრულებული და მიმდინარე ტენდერების მოცულობა 2000 კმ-ზე მეტია, რომელიც 386 დასახლებულ პუნქტს და 210,000 მოსახლეს მოიცავს, მათ შორის გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, რაჭაში, ლეჩხუმში, ქვემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში.



პროგრამა მოიცავს ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების საკითხებზე სემინარებს, რომლებიც ემსახურება პროგრამის ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ინფორმაციის მოძიება, ელ-ფოსტის გამოყენება, Google-ის რუქითა და თარჯიმნით სარგებლობა, ადგილმდებარეობის გაზიარება, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, ინტერნეტში უსაფრთხო ნავიგაცია, ნამდვილი, ყალბი ინფორმაციის ამოცნობა და სხვა. გარდა თემატური სემინარებისა, პროგრამა მოიცავს საინფორმაციო შეხვედრებს თემაზე - სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ, მათ შორის, სახელმწიფო ელ-აუქციონის გამოყენების და ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების შესახებ.

2023 წელს „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ წარმატებით განხორციელდა ხელვაჩაურის, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების 135 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 53 სემინარი და გადამზადდა 3550 ადამიანი. ბენეფიციართა შორის იყვნენ სკოლის პედაგოგები, მაღალი კლასების მოსწავლეები, დიასახლისები, ადგილობრივი მენარმეები, შპმ პირები, ასევე, დროებით უმუშევარი მოქალაქეები.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და მიზნობრივი ციფრული მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის, ინტერნეტსაჭიროებების კვლევა ჩაატარა. კვლევის მიზანი საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ბენეფიციარი სოფლის სამიზნე მოსახლეობისთვის ციფრული წიგნიერების საჭიროებების შესახებ მაქსიმალურად ობიექტური, მიუკერძოებელი და კომპლექსური სურათის შექმნა, ასევე, კვლევით იდენტიფიცირებული საჭიროებების გადაწყვეტის რელევანტური გზების შერჩევა და ეფექტიანი პროგრამის შემუშავებისთვის რეკომენდაციების გაცემა იყო. კვლევის ფარგლებში, შეფასდა ტრენინგ პროგრამის დაგეგმვისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, მათ შორის ცოდნა, უნარები, გამოცდილება, ინფორმირებულობა, დამოკიდებულებები, განწყობები და მზაობა. ასევე, შეფასდა ის კონტექსტუალური, გარემო ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი ტრენინგ პროგრამების შემუშავებისათვისაა მნიშვნელოვანი.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ინტერნეტს რესპონდენტების მხოლოდ 10% არ იყენებს, ხოლო ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობა, 50%-ზე მეტი, ინტერნეტითა და ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობისას საკმაოდ თავდაჯერებულია და მიიჩნევს, რომ ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა ამოცანის შესრულება დამოუკიდებლად შეუძლია. მოსახლეობის ნაწილი, ინტერნეტით სარგებლობის მიუხედავად, ნაკლებად განაფულია და ციფრულ სივრცეში არსებულ ამოცანებს დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება. მცირე ნაწილი, ინტერნეტს „იყენებს“, თუმცა, მათი ციფრული უნარები იმდენად მწირია, რომ არა თუ არ შეუძლია ზოგიერთი საკვანძო „ციფრული აქტივობის“ შესრულება, არამედ, ასეთი აქტივობის შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობს. აღსანიშნავია, რომ დაბალია სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინფორმირებულობის დონე – უმეტეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვთ იმ შესაძლებლობებსა და სერვისებზე, რომელთა მიღება ელექტრონულად, ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ.

- გამოკითხულთა 94% ინტერნეტის და კომპიუტერის გამოყენების ცოდნას მნიშვნელოვნად ან ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს;**
- ინტერნეტს არ იყენებს კვლევაში ჩართული რესპონდენტების 10%;**
- გამოკითხულთა 52,9%-მა გამოთქვა ციფრული უნარების განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის სურვილი;**
- პედაგოგების უმრავლესობა აქტიურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სწავლა/სწავლების პროცესში, თუმცა საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტის, როგორც სასწავლო რესურსის, გამოყენების მასშტაბსა და მრავალფეროვნებაზე მათ მნიშვნელოვან ნაწილს მწირი ინფორმაცია აქვს;**
- კვლევაში ჩართული ქალები ინტერნეტს უფრო ინტენსიურად იყენებენ და ციფრული უნარების ფლობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე კაცები.**

„Log-in Georgia“-ს პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ, ასევე, განახორციელა საქართველოში ციფრული ინკლუზიის შეფასების კვლევა, რომელზეც საერთაშორისო კომპანიების Nextpuzzle-სა და Cobrus Consulting-ისგან შექმნილმა კონსორციუმმა Digital Europe-მ იმუშავა. აღსანიშნავია, რომ კონსორციუმი დანიელი ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. სწორედ დანია არის მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი მონიწივე ქვეყანა ციფრული და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში ციფრული ინკლუზიის მხარდაჭერის მიზნით.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, საქართველოს 1,000-მდე სოფელს და 500,000 მოქალაქეს, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას, მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მაღალი ხარისხის ინტერნეტი და ისარგებლოს ციფრული სერვისებით. ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა - „Log-In Georgia“, საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა.

კომპანია „ოუფენ ნეტი“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობას ზუგდიდი-ხობის ტერიტორიაზე დაასრულებს, რომელიც 270 კმ-იან ინფრასტრუქტურას, 48 დასახლებულ პუნქტს და 26,500 მოსახლეს მოიცავს. ასევე 270 კმ-იანი ინფრასტრუქტურის მონყობა დასრულდება წყალტუბო-ვარციხე-ხონის მიმართულებაზე, სადაც 35 დასახლებული პუნქტი და 15,000 მოსახლეა. ქსელი მოეწყობა აბაშა-სენაკის მონაკვეთზე, რომელიც 240 კმ. ინფრასტრუქტურას, 48 დასახლებულ პუნქტს და 16,100 მოსახლეს მოიცავს. ასევე დასრულდება ქსელის მშენებლობა ქიათურა-საჩხერეს მიმართულებაზე, სადაც 290 კმ-იანი ქსელი 67 დასახლებული პუნქტისა და 38,000 მოსახლისთვის მოეწყობა.

პროექტირება დასრულდება და სამშენებლო სამუშაოები დაიწყება ზესტაფონი-ხარაგაულის მონაკვეთზე, რომელიც 260 კმ-იან ინფრასტრუქტურაზე, 36 დასახლებულ პუნქტსა და 13,800 მოსახლეზე იქნება გათვლილი.

2024 წელს, „ოუფენ ნეტი“ ქსელის მშენებლობას გააგრძელებს აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის ქარელში, გორში, კასპსა და მცხეთაში, სადაც 98 დასახლებული პუნქტი და 57,000 მოსახლეა. სამუშაოები, ასევე, გაგრძელდება ადიგენში, ახალციხეში, ასპინძაში, ახალქალაქსა და ბორჯომში, რომელიც 89 დასახლებულ პუნქტს და 44,500 მოსახლეს მოიცავს.

მოსახლეობაში ინტერნეტის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით კი, კომუნიკაციების კომისია „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამიზნე მოსახლეობის გადამზადებას გააგრძელებს. სასწავლო სემინარები სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში 2025 წლის ჩათვლით გაგრძელდება, რასაც სამიზნე რეგიონები დაემატება.

ცვლილებები სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში

საქართველოში რადიომოყვარულების საქმიანობის წახალისებისა და განვითარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში ცვლილებები შეიტანა.

ცვლილებების მიხედვით, რადიომოყვარულთა დამწყები და პროფესიონალური კვალიფიკაციის მქონე კატეგორიებისთვის ერთიანი უნიკალური სახმობის ნიშანი განისაზღვრა, გამარტივდა სახმობების სისტემები, განახლდა რადიოსადგურის კატეგორიების შესაბამისი სამოყვარულო სიხშირული დიაპაზონები, გასხივების სიმძლავრეები და გამოყენების კლასები, ასევე, მოქმედი 4 კატეგორიიდან დარჩა 3 კატეგორია, კერძოდ: B, A და E კატეგორიები. A და B კატეგორიებისთვის განახლდა რადიომოყვარულის კვალიფიკაციის დონის განმსაზღვრელი ტესტირების კითხვარი.

ახალ წესში შემოღებულია სამოყვარულო რადიოსადგურის ნებართვის ოთხენოვანი ფორმა, რაც აღნიშნული ნებართვის მქონე რადიომოყვარულს აშშ-ში, ისრაელში, ავსტრალიაში, ევროპასა და ასევე, მთელ რიგ ქვეყანაში ყოფნისას, ანიჭებს უფლებას სამი თვის განმავლობაში განახორციელოს რადიოკავშირები დამატებითი ლიცენზიის გარეშე.

აღნიშნული ცვლილებების საჭიროება ახალი რადიოსისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვამ, ასევე, ეროვნულ დონეზე სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების სპეციფიკურმა მოთხოვნებმა განაპირობა. ახალი წესები ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის ადმინისტრაციების ევროპული კონფერენციის (CEPT) რეკომენდაციებისა და გადანყვეტილებების, ასევე ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის მიხედვით მომზადდა.




დამოუკიდებელი თანამგზავრული კავშირის უზრუნველსაყოფად ახალი ორბიტალური პოზიციები საქართველოსთვის

2023 წელს საქართველომ მონაცემთა გადაცემისა და ახალი სამაუწყებლო გეოსტაციონარული თანამგზავრული ორბიტალური პოზიციები მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპოვებულ ორბიტალურ პოზიციებზე შესაძლებელია განთავსდეს თანამგზავრები, რომლებიც საქართველოს და მიმდებარე ტერიტორიებს მონაცემთა გადაცემის მომსახურებითა და სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობით უზრუნველყოფენ. საქართველოს მიერ მონაცემთა გადაცემის მომსახურების საკუთარი თანამგზავრის გაშვება მნიშვნელოვანია სტაბილური და უსაფრთხო კავშირის უზრუნველსაყოფად როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, ისე კომერციული ორგანიზაციებისთვის.

პოზიციების მინიჭება 2023 წლის ბოლოს ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციაზე WRC-2023 მოხდა და კონფერენციის ფინალური აქტებით, ფიქსირებული თანამგზავრული სამსახურის - FSS-ისა და სამაუწყებლო თანამგზავრული სამსახურის - BSS-ის გეგმებში აისახა. აღნიშნულით, WRC-2023 კონფერენციაზე დასრულდა კოორდინაციის ოთხნობიანი პროცესი, რომელიც 2019 წელს, რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენცია WRC-2019-ზე დაიწყო და კომუნიკაციების კომისიამ სხვადასხვა ქვეყნის

თანამგზავრული კავშირგაბმულობის მარეგულირებელ ორგანოებთან ერთად, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიოკავშირის ბიუროს (ITU BR) მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, წარმატებით განახორციელა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე მოპოვებული თანამგზავრული სამაუწყებლო სამსახურის BSS-ს გეოსტაციონარული თანამგზავრული ახალი ორბიტალური პოზიცია, ადრე არსებულთან შედარებით, პერსპექტივაში გააუმჯობესებს საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის შესაძლებლობას.



ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივაზე საგანმანათლებლო ლიტერატურის მხარდაჭერა

კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით და კომუნიკაციების კომისიის აპარატის მრჩეველთა საბჭოს წევრების ავტორობით, ტელეკომუნიკაციის დარგის შესახებ 10-ზე მეტი წიგნი გამოიცა, რომლებიც სფეროს განვითარებასა და სატელეკომუნიკაციო დარგში არსებულ გამოწვევებს ეხება.

კომუნიკაციების კომისიის აპარატის მრჩეველთა საბჭოს წევრის, სერგო შავგულიძის თანაავტორობით და კომუნიკაციების კომისიის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, 2021-2023 წლებში, ტელეკომუნიკაციის შესახებ 6 ახალი წიგნი ქართულ ენაზე გამოიცა. მათ შორისაა: „გზა 6G-მდე: გამოწვევები კომუნიკაციების ინჟინრებისთვის“ და „უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიები 6G ქსელებისთვის“. აღნიშნულ სამეცნიერო და სახელმძღვანელო წიგნებში მიმოხილულია ევოლუცია არსებული 5G ქსელებიდან, მომავალ 6G ქსელებამდე, შესწავლილია ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიები და თემები, როგორებიცაა: ხელოვნური ინტელექტი, უპილოტო საფრენი აპარატები და ფართომასშტაბიანი თანამგზავრული თანავარსკვლავედები. ასევე, მიმოხილულია 6G ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ტენდენციები, საფრთხეები და სხვა.

2023 წელს, სერგო შავგულიძის თანაავტორობით, ასევე გამოვიდა ახალი მონოგრაფია „კომუნიკაცია დედამიწის დაბალი ორბიტის თანამგზავრებით“, რომელშიც განხილულია დედამიწის დაბალი ორბიტის (LEO) თანამგზავრული მეგათანავარსკვლავედების საკომუნიკაციო ქსელების თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები, რაც უახლეს პუბლიკაციებსა და სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობითაა მომზადებული. კერძოდ, შესწავლილია მომდევნო თაობის მეგათანამგზავრული ქსელების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები თანასწორი წვდომისთვის და ამ კუთხით არსებული გამოწვევები, ასევე, განხილულია ორბიტული პერიფერიის განტვირთვის შესაძლებლობა LEO თანამგზავრების მეგათანავარსკვლავედებზე გამოთვლითი კუთხით თანასწორი წვდომისთვის, წარმოდგენილია წრიულგზიანი ქსელები, რომლებიც ახორციელებენ წვდომას ყველასათვის და რომელთა დანერგვაც შესაძლებელია შეყოვნებისადმი ტოლერანტული ქსელური პროტოკოლებით და იაფფასიანი ნაწი-თანამგზავრებით. წიგნში წარმოდგენილია მინისქვეშა-თანამგზავრული კავშირის სისტემის არქიტექტურა და შეფასებულია მისი ტექნიკური შესაძლებლობები რეალურიმეურნეობის სცენარის ვრცელი კომპიუტერული სიმულაციის მეშვეობით, წარმოდგენილია LEO თანამგზავრებზე დაფუძნებული პოზიციონირება მომავალი თანასწორი წვდომის ლოკალიზაციისთვის.

გარდა ამისა, ტელეკომუნიკაციის დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის გამოიცა

რევაზ სვანიძის სახელმძღვანელო „გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები და ტექნოლოგიები“, რომელიც ქართულ და საერთაშორისო ჟურნალებში, ავტორის მიერ გადაცემის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემებისა და ტექნოლოგიების შესახებ გამოქვეყნებულ კვლევებს მოიცავს. რევაზ სვანიძის ავტორობით, ასევე, გამოიცა წიგნი „5G მობილური ტექნოლოგიები და ელექტრომაგნიტური გამოსხივება“, რომელშიც 5G მობილური ტექნოლოგიის მახასიათებლები, მობილური ტელეფონების ელექტრომაგნიტური გამოსხივების, მათი ეკოლოგიისა და ადამიანზე მავნე ზეგავლენის საკითხებია განხილული.



კარტელური გარიგების პრეცედენტი მელდია სივრცეში

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ 18 თვიანი მოკვლევა დაასრულა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებულ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა, ე.წ. კარტელური გარიგება დაადგინა.

კომუნიკაციების კომისიამ განიხილა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს ეკონომიკური აგენტების, მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების მიწოდების ბაზრის უმსხვილესი მოთამაშეების: „მაგთიკომის“, „სილქნეტის“, „ახალი ქსელების“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ საჩივრები, რეიტინგული სამაუწყებლო კომპანიების: „ტელეიმედის“, „მთავარი არხის“, „ტელეკომპანია პირველის“, „პოსტ“-ის, „ფორმულას“ და „მედია ჰოლდინგის“, ასევე მედიატორი კომპანიის „მედია რაითს ჯორჯიას“ წინააღმდეგ.

მომჩივანი მხარე ამტკიცებდა, რომ კონკურენტი მაუწყებლები გაერთიანდნენ და შუამავალი კომპანია „მედია რაითს ჯორჯიას“ მეშვეობით, ტრანზიტორ კომპანიებს მაუწყებლობის ტრანზიტისთვის ერთობლივად დადგინდნენ საფასურს თხოვდნენ. მათივე განმარტებით, მაუწყებლების მიერ ტრანზიტის ერთობლივი საფასურის დადგენა ზღუდავს კონკურენციას და ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს. შესაბამისად, „მაგთიკომი“, „სილქნეტი“, „ახალი ქსელები“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, მოპასუხეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მათ მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდნენ.

კომუნიკაციების კომისიამ 18 თვიანი, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული, მოკვლევის საფუძველზე შეაფასა მაუწყებლების და შუამავალი კომპანიის ხელშეკრულება, რომლითაც მაუწყებლობის ტრანზიტის უფლების გადაცემის მომსახურების ერთიანი ფასი იყო დადგენილი. ამავე მოკვლევის ფარგლებში, ასევე, შესწავლილ იქნა მაუწყებლებსა და მაუწყებლობის ტრანზიტორებს შორის თანამშრომლობის საკითხები. კომუნიკაციების კომისიის განმარტებით, კონკურენტ მაუწყებლებს შორის ფასზე შეთანხმება - ფასის ფიქსირება, ზღუდავს კონკურენციას და ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს.

საქმის პრეცედენტულობიდან გამომდინარე, ვინაიდან კომუნიკაციების კომისიამ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით საქმე პირველად განიხილა, კანონის დამრღვევი მაუწყებლები სიმბოლური თანხით - 100-100 ლარით დააჯარიმა და მხარეებს კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულების ერთი თვის ვადაში გაუქმების ვალდებულება დააკისრა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ძალაში შევიდა ცვლილებები „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც განსაზღვრავს დარგობრივი მარეგულირებლების უფლებამოსილებას, ეკონომიკის

რეგულირებად სექტორში კონკურენციის შესაძლო დარღვევების განხილვისას იხელმძღვანელონ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, კომუნიკაციების კომისიას შესაბამისი ბაზრების წინასწარი ე.წ. Ex-ante რეგულირების გარდა, განესაზღვრა შემდგომი, ე.წ. Ex-post რეგულირების ფუნქციაც.

გამომდინარე იქედან, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა კომუნიკაციების კომისიისთვის პრეცედენტული იყო, მოკვლევა საერთაშორისო პრაქტიკის - ანალოგიური დავების, შეთანხმებებისა და აღნიშნულ ბაზარზე არსებული ეკონომიკური ურთიერთობების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ჩატარდა. კომუნიკაციების კომისიამ განახორციელა ბაზრის მრავალმხრივი მოკვლევა, რათა შეესწავლა მხარეთა მიერ თავისუფალ რეჟიმში კომერციულ პირობებზე შეთანხმებლობის მიზები და მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობასა და მის გამართულ ფუნქციონირებას. კანონის შესაბამისად, მოკვლევა საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით განხორციელდა.



ინტერნეტ სივრცე არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის გარეშე



ინტერნეტ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისია წლებია ქართული და უცხოური ვებ-გვერდების აქტიურ მონიტორინგს ახორციელებს.

ინტერნეტ სივრცეში აუდიო-ვიზუალური პროდუქციის საავტორო უფლებების დარღვევით განთავსება, ქვეყნის იმიჯისა და რეპუტაციის დაზიანების გარდა, სერიოზულ ფინანსურ ზარალს აყენებს კომპანიებს, რომლებსაც აუდიო-ვიზუალური პროდუქცია ლეგალურად აქვთ შეძენილი.

2023 წლის მონაცემებით, არალეგალური ვებ-გვერდების უმრავლესობაზე, რომლებიც ქართულ ბაზარზე საქმიანობენ, წვდომა შეზღუდულია. კომუნიკაციების კომისიამ, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, დამატებითი მექანიზმები ამოქმედდა იმისთვის, რომ პირატულმა ვებ-გვერდებმა, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებითა და მეთოდებით, შეზღუდვების გვერდის ავლა ვერ შეძლონ.

2023 წელს, არალეგალური ვებ-გვერდების კანონდარღვევით მომსახურებისთვის, კომუნიკაციების კომისიამ „ქლაუდ ცხრა“ გააფრთხილა. კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კომპანია, რომელიც ინტერნეტმომსახურებას სწორედ „ქლაუდ ცხრისგან“ იღებს, ავრცელებს საავტორო უფლებების დამრღვევ ისეთ ვებ-გვერდებს, როგორებიცაა adjaranet.to, adjaranet.com და imovies.cc.

კომუნიკაციების კომისიამ „ქლაუდ ცხრას“ მიანოდა ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ და მისი მომსახურების მეშვეობით ვებ-გვერდების გავრცელების აღსაკვეთად ვადა განუსაზღვრა, რის შემდეგაც, „ქლაუდ ცხრამ“ ვებ-გვერდების გავრცელება შეწყვიტა, თუმცა, განმეორებით ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ „ქლაუდ ცხრას“ მომსახურების გამოყენებით adjaranet.to, adjaranet.com და imovies.cc ფუნქციონირებას განაგრძობდნენ.

გამომდინარე იქიდან, რომ „ქლაუდ ცხრამ“ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტი დაარღვია, კომუნიკაციების კომისიამ კომპანია წერილობით გააფრთხილა.


2024 წლის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტ სივრცის არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქციისგან სრულად გათავისუფლება პრიორიტეტად რჩება, კომუნიკაციების კომისია, პერმანენტულად მიმართავს ვებ-გვერდებს, ამოიღონ საკუთარი პლატფორმებიდან არალეგალური აუდიო-ვიზუალური პროდუქცია და მიიღონ კანონის შესაბამისი ზომები.


საერთაშორისო პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული პრობლემის სრულად აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ბაზარზე მუდმივად ახალი არალეგალური ვებ-გვერდები ჩნდება. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია საავტორო და მომიჯნავე უფლებების ეფექტიანი დაცვისა და არალეგალური ვებ-გვერდების გავრცელებაზე რეაგირებისთვის, მონიტორინგს გააგრძელებს.

2023 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 290 მოქმედი¹ პირი დაფიქსირდა. 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 3-მა ავტორიზებულმა პირმა: „მაგთიკომმა“, „სილქნეტმა“ და „სელფი მობაილმა“ მიიღო (A კატეგორიის² კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მთლიანი შემოსავლის 85% შეადგინა. იმ ავტორიზებული პირების ჯამური შემოსავალი კი, რომლებმაც 100,000 ლარზე ნაკლები მიიღეს (E კატეგორიის 153 პირი), მთელი შემოსავლის 0,3% იყო.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება კატეგორიების მიხედვით



2023 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებიდან ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 190 მლნ ლარით გაიზარდა და 1,659 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 1,353 მლნ ლარია. ბოლო 5 წლის განმავლობაში აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის წლიური ზრდა³ 10%-ია.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)



	2019	2020	2021	2022	2023
● საცალო	919	961	1,058	1,202	1,353
● სხვა საკომუნიკაციო და არასაკომუნიკაციო	266	192	211	267	306
● სულ	1,185	1,153	1,269	1,469	1,659

მსოფლიოს გლობალური სატელეკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლის მოცულობამ 2023 წელს 1,885 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა და 2030 წლამდე მოსალოდნელია, რომ სექტორის შემოსავალი 2,875 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდოს⁴. აღნიშნული პროგნოზის ძირითადი საფუძველი ოპტიკურ-ბოჭკოვან და 5G ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციები, ციფრული სერვისების განვითარება, ე.წ. „საგნების ინტერნეტზე“ (Internet of Things) მოთხოვნის ზრდა, ასევე, ახალი თაობის მონეობილობების შექმნა-გავრცელება და შედეგად, მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე გაზრდილი მოთხოვნაა.

¹ მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა.

² განიხილება შემდეგი კატეგორიები:

³ წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

⁴ წყარო - [IEEE ComSoc](#)


კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

მობილური კომუნიკაციები და მსოფლიოს ტენდენციების მიმოხილვა

მობილური საკომუნიკაციო სერვისები მსოფლიოს მასშტაბით სწრაფი ტემპით ვითარდება. ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება, ინტერნეტის საშუალო სიჩქარისა და მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდა, ნათლად აჩვენებს, რომ თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ციფრული სერვისები უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში.


კვლავაც მზარდია მსოფლიოში მობილური სერვისის მომხმარებელთა რაოდენობა, რომელთა რიცხვმა 2023 წელს 5,6 მილიარდს მიაღწია.

მობილური მომსახურებაების მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში და კანეტრაცია მსოფლიოს⁵ მოსახლეობაში (2019, 2023 წლებში და 2030 წლის პროგნოზი, მლრდ)



ზრდის უფრო მაღალი ტემპით გამოირჩევა მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა. 2023 წელს მობილურ ინტერნეტს 4,7 მილიარდამდე ადამიანი იყენებდა.


მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში და კანეტრაცია მსოფლიოს⁶ მოსახლეობაში (2019, 2023 წლები და 2030 წლის პროგნოზი, მლრდ)



⁵⁻⁶წყარო: 2019 წლის მონაცემები: GSMA: [The Mobile Economy 2020](#)
2023 - 2030 წლის მონაცემები: GSMA: [The Mobile Economy 2024](#)


მობილური კომუნიკაციების აბონენტების (SIM ბარათები) პენეტრაციამ მსოფლიო მოსახლეობაში 2023 წელს 107%-ს მიაღწია:

მობილური აბონენტების რაოდენობა მსოფლიოში⁷ და კენეტრაცია (2019, 2023 წლები და 2030 წლის პროგნოზი, მლრდ)




5 წელზე ზემოთ მოსახლეობაში მობილური მომსახურების აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 3%-ით გაიზარდა და 116% შეადგინა.

მობილური აბონენტების სიმკვრივე მსოფლიოში⁸ 5 წელზე ზემოთ ასაკის მოსახლეობაში



5G ტექნოლოგია 2023 წლის განმავლობაშიც განაგრძობდა განვითარებას და მოსალოდნელია, რომ 2024 წლიდან 4G ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობა თანდათანობით შემცირდეს და მათ 5G ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობამ გადააჭარბოს.

4G და 5G ტექნოლოგიის განაწილება მობილური სერვისების დაფარვაში (2023 წელი და პროგნოზი⁹)




⁷ წყარო: 2019 წლის მონაცემები: GSMA: [The Mobile Economy 2020](#), 2023 - 2030 წლის მონაცემები: GSMA: [The Mobile Economy 2024](#)

⁸ წყარო: 2023 წლის მონაცემები: ITU: [Measuring Digital Development: Facts and Figures 2023](#)

⁹ წყარო: GSMA: [The Mobile Economy 2024](#)

5G ტექნოლოგიის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, იზრდება მობილური ინტერნეტის სიჩქარე და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ის 100მბ/წმ-ს აღემატება. ვინაიდან საქართველოს ტელეკომ ბაზარზე 5G ტექნოლოგია 2023 წელს დაინერგა და განვითარების ეტაპზეა, დაბალია საშუალო სიჩქარე და ის 2024 წლის იანვრის ინტერნეტის სიჩქარის გლობალური ინდექსის (Speedtest Global Index) მიხედვით¹⁰, 144 ქვეყანას შორის 66-ე ადგილზეა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით მხოლოდ ირლანდიას უსწრებს.

მობილური ინტერნეტის საშუალო სიჩქარე ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში (2024 წლის იანვრის მონაცემებით)(მბ/წმ)




¹⁰წყარო: [Speedtest Global Index](#)

ფინანსური მაჩვენებლები

მობილური ტექნოლოგიების განვითარებისა და მობილურ მომსახურებებზე მოთხოვნის ზრდის ფონზე, მნიშვნელოვანია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მოქმედი კომპანიების ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლის EBITDA (მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შეფარდებული გაყიდვებთან) მარჯის შედარება ევროპის სატელეკომუნიკაციო კომპანიების მონაცემებთან. ქართული კომპანიების მომგებიანობის ამ მაჩვენებლით, ბოლო 4 წლის მონაცემებით, მუდმივად აღემატება ევროპის სატელეკომუნიკაციო კომპანიების საშუალო მაჩვენებელს, რაც 35%-ს შეადგენს. საქართველოს ტელეკომ ბაზრის სამი უმსხვილესი ოპერატორის მაჩვენებლები კი შემდეგია: „მაგთიკომის“ EBITDA მარჯა, 2022 წლისთვის 75%-ს შეადგენდა, „სილქნეტის“ ეს მაჩვენებელი - 61% იყო, ხოლო „სელფი მობაილის“ - 45%. აღსანიშნავია დინამიკაც, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიებმა 2019 წლიდან მნიშვნელოვნად გაზარდეს მომგებიანობა და „მაგთიკომის“, „სილქნეტისა“ და „სელფი მობაილის“ EBITDA მარჯების მაჩვენებლები 2019-2022 წლებში, შესაბამისად - 9, 5 და 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ქართული ბაზრისგან განსხვავებით, სტაბილურია EBITDA-ს მარჯის საშუალო ევროპული მონაცემი, რომელიც 2022 წელს, 2019 წელთან შედარებით, ფაქტობრივად არც შეცვლილა და ისევ 35%-ია.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სამი უმსხვილესი ოპერატორის EBITDA მარჯის შედარება ევროპის ტელეკომ ოპერატორების EBITDA მარჯის საშუალო მონაცემთან



	2019	2020	2021	2022
● მაგთიკომი	66%	65%	69%	75%
● სილქნეტი	56%	56%	56%	61%
● სელფი მობაილ	41%	42%	43%	45%
● ევროპის საშუალო ¹¹	35%	34%	36%	35%

მობილური კომუნიკაციები¹² საქართველოში

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა მობილური აბონენტების¹³ რაოდენობა და წლის ბოლოსთვის 5,91 მილიონი, ხოლო პენეტრაციამ საქართველოს მოსახლეობაში - 169% შეადგინა¹⁴. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს და საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მისთვის ხელსაყრელი პირობების მისაღებად, სხვადასხვა ოპერატორის აქტიური მომხმარებელი ხდება.


¹¹წყარო: S&P Global Ratings: [Industry Credit Outlook 2024](#)

¹²მონაცემები აღებულია 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით.

¹³აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა, ან გაიწია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან რომელზეც დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატელეკომ ბარათების ჩათვლით).

¹⁴საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს პირებს 5 წელზე ზემოთ.


■ აბონენტების რაოდენობა და კენეტრაცია 5 წელზე ზემოთ მოსახლეობაში



მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია, წინა წელთან შედარებით, 1%-ით შემცირდა, რის მიზეზიც 2023 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აღრიცხული საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდაა.


აბონენტების რაოდენობის ზრდა, ძირითადად, გამოწვეულია იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის ზრდით. 2023 წლის ბოლო კვარტალში იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ აბონენტების მთლიანი რაოდენობის 25% შეადგინა.

■ აბონენტების რაოდენობა ტიპების მიხედვით (მლნ)







	2019	2020	2021	2022	2023
● ფიზიკური	4,05	3,81	4,23	4,46	4,46
● იურიდიული	1,33	1,29	1,32	1,38	1,45
● სულ	5,38	5,1	5,55	5,84	5,91

■ აბონენტების განაწილება



მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით 2023 წლის ბოლოსთვის, წინა წელთან შედარებით, არ შეცვლილა და ასე განაწილდა: „მაგთიკომი“ - 41%, „სილქნეტი“ - 34%, ხოლო „სელფი მობაილ“ - 24%. 2022 წლის ბოლოს ოპერირება დაიწყო ვირტუალურმა ოპერატორმა „ეკლექტიკმა“ ბრენდული სახელით „ჰალო“. მისი აბონენტების რაოდენობამ 2023 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით, 30 ათასი შეადგინა, ხოლო მისი საბაზრო წილი სულ 0,5%-ია.

აბონენტების რაოდენობა და ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით


	2019	2020	2021	2022	2023
 მაგთიკომი	2.19 41%	2.07 41%	2.31 42%	2.44 42%	2.45 41%
 სილქნეტი	1.79 33%	1.7 33%	1.85 33%	1.96 33%	2.02 34%
 სელფი	1.4 26%	1.33 26%	1.4 25%	1.45 25%	1.41 24%
 ჰალო				0.004 0.1%	0.03 0.5%

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით


	მაგთიკომი	სილქნეტი	სელფი მობაილ	ჰალო	სულ
ფიზიკური	1.80	1.53	1.10	0.03	4.46
იურიდიული	0.65	0.49	0.31	0	1.45

2023 წელს, მობილური ოპერატორების შემოსავალმა საცალო მომსახურებიდან 788 მლნ ლარი შეადგინა. საცალო შემოსავლებში საბაზრო წილი კი ასე გადანაწილდა: „მაგთიკომი“ - 49%, „სილქნეტი“ - 35%, ხოლო „სელფი მობაილ“ - 16%.

შემოსავალი საცალო მომსახურებიდან (მლნ ლარი)¹⁵



ბაზრის წილი საცალო მომსახურებიდან შემოსავლების მიხედვით¹⁶



შემოსავლებისა და აბონენტების მიხედვით საბაზრო წილების განსხვავებული გადანაწილება კომპანიებს შორის, იმაზე მიუთითებს, რომ „მაგთიკომის“ აბონენტები, საშუალოდ, უფრო მეტ თანხას იხდიან მობილურ მომსახურებებში, ვიდრე „სელფი მობაილის“ მომხმარებლები, ხოლო „სილქნეტის“ შემთხვევაში, აბონენტებისა და შემოსავლის წილები თითქმის თანაბარია, რაც ნიშნავს იმას, რომ „სილქნეტის“ აბონენტები, საშუალოდ, „სელფი მობაილის“ აბონენტებზე მეტს, მაგრამ „მაგთიკომის“ აბონენტებზე ნაკლებს იხდიან.


ოპერატორების განაწილება შემოსავლებისა და აბონენტების მიხედვით



¹⁵⁻¹⁶ მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

2023 წელს, მობილური მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების 79% ფიზიკურმა პირებმა დააგენერირეს, ხოლო 21% -იურიდიულმა პირებმა. ორივე სეგმენტზე შემოსავლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

შემოსავალი აბონენტების ტიპის მიხედვით (მლნ ლარი)



	2019	2020	2021	2022	2023
● ფიზიკური	369	359	416	542	619
● იურიდიული	131	130	138	154	169

განაწილება ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების მიხედვით, გვიჩვენებს, რომ კომპანიებისთვის ეს თანაფარდობა მეტ-ნაკლებად მსგავსია.


ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	საფი მობაილ	ჯამი
ფიზიკური	40%	34%	25%	1%
იურიდიული	45%	34%	21%	0%

შემოსავლები მობილური მომსახურებებიდან მშპ-სთან მიმართებით

2023 წელს, საქართველოში მობილური მომსახურებებიდან შემოსავლების ზრდა, ქვეყნის მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) ზრდას აღემატებოდა.


მობილური მომსახურებიდან შემოსავლების ზრდა მშპ-ს ზრდასთან მიმართებით



	2019	2020	2021	2022	2023
● რეალური მშპ-ს ზრდა	5%	-7%	11%	10%	7.50%
● მობილური მომსახურებიდან შემოსავლების ზრდა	3.8%	-1.9%	13.20%	25.50%	13.20%

მთლიან შიდა პროდუქტში საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორის 5 წლის საშუალო ზრდის ტემპი, 16 ყველაზე მსხვილ ინდუსტრიაში¹⁷ მოწინავეა.

მგკ-ს საშუალო ზრდის ტემპი ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით



ARPU¹⁹

2023 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი 8%-ით გაიზარდა და 12.8²⁰ ლარი (დღგ-ს გარეშე) შეადგინა.



ARPU (ლარი)	
2019	8.6
2020	8.6
2021	9.7
2022	11.8
2023	12.8

¹⁷წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო: [ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, მიმდინარე ფასებში.](#)
¹⁸„სხვა“ მოიცავს შედარებით მცირე ინდუსტრიის ჯამური ზრდის ტემპს. ეს ინდუსტრიებია: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; სხვა სახის მომსახურება; წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები და შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ, საკუთარი მოხმარებისთვის.
¹⁹ARPU – Average Revenue per User, საშუალოდ ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი (დღგ-ს გარეშე).
²⁰დეკემბრის თვის მდგომარეობით.


ოპერატორების ქრილში, 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ - „სილქნეტს“, ხოლო მობილურ მომსახურებებზე ყველაზე მცირე თანხას „სელფი მობაილის“ და „ჰალოს“ აბონენტები ხარჯავენ. ამასთან, ოპერატორების მაჩვენებლები, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაზრდილია.

ARPU კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	სელფი მობაილ	ჰალო
2022	14.1	12.1	7.7	7
2023	14.6	13.3	8.9	8.5

წინა წლებში იურიდიული პირი აბონენტები საშუალოდ უფრო მეტ შემოსავალს აგენერირებდნენ, ვიდრე ფიზიკური პირები, თუმცა 2022 წელს ფიზიკური პირი აბონენტების ტარიფების ზრდის ფონზე, ეს ტენდენცია შეიცვალა და იგი 2023 წელსაც შენარჩუნდა - ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელი 24%-ით აღემატება იურიდიული პირებისას.

საშუალო ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით



ხმოვანი ტრაფიკი და MOU²¹




ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)	
2019	9.92
2020	10.18
2021	10.23
2022	9.17
2023	8.41

მსოფლიო ტენდენციის კვალდაკვალ, ტრადიციული ტექნოლოგიებით მიწოდებული ხმოვანი მომსახურების ტრაფიკი საქართველოშიც მცირდება, რის მიზეზიც ინტერნეტის მოხმარების ზრდაა, რაც აბონენტებს საშუალებას აძლევს ხმოვანი კომუნიკაცია ყოველგვარი დამატებითი საფასურის გარეშე განახორციელონ სხვადასხვა სოციალური ქსელის, ან შესაბამისი OTT (Over the Top) აპლიკაციების მეშვეობით (WhatsApp, Viber, Zoom, Teams და სხვ.).

2023 წელს, გასულ წელთან შედარებით, ჯამური გამავალი ხმოვანი ტრაფიკი 8%-ით შემცირდა და 8,41 მლრდ წუთი შეადგინა. შემცირებულია MOU-ს მაჩვენებელიც. 2023 წლის საშუალო MOU²²-მ 118 წუთი შეადგინა. ეს ტენდენცია 2022 წლიდან დაიწყო და მოსალოდნელია, რომ ის შეუქცევადი იქნება.

²¹MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა.
²²IV კვარტლის საშუალო.

**საშუალო MOU აბონენტების
მიხედვით**



მობილური ქსელის ოპერატორების ქრილში, 2023 წლის IV კვარტლის MOU-ს მონაცემები განსხვავებულია. საშუალოდ თვეში ყველაზე მეტს „სელფი მობაილის“ აბონენტები საუბრობდნენ, რაც კომპანიის მიერ შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითაა გამომწვეული, შემდეგ - „სილქნეტის“ მომხმარებლები, ხოლო ყველაზე ცოტას - „მაგთიკომის“ აბონენტები საუბრობდნენ.

**საშუალო ყოველთვიური MOU კომპანიების
მიხედვით (მლრდ წუთი)**



109



118



135


**მობილური
ინტერნეტი**

კვლავ სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა, რაც გამომწვეულია სულ უფრო და უფრო მეტად მზარდი მოთხოვნით ონლაინ სერვისებსა და ციფრულ პლატფორმებზე. ასევე, სულ უფრო და უფრო უმჯობესდება მოსახლეობის უნარ-ჩვევები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება. 2019 წლიდან, 2023 წლის ბოლომდე, საშუალოდ მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 7,7%²³ შეადგინა.

2023 წლის ბოლოსთვის, ინტერნეტ მომსახურებით მობილური ქსელის 4,3 მლნ აბონენტი სარგებლობდა. მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელმა საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებით²⁴, 2023 წლის ბოლოსთვის 125%, ხოლო მობილური მომსახურების აბონენტებში - 73% შეადგინა.

მობილური ინტერნეტის აბონენტები (მლნ)



	2019	2020	2021	2022	2023
● მობილური ინტერნეტის მომხმარებლები	3.19	3.26	3.75	4.1	4.3
● სიმკვრივე მობილური მომსახურების აბონენტებში	59%	64%	68%	70%	73%
● სიმკვრივე მოსახლეობაში	92%	94%	109%	119%	125%


²³წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate).

²⁴საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს.

2023 წლის ბოლოსთვის, მობილური ინტერნეტის ყველაზე მეტი - 1.57 მლნ მომხმარებელი „სილქნეტს“ ჰყავდა, მას მოსდევს „მაგთიკომი“ 1.52 მლნ მომხმარებლით, ხოლო „სელფი მობაილს“ 1.21 მლნ აბონენტი სარგებლობს მობილური ინტერნეტით.

მობილური ინტერნეტ მომხმარებლები (მლნ)

	2019	2020	2021	2022	2023
სილქნეტი	1.19	1.17	1.35	1.48	1.57
მაგთიკომი	1.01	1.08	1.34	1.45	1.52
სელფი მობაილ	0.99	1.00	1.06	1.17	1.21




კომპანიების ქრილში, აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ადგილზე არის „სელფი მობაილ“, რომლის აბონენტების 86% მობილურ ინტერნეტს მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი მობილურ ინტერნეტზე შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებით და მომხმარებელთა სეგმენტითაა განპირობებული. ამავე მაჩვენებლებით, მეორე ადგილს 78%-ით „სილქნეტი“, ხოლო მესამე ადგილს „მაგთიკომი“ - 62%-ით იკავებს.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმაკვრივე კოეფიციენტის მიხედვით



2023 წელს მობილური მომსახურების აბონენტების მიერ დაგენერირებული მობილური ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 28%-ით გაიზარდა და 551 პეტაბაიტი შეადგინა. ეს მოცულობა განპირობებულია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობისა და ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობის ზრდით და ინტერნეტ მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნით.

გამოყენებული მობილური ინტერნეტის მოცულობა (პეტაბაიტი)




2023 წელს „მაგთიკომის“ აბონენტებმა მობილური ინტერნეტის მთლიანი ტრაფიკის 48%, აბსოლუტურ მაჩვენებლებში, 263 პეტაბაიტი დააგენერირეს, „სილქნეტის“ და „სელფი მობაილის“ აბონენტებმა შესაბამისად - 33% და 19%.

მობილური ინტერნეტ ტრაფიკის განაწილება კომპანიების მიხედვით



მობილური ინტერნეტის მთლიანი მოცულობის ზრდა გამოწვეულია ერთ აბონენტზე მობილური ინტერნეტის საშუალო მოცულობის ზრდით. წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 18%-ით გაიზარდა.


ერთი აბონენტის მიერ თვეში მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება (გბ)




საშუალოდ ერთ აბონენტზე მობილური ინტერნეტის ყველაზე მეტ ტრაფიკს კვლავ „მაგთიკომის“ აბონენტები აგენერირებენ:

4G ტექნოლოგიის მოხმარების ზრდასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიების მოხმარებით დაგენერირებული ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა. 2023 წელს, მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 96%, უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.

მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება ერთი აბონენტის მიერ თვეში, კომპანიების მიხედვით (გბ)



4G ტექნოლოგიით ტრაფიკის წილი მობილური ინტერნეტის ჯამურ ტრაფიკში



გამომდინარე იქიდან, რომ 2023 წელს „სელფი მობაილმა“ 5G ტექნოლოგია დანერგა, მოსალოდნელია, რომ 2024 წელს საქართველოში მობილური ინტერნეტის ტრაფიკში უკვე 5G ტექნოლოგიაც დაიკავებს გარკვეულ წილს.

5G ტექნოლოგია, მისი პოტენციალი და ფართო შესაძლებლობები მსოფლიოს მრავალ ბაზარზე უკვე ნათლად იჩენს თავს და უპირატეს შესაძლებლობებს სთავაზობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებს ციფრული ტრანსფორმაციის შეუქცევად პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია 5G ტექნოლოგია და მისი უპირატესობები საქართველოს ბაზრისთვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.


იურიდიული პირი აბონენტების სეგმენტი

2023 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული²⁵ ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 295 ათასი შეადგინა, რაც ჯამური იურიდიული პირი აბონენტების 23%-ია.

იურიდიული პირი აბონენტების განაწილება


2023 წელს იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებულ ჯამურ - 168 მლნ ლარის შემოსავალში, 44,5 მლნ ლარი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტებისგან იყო მიღებული.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU საშუალოდ 3,4 ლარით აღემატება სხვა იურიდიული პირი აბონენტების ARPU²⁶-ს.




● კონსოლიდირებული
● სხვა იურიდიული

ARPU (ლარი)




2023 წლის ბოლოსთვის, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართულ აბონენტებში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 76%-ია, სხვა იურიდიული პირი აბონენტებისთვის ეს მაჩვენებელი ასევე 76%-ს შეადგენს. ფიზიკურ პირ აბონენტებში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი 72%-ია.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე




კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტები სხვა იურიდიულ პირ აბონენტებთან შედარებით მეტი მოცულობის მობილურ ინტერნეტს მოიხმარენ. თუმცა, ფიზიკური პირი აბონენტის მიერ თვეში ინტერნეტის საშუალო მოხმარება აღემატება როგორც იურიდიული, ისე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული ერთი აბონენტის საშუალო მოხმარებას.

ერთი აბონენტის მიერ მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ)



²⁵საჯარო ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო ერთიანი ტენდერით მობილური მომსახურებების შესყიდვა.
²⁶2023 წლის დეკემბრის ARPU.

საშუალო MOU (წუთი)




რაც შეეხება ხმოვან მომსახურებას, 2023 წელსაც კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტები ყველაზე მეტს საუბრობენ. 2023 წელს ისინი მობილურზე საუბარს თვეში საშუალოდ 229 წუთს²⁷ უთმობდნენ. სხვა იურიდიული პირი აბონენტები - 163 წუთს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტები - 111 წუთს საუბრობდნენ. სამივე სეგმენტისთვის კლებადია საშუალოდ ერთი აბონენტის მიერ გამოყენებული ხმოვანი მომსახურების წუთების რაოდენობა.


როუმინგი

2023 წელს როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 31,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2022 წელთან შედარებით 10%-ით არის გაზრდილი.

შემოსავალი როუმინგიდან (მლნ ლარი)




ბასული როუმინგები (ათასი)



²⁷2023 წლის IV კვარტლის საშუალო.


ყველაზე მეტი თანხა - 1.78 მლნ ლარი, 2023 წელს როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა კვლავ თურქეთში დახარჯეს, რასაც ხელს უწყობს თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩასასვლელად.

■ ტოპ ქვეყნები გასული როუმერებისთვის (მლნ ლარი)




■ გასული როუმერების მიერ დაგეგმიერებული შემოსავლის გადანაწილება სერვისების მიხედვით

- ინტერნეტი
- ხმოვანი მომსახურება
- SMS




საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯეს რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა როუმერებმა. ეს ტენდენცია არ შეცვლილა 2022 წელთან შედარებით.

■ ტოპ ქვეყნები ჩამოსული როუმერებისთვის (მლნ ლარი)



■ ჩამოსული როუმერების მიერ დაგეგმიერებული შემოსავლის გადანაწილება სერვისების მიხედვით


- ინტერნეტი
- ხმოვანი მომსახურება
- SMS




მობილური ნომრების პორტირება

2023 წელს, მობილური ოპერატორების ქსელებში 39 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2022 წელთან შედარებით, 13 ათასი ნომრით ნაკლებია.

პორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)	
2019	52
2020	46
2021	37
2022	52
2023	39




პორტირებული აბონენტების რაოდენობა (ათასი)




	2019	2020	2021	2022	2023
 მაგთი MAGTI	14	16	21	24	17
 სილქნეტი SILKNET	21	21	9	19	15
 სილქნეტი SILKNET	17	9	6	10	7

ყველაზე მეტი აბონენტი „მაგთიკომის“ ქსელში გადმოპორტირდა, ყველაზე მეტი გადაპორტირებული აბონენტი კი „სელფი მობაილის“ ქსელიდან დაფიქსირდა.

**პორტირებული აბონენტების რაოდენობა
კომპანიების მიხედვით (ათასი)**




**მობილური მოწყობილობების განაწილება
მწარმოებლების მიხედვით**



ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა მსოფლიოში


2023 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 67%, 5,4 მილიარდი ადამიანი სარგებლობდა ინტერნეტით. წინა წლის მონაცემთან შედარებით, ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა 4.7%-ით გაიზარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 2.6 მილიარდი მოსახლე კვლავ ინტერნეტის გარეშე რჩება²⁸.

ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა მსოფლიოში (მლრდ)



ინტერნეტის მომხმარებლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 91%, ევროპაშია²⁹.

ინტერნეტ მომხმარებელთა გადანაწილება რეგიონების მიხედვით



²⁸⁻²⁹წყარო: ITU - [Measuring Digital Development: Facts and Figures 2023](#)

საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობა არაურბანულ დასახლებებში, ე.წ. ციფრული გაყოფა - თითქმის აღმოფხვრილია ევროპის მასშტაბით. დანარჩენ მსოფლიოში ეს განსხვავება კვლავ არსებობს, თუმცა მცირდება. გამოწვევა გულისხმობს არა მხოლოდ ინტერნეტისა და სხვა საკომუნიკაციო მომსახურებების ფიზიკური ხელმისაწვდომობის შეფერხებას, არამედ, განათლებისა და ცნობიერების კუთხით არსებულ პრობლემას.

ინტერნეტ მომსახურება წელი განაწილების მიხედვით



ფიქსირებული ფართობლოვანი³⁰ ინტერნეტ მომსახურება


საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურება კვლავ განვითარების დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა იზრდება, ხოლო სხვა მოძველებული ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა - მცირდება. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია აბონენტებს სთავაზობს უფრო სწრაფ ინტერნეტს, უფრო დიდ გამტარობასა და დაბალ დაყოვნებას ისეთ ძველ ტექნოლოგიებთან შედარებით, როგორებიცაა xDSL, ფიქსირებული უსადენო ინტერნეტი და ფიქსირებული LTE ინტერნეტი.

ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების განვითარების კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან საქართველოში ხელმისაწვდომი გახდა Starlink-ის³¹ მაღალი სიჩქარის სატელიტური ფართობლოვანი ინტერნეტი. აღნიშნული ტექნოლოგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო მაღალმთიან რეგიონებშია, ასევე დასახლებებში, სადაც ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი.

2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 1,115 მილიონი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 3.6%-ით - 39,1 ათასი აბონენტით გაიზარდა: ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა - 3.6%-ით, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა - 4%-ით არის გაზრდილი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდის საშუალო ტემპმა, ფიზიკური პირი აბონენტებისთვის 4.3%, ხოლო იურიდიული პირი აბონენტებისათვის - 4.6% შეადგინა.

ფიზიკური პირი აბონენტების წილი მთლიან რაოდენობაში, 95.2%-ია.

აბონენტების რაოდენობა ხელშეკრულების ტიპის მიხედვით (ათასი)



³⁰ITU-ს განმარტებით - ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით.

³¹Starlink-ი მსოფლიოში ერთ-ერთი მონიშნავ სატელიტური ფართობლოვანი ინტერნეტ სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალსიჩქარიან, დაბალი დაყოვნების მქონე ფართობლოვან ინტერნეტს მთელს მსოფლიოში.


2023 წელს, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობამ 1,061 მილიონი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 37,1 ათასი აბონენტით მეტია. შესაბამისად, გაიზარდა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში და 95,7% შეადგინა.



სააბონენტო სიმკვრივე შინამეურნეობებში	
2019	80.9%
2020	83.3%
2021	86.7%
2022	92.3%
2023	95.7%

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი ზრდა - 14,3 ათასი აბონენტით, „სილქნეტს“ და 11,7 ათასი აბონენტით - „მაგთიკომს“ ჰქონდა, თუმცა აღნიშნული აბონენტების პროცენტულად ყველაზე დიდი - 6,6%-იანი ზრდა „ახალი ქსელების ჯგუფმა“³² დააფიქსირა, რაც 4 ათას აბონენტს გულისხმობს.

■ ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)




	2019	2020	2021	2022	2023
● მაგთიკომი	430	458	474	497	508
● სილქნეტი	282	285	285	308	322
● ახალი ქსელების ჯგუფი	65	57	59	60	64
● სპაიდელი	17	25	50	55	58
● სხვა	103	99	94	104	109

³² „ახალი ქსელების“ ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელები“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა. ისინი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, იურიდიული პირი აბონენტების ყველაზე დიდი რაოდენობა „სილქნეტს“ ჰყავს, მეორე ადგილზე „მაგთიკომია“, ხოლო მესამე ადგილს, წინა წლის მსგავსად, „სქაიტელი“ იკავებს, რომელსაც აბონენტებად უმეტესწილად, საჯარო სკოლები ჰყავს.


■ იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2019	2020	2021	2022	2023
● სილქნეტი	20	20	20	21	23
● მაგთიკომი	13	13	14	15	16
● სააიბელი	3	3	5	6	6
● ახალი ქსელების ჯგუფი	4	3	3	3	3
● სსპა	5	5	5	7	6


2023 წელს, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო სეგმენტის შემოსავალი წინა წელთან შედარებით, 16,8%-ით გაიზარდა და 392 მლნ ლარი შეადგინა.

■ საცალო სეგმენტის შემოსავლები (მლნ ლარი)



შემოსავლებისა და აბონენტების რაოდენობების საშუალო ზრდის ტემპი განსხვავებულია. შემოსავლების 5 წლის საშუალო ზრდის ტემპის მაჩვენებელი 10,5%-ია, აბონენტების რაოდენობის კი - 4.3%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საშუალოდ, ერთი აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურებაში გადახდილი საფასური წლიდან წლამდე იზრდება.


საცალო სეგმენტის შემოსავლის და აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი




იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი, მთლიანი ოდენობის 27%-ს შეადგენს მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა ბაზრის მხოლოდ 5%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი აბონენტების მიერ ფიქსირებულ ინტერნეტ კავშირზე განეული დანახარჯი მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.

შემოსავლისა და აბონენტების გადახდილება აბონენტების ტიპების მიხედვით

აბონენტების რაოდენობა




მიღებული შემოსავალი




აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შემოსავლის 90,1% ბაზრის ოთხმა მოთამაშემ დააგენერირა, ხოლო დანარჩენი 9.9% 150 კომპანიაზე გადანაწილდა. „მაგთიკომს“ შემოსავლის მიხედვით, ბაზრის 46,7% უკავია, „სილქნეტს“ – 33,5%, „სტაიტელს“ – 5,9%, ხოლო „ახალი ქსელების ჯგუფს“ – 4%.

შემოსავლების გადანაწილება კომპანიების მიხედვით




განცალკევებულად ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, ფიზიკური პირებისგან ყველაზე დიდი წილი „მაგთიკომს“ აქვს, ხოლო იურიდიული პირებისგან - „სილქნეტს“.

ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მშპ-ის ცვლილების პროცენტული მაჩვენებლები 2023 წელს კვლავ დადებითია. თუმცა, მშპ-ს ზრდის ტემპი 10%-დან 7.5%-მდე³³ შემცირდა, ხოლო ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპი 14%-დან 16,8%-მდე გაიზარდა.

მშპ-სა და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის ზრდის ტემპი



2023 წელს, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-მ 23,1 ლარი, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების ARPU-მ - 169,7 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს 3%-იან, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების ამ მაჩვენებლის 8%-იან ზრდას წარმოადგენს.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების ARPU




³³საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის წინასწარი მონაცემი.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებლის ზრდა უფრო დიდი იყო 2022 წელს წინა პერიოდებთან შედარებით, რაც ძირითადად, ბაზარზე მოქმედი ორი ყველაზე დიდი საბაზრო წილის მქონე კომპანიის - „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ მიერ 2022 წელს მომსახურების პირობების ცვლილებით იყო განპირობებული.


2023 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისში, რეგიონებში არსებული აბონენტების ამ მაჩვენებელს 50%-ით აღემატება. დედაქალაქში და რეგიონებში ARPU, წინა წელთან შედარებით, პროცენტულად თითქმის თანაბრად გაიზარდა - 5,4%-ით და 5,7%-ით შესაბამისად.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისსა და რეგიონებში



ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ყველაზე მაღალია ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე და ის 23,4 ლარს შეადგენს, ხოლო ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიაზე ერთი აბონენტის დანახარჯი, საშუალოდ თვეში 21.5 ლარია. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ARPU ყველა ტექნოლოგიაზე გაიზარდა და ყველაზე დიდი - 9,1%-იანი ზრდა ფიქსირებულ LTE ტექნოლოგიაზე შეინიშნებოდა, ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიაზე - 6,4%-იანი, ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე - 3%-იანი ზრდა, ხოლო xDSL-ზე -2,8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით




საქართველოში 2023 წელს, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებში 85,8% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 3,9%-ით მაღალია.

2023 წლის ბოლოს მონაცემებით, ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურებას სულ 136 ავტორიზებული პირი ეწეოდა³⁴. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 78, ფიქსირებული უსადენო ინტერნეტით - 97, xDSL-ით - 6 კომპანია, ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით ბაზარს მომსახურებას კი მხოლოდ „სილქნეტი“ აწვდიდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მიმწოდებელი კომპანიების რაოდენობამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 78 კომპანია შეადგინა, თუმცა აღნიშნული კომპანიებიდან, აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ბაზრის 90%-ს მხოლოდ სამი კომპანია იკავებს, ხოლო დანარჩენი 75 კომპანიის წილი ბაზრის 10%-ს შეადგენს.


ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესობა - 89,7%, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობს, სხვა ტექნოლოგიებიდან ყველაზე დიდი წილი ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე მოდის.

ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით, მცირედით განსხვავებულია. აქ ფიქსირებულ უსადენო (FWA) და xDSL ტექნოლოგიას შედარებით უფრო დიდი წილი უჭირავს, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების სეგმენტზე.

იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




³⁴მოიცავს კომპანიებს, რომელთაც 2023 წლის IV კვარტალში ყავდათ 1 აბონენტი მაინც.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა ზრდას განაგრძობს და მისი წლიური ზრდის ტემპი 6,6%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა 4,8%-ით - 46 ათასი აბონენტით გაიზარდა. აბონენტების რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილი ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიას უჭირავს. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 2022 წელთან შედარებით, რის მიზეზიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის


ინტერნეტ მომსახურების ქსელის განვითარება და შესაბამისად, მისი ხელმისაწვდომობის ზრდაა. 2019 წლიდან მოყოლებული, წელიწადში საშუალოდ 24,7%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიისა და 33,2%-ით ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა. გასული წლებისგან განსხვავებით, 2023 წელს დაფიქსირდა ასევე ფიქსირებული უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიის აბონენტების კლება. ავტორიზებული პირები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ მოძველებული და შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობების მქონე ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ჩაანაცვლონ.

■ აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




2023 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ფიზიკური პირი აბონენტების 53,4% „მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობდა, 32,4% - „სილქნეტის“, სხვა ოპერატორების წილი ჯამში 14,2%-ს შეადგენდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი და xDSL ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდია ბაზრის იმ მოთამაშეების რიცხვი, რომლებიც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიით ახორციელებენ. 2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, აღნიშნულ ტექნოლოგიაზე 90 კომპანიიდან, აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი წილი - 45,9% „სქაიტელს“ აქვს.

Wi-Fi ტექნოლოგიის მომხმარებელი ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით



რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, ფიზიკური პირი აბონენტების 81% „სილქნეტის“ მომხმარებელი იყო, ხოლო 13,3% - „ახალი ქსელების ჯგუფის“, ყველა სხვა³⁵ ოპერატორის წილი კი ჯამში 5,7%-ს შეადგენდა.


xDSL ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




³⁵„სხვაში“ შემავალი კომპანიები: „გლობალ ერთი“, „სერვისნეტი“ და „საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერების ასოციაცია გრენა“.

ფიზიკურ პირ აბონენტებში დეკლარირებული სიჩქარეების გადანაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ წინა წლის მსგავსად, ყველაზე მოთხოვნად პაკეტს წარმოადგენს 30 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი, რომლის აბონენტების რაოდენობამ 561 ათასი შეადგინა, მეორე, ყველაზე მოთხოვნადი პაკეტი კვლავ 25 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტია, რომლის აბონენტების რაოდენობამ 245 ათასი შეადგინა. რაც შეეხება მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტს, 50 მბ/წმ ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობამ 32 ათასი შეადგინა, რაც ფიზიკური პირი აბონენტების 3,4%-ს წარმოადგენს, ხოლო 100 მბ/წმ ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 10 ათასი იყო, რაც ფიზიკური პირი აბონენტების 1%-ია. აღნიშნული მონაცემები ეხმიანება „ბენჩმარკინგის“³⁶ კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ინტერნეტის მოხმარება საქართველოში, მაღალი ფასებიდან გამომდინარე, დაბალია.

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით





ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (თბილისი)



2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, რეგიონებში 25-30მბ/წმ სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებით 428 ათასი აბონენტი სარგებლობდა, რაც რეგიონში არსებული აბონენტების 68%-ს წარმოადგენს. ხოლო 100მბ/წმ სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებით 2 ათასი აბონენტი სარგებლობდა, რაც რეგიონში არსებული აბონენტების 0,3%-ს წარმოადგენს.

³⁶საქართველოს სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარებითი ანალიზი „ბენჩმარკინგი“ კომუნიკაციების კომისიის დაკვეთით 2023 წლის აპრილში ჩატარდა. კვლევა ბრიტანულმა კვლევითმა ორგანიზაციამ, Strategy Analytics-მა (Teligen, TechInsights) საერთაშორისოდ აღიარებული და აპრობირებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ არის შემუშავებული. კვლევების შედეგები ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდზე: Comcom.Ge

ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (რეგიონები)




100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის ფიქსირებული ფართოგოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობაში ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში ოჯახების საშუალოდ 55% - 100 მბ/წმ-იანი ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობს, მათგან 19 ქვეყანაში ოჯახების 40%-ზე მეტი აღნიშნული სიჩქარის ინტერნეტს იყენებს³⁷, საქართველოში კი ოჯახების მხოლოდ 1%-ს აქვს 100 მბ/წმ-იანი ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი.


³⁷წყარო: DESI 2023 indicators - Digital Decade DESI visualisation tool (europa.eu)

2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობის პროცენტული გადანაწილება თბილისსა და რეგიონებში, წინა წელთან შედარებით, არ შეცვლილა.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში (წილი, ათასი აბონენტი)




აბონენტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში (ათასი)




2023 წელს, წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის 3,9%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, თბილისში კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 3,3% შეადგინა.

აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით თბილისსა და რეგიონებში




აბონენტების რაოდენობა რეგიონებში კომპანიების მიხედვით (ათასი)




2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია 95,7% იყო. პენეტრაცია ყველაზე დიდია აჭარაში და განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე თბილისში 136,2%, ხოლო აჭარაში - 136,8%, რაც გამოწვეულია ძირითადად, იჯარით გაცემულ/საიჯაროდ განსაზღვრულ უძრავ ქონებაში არსებული ინტერნეტ მომსახურებით, რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვიანობით და ასევე, ერთ ოჯახში სხვადასხვა პროვაიდერის რამდენიმე ინტერნეტ მომსახურების არსებობით. რეგიონებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 18,5%, ისევ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.

ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე რეგიონების მიხედვით




2023 წლის ბოლოს საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა ქვეყნის აბონენტების რაოდენობის 62%-ს შეადგენდა. აღნიშნულ ქალაქებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი ვითარდება და შესაბამისად, მზარდია ამ ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა.

აბონენტების რაოდენობა საქართველოს 5 დიდ ქალაქში ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების წილი ქალაქის ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიანი რაოდენობის 97%-ია.

აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში ტექნოლოგიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 48%, 475 ათასი აბონენტი, თბილისშია. საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე: თბილისზე, ქუთაისზე, ბათუმზე, რუსთავსა და ფოთზე ჯამში, ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 67% მოდის (668 ათასი აბონენტი), დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 33% - 328 ათასი აბონენტი.

ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში, დაბებსა და სოფლებზე




ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია³⁸ საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში, რაც შეეხება სოფლებს, საქართველოში სულ 3,385 სოფელია, საიდანაც 2,541-ში არის ინტერნეტ მომსახურების ერთი აბონენტი მაინც, წინა წელს აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომი იყო საქართველოს მხოლოდ 2,510 სოფელში.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა დასახლებაში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)



საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა³⁹ 261 ათასია, მაშინ, როცა ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 54 ათასს შეადგენს. რაც ნიშნავს, რომ ორგანიზაციების მხოლოდ 20%-ს აქვს ამ ტიპის ინტერნეტ მომსახურება. ამავე მონაცემებით, ინტერნეტ მომსახურება თბილისში მოქმედი ორგანიზაციების 24%-ს აქვს. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი მომსახურება, ფიზიკური პირებისგან განსხვავებით, ძვირია, რაც დაადასტურა საქართველოში ინტერნეტ მომსახურების საცალო ფასების შედარებითა ანალიზმა - ე.წ. ბენჩმარკინგმა, რომელმაც აჩვენა, რომ იურიდიული პირებისთვის 10მბ/წმ-იანი ოპტიკური ინტერნეტის ფასი, საქართველოში ევროპის 23 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 189%-ით მეტია. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში მაღალი სიჩქარის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სტანდარტულ იურიდიულ შეთავაზებებში ხელმისაწვდომი საერთოდ არ არის. შესაბამისად, შესაძლოა მცირე და საშუალო ორგანიზაციები ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი შეთავაზებებით ან მობილური ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობდნენ.


მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მათ შორის



³⁸ხელმისაწვდომობაში იგულისხმება დასახლებაში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1 აბონენტის არსებობა მაინც (ფიზიკური ან იურიდიული).
³⁹წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ინტერნეტის მაღალი სიჩქარე სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის საშუალო სიჩქარე მსოფლიოს 46 ქვეყანაში, 100 მბ/წმ-ს აღემატება⁴⁰. საქართველო ფიქსირებული ინტერნეტის საშუალო სიჩქარის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, ბოლო ადგილზეა:

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის საშუალო სიჩქარე ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოში (2024 წლის იანვრის მდგომარეობით (მბ/წმ)



⁴⁰წყარო: <https://www.speedtest.net/global-index>


ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო სერვისების მოხმარება

საქართველოში ფიქსირებულ ფართობოლოვან ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, აბონენტები ინტერნეტის მიმწოდებელი კომპანიის სხვა სერვისებითაც სარგებლობენ. რამდენიმე მომსახურებას ერთად, ძირითადად, „სილქნეტი“, „მაგთიკომი“, „სქაიტელი“ და „ახალი ქსელების ჯგუფი“ სთავაზობენ.

ინტერნეტ მომსახურებასთან კომბინაციაში მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV ტექნოლოგია), ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების (PSTN ან VoIP ტექნოლოგია) და მობილური მომსახურების მოხმარება 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით კვლავ ანალოგიურ სურათს გვაძლევს⁴¹: ინტერნეტის მომხმარებელი ფიზიკური პირი აბონენტების ყველაზე დიდი - 59,4%-იანი წილი ინტერნეტთან ერთად მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურებითაც სარგებლობს. სამი სერვისის კომბინაციაში ინტერნეტის, ტელევიზიის და მობილური მომსახურებები დომინირებს (8,8%), რომელიც, წინა წელთან შედარებით, 9%-ით არის გაზრდილი. წინა წლის მსგავსად, ერთი პროვაიდერის ოთხი მომსახურებით აბონენტების უმნიშვნელო ნაწილი - 0,1% სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი იმ კომპანიების წილი, რომლებიც ინტერნეტთან კომბინაციაში მომხმარებლებს სთავაზობენ სხვა მომსახურებებსაც, ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მთლიანი ბაზრის 90%-ს შეადგენს (აბონენტების რაოდენობის მიხედვით).

ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო სერვისების მოხმარება




⁴¹ანალიზში მონაწილეობს „მაგთიკომის“, „სილქნეტის“, „სქაიტელის“ და „ახალი ქსელების ჯგუფის“ ფიზიკური პირი აბონენტები.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიწოდება 2023 წელს ხდებოდა სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიებით. IV კვარტლის მონაცემებით, მომსახურების მიწოდებას 23 კომპანია ახორციელებდა. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 8 ავტორიზებული პირი, უსადენოთი – 1, VoIP-ით - 19⁴².


2023 წლის ბოლოს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 277 ათასი აბონენტი შეადგინა. 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 12%-ით (37 ათასი აბონენტი) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების, შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ამით გამოწვეული OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

■ აბონენტების რაოდენობა (ათასი)



2023 წელს, წინა წლების ანალოგიურად, აბონენტების რაოდენობა შემცირდა გამოყენებულ ყველა ტექნოლოგიაზე.


■ აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)



⁴²ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების რაოდენობის ჯამს.


შესაბამისად, მცირდება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში და 2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, 21%⁴³ შეადგენს. განსხვავებით მობილური მომსახურების პირობებისა, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ფიქსირებული მომსახურებით არ სარგებლობს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან, მისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში არ ხდება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების რაოდენობის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

სიმკვრივე შინამეურნეობაში




აბონენტების კლებასთან ერთად, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება ჯამური საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის კლების ტენდენციითაც ხასიათდება.

შემოსავალი საცალო სეგმენტიდან (მლნ ლარი)




შემოსავალი საცალო სეგმენტიდან ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




⁴³ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობასთან, რომელიც დათვლილია 2014 წლის აღწერის მდგომარეობით.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც გრძელდება.

გამავალი წუთები (მლნ)




გამავალი წუთები ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ)




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სერვისის სადენიანი და VoIP ტექნოლოგიებით მიმწოდებელი კომპანიების წილები შემდეგია:

სადენიანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



- სილქნეტი
- ახალი ქსელების ჯგუფი
- სხვა

VoIP ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება




- სილქნეტი
- ბეელინე
- ნინეჯონი
- მაგთიკომი
- სხვა

მაუწყებლობის ტრანზიტი⁴⁴


2023 წლის IV კვარტალში მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების მიმღები 745 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,3%-ით (9 ათასი აბონენტი) ნაკლებია და 2022 წლის 31 დეკემბრიდან „მაგთისატის“ მომსახურების გათიშვითაა განპირობებული. 2019 წლის შემდეგ აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 2%-ია.

შესაბამისად, მცირედით შემცირდა აბონენტთა სიმკვრივეც - მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებაზე აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებზე 67,1% შეადგინა.



მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავლის წლიურმა ოდენობამ 144,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 6%-ით - 8 მლნ ლარით მეტია. საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა 2019 წლის შემდეგ, 6%-ია.

საცალო სავაჭრო შემოსავლის ოდენობა⁴⁵




⁴⁴მონაცემები წარმოდგენილია 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით.

⁴⁵მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.


2023 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი, წინა წელთან შედარებით, 5,4%-ით გაიზარდა და 87% გახდა. IPTV-ის საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების წილიც, მთლიან შემოსავალში 1,1%-ით გაიზარდა და 91% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)



	2019	2020	2021	2022	2023
DVBT	33.2	39.6	42.6	43.9	44.3
IPTV	547.2	556.6	581.3	613.9	645.0
თანამგზავრული	69.1	54.5	46.1	35.0	0.2
ინტერნეტ ტელევიზია	8.6	15.5	27.2	15.0	12.8
კოაქსიალური	28.0	26.5	20.8	18.4	16.1
რადიოსიხშირული	44.8	39.3	33.0	28.9	25.8


საცალო სეგმენტის შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)



	2019	2020	2021	2022	2023
IPTV	93.9	103.1	112.0	121.6	131.2
რადიოსიხშირული	6.6	5.6	0.4	0.4	4.6
თანამგზავრული	6.0	5.6	0.4	0.2	0.2
კოაქსიალური	4.0	3.3	0.3	0.2	2.7
DVBT	2.3	2.8	0.3	0.4	5.1
ინტერნეტ ტელევიზია	0.5	0.7	0	0.03	0.55


წლის ქრილში, თვის საშუალო ARPU გაზრდილია რადიოსიხშირულ, თანამგზავრულ, კოდექსიალურ და DVBT ტექნოლოგიებში.

**საშუალო წლიური ARPU
ტექნოლოგიების მიხედვით⁴⁶**




2023 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2022 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, IPTV-ის აბონენტების რაოდენობა 5%-ით, ხოლო საცალო შემოსავლების წლიური ოდენობა - 8%-ით გაიზარდა.

**IPTV-ის აბონენტების
რაოდენობა (ათასი)**



**IPTV-ის საცალო შემოსავლები
(მლნ ლარი)**



IPTV მომსახურებას 2023 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად, ორი ოპერატორი - „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ აწვდიდა.




IPTV-ის აბონენტების განაწილება




⁴⁶მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

2023 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2022 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, თანამგზავრული ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 95%-ით, კოაქსიალურის - 4%-ით და რადიოსიხშირული ტექნოლოგიის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 10%-ით შემცირდა.

თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების მუშაობის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა (ათასი)




თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტული მომსახურების საცალო შემოსავლები (მლნ.ლარი)




შემცირდა თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის წლიური საცალო შემოსავლებიც: თანამგზავრული - 91%-ით, კოაქსიალური - 16%-ით, რადიოსიხშირული - 6%-ით.

მუწყებლობის ტრანზიტორმა ოპერატორებმა 2023 წელს, სააბონენტო შემოსავლის 97,4% ფიზიკური პირებისგან მიიღეს, იურიდიულ პირებს კი მხოლოდ 2,6% ეკუთვნით. შედარებისათვის, 2022 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად - 97% და 3% იყო. ორივე შემთხვევაში აბონენტების გადანაწილება მსგავსია და აბონენტების 99%-ს ფიზიკური პირები შეადგენდნენ.

სააბონენტო შემოსავლების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



აბონენტების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



მულტიპლექს მომსახურება

2023 წელს საქართველოში სულ 28 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 11-მა მათგანმა მიიღო. დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ და შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ. მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით წლის განმავლობაში 6.7 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“-ზე და „საქართველოს ტელერადიოცენტრზე“ მოდიოდა:




მულტიპლექსების მიერ დაგენერირებული შემოსავლების განაწილება

სტერეო +	71%
საქართველოს ტელერადიოცენტრი	26%
სხვა	3%

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2023 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის⁴⁷ ოდენობა 248 მლნ ლარს შეადგენდა.


ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია (მლნ ლარი)⁴⁸



⁴⁷ მოიცავს მობილური და ფიქსირებული (სადენიანი და უსადენო) მომსახურების ქსელსა და მანუქებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების ოდენობას. კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული იმ პირების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.


⁴⁸ მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან კომპანიების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება ქსელის ტიპების მიხედვით




ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი 3 კომპანია „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „სელფი მობაილია“. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მთლიანი ოდენობის 95%-ს შეადგენს.

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




2023 წელს მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი - 58% „მაგთიკომზე“ მოდის.

მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)




მობილურ და ფიქსირებულ მომსახურებებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი - 62.8% და 46,7%, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე⁴⁹ მოდის.

მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ ლარი)




ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ ლარი)



⁴⁹ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ქსელური კაბელები და არხები, ხოლო აპარატურა მოიცავს ყველა სახის აპარატურას, მათ შორის - ქსელის აპარატურას.

2023 წელს მაუწყებლობის დარგში 109 მოქმედი⁵⁰ პირი დაფიქსირდა, რომელთა ჯამური შემოსავალი, სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლების ჩათვლით, 253.8 მლნ ლარია.

მაუწყებლობის შემოსავლის წილები კატეგორიების მიხედვით




გასულ წელს 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი არცერთ მაუწყებელს არ მიუღია. B კატეგორიაში⁵¹ კი სულ 5 მაუწყებელია, რომელთა მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მაუწყებლების ჯამური შემოსავლების 76% შეადგინა.

ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2023 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 63 პირი), მთლიანი შემოსავლის 1% შეადგინა.

2023 წელს 107 მოქმედი მაუწყებელი იყო, რომლებსაც მაუწყებლობიდან შემოსავალი⁵² დაუფიქსირდათ. მათმა ჯამურმა შემოსავალმა 110.9 მლნ ლარი შეადგინა. მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა პირმა „ტელეიმედმა“ და „მედია ჰოლდინგმა“ მიიღო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 43% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2023 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 64 პირი), მთელი შემოსავლების 2% შეადგინა.

მოქმედ მაუწყებლობის შემოსავლის განაწილება მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით




2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ავტორიზებულია 110 სატელევიზიო სამაუწყებლო არხი, ლიცენზირებულია 54 და ავტორიზებულია 12 რადიო მაუწყებელი. მათ შორის ღია საეთერო ეროვნული სატელევიზიო მაუწყებელი იყო 18. ამას ემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამი არხი. შესაბამისად, 2023 წელს, სულ 21 ღია საეთერო ეროვნული სამაუწყებლო არხი მაუწყებლობდა.

2023 წლის განმავლობაში შემოსავალი უფიქსირდებოდა 74 სატელევიზიო და 41 რადიო მაუწყებელს.

2023 წელს მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 110.9 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 102.8 მლნ ლარი ტელევიზიებმა, 8.1 მლნ ლარი კი რადიოებმა მიიღეს.

მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)⁵³



⁵⁰მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა.

⁵¹კატეგორიები შემოსავლების მიხედვით:


⁵²მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი გულისხმობს მაუწყებლის მიერ მიღებულ შემოსავალს, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლებისა.

⁵³მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

2023 წელს, ტელევიზიებისა და რადიოების ჯამური სარეკლამო⁵⁴ შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 18.8%-ით გაიზარდა და 95 მილიონი ლარი შეადგინა.

■ **მაუწყებლოებიდან მიღებული შემოსავალი⁵⁵ (მლნ ლარი)⁵⁶**



2023 წელს, ტელევიზიების კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხა 87.4 მილიონი ლარია, რაც წინა წელთან შედარებით, 18.7%-ით არის გაზრდილი.


■ **სატელევიზიო კომერციული რეკლამის შემოსავალი (მლნ ლარი)⁵⁷**

2023	87.4
2022	73.7
2021	79.7
2020	61.4
2019	66.8



აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური⁵⁸ სამაუწყებლო შემოსავლის 72.5%-ს კომერციული რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა.

■ **სატელევიზიო მაუწყებლოებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით**



⁵⁴რეკლამა აერთიანებს 5 კატეგორიას - პირდაპირი რეკლამა (მათ შორის ფასიანი პოლიტიკური რეკლამა), სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება.


⁵⁵იგულისხმება ყველა ტიპის შემოსავალი, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.

⁵⁶⁻⁵⁷მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

⁵⁸გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.

ტელევიზიების მიერ მიღებული ჯამური სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს კომერციული რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა.


სატელევიზიო მაუწყებლების მიერ კომერციული რეკლამიდან მიღებული შემოსავლების გადასწორება კატეგორიების მიხედვით⁵⁹



2023 წელს არსებითად არ შეცვლილა როგორც მაუწყებლების დამფინანსებლების რაოდენობა, ისე განთავსებული რეკლამების ხანგრძლივობა ან რაოდენობა. შესაბამისად, საუკეთესო შემოსავლების მქონე 10 მაუწყებლის შემოსავლების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ზრდა დიდწილად მაუწყებლის ეთერში განთავსებული 1 წამი სარეკლამო დროის ფასის მნიშვნელოვანი ზრდითაა განპირობებული.

მაუწყებლების რეკლამის დამკვეთებს შორის, მათ მიერ გენერირებული შემოსავლებით, კვლავ სურსათის/სასმელების სექტორი ლიდერობს 8.1 მილიონი ლარით, მეორე და მესამე ადგილებს კი შესაბამისად ფარმაციის (7.02 მლნ ლარი) და დისტრიბუციის (3.6 მლნ ლარი) სექტორები იკავებენ.

შემოსავალი სექტორების მიხედვით



⁵⁹მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების⁶⁰ ოდენობის მიხედვით, 2023 წელს ყველაზე დიდი წილი - 32.8%, „ტელეიმედს“ ეკავა, „მედია ჰოლდინგს⁶¹“ – 13.7%, „მთავარ არხს“ - 7.7%, „პოსტეს“ - 7.2%, „სილქ მედიას“ – 6.8%, „ტელეკომპანია პირველს“ – 5.4%, „ფორმულას“ – 5.4%, „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს - 3.2%, „ბი ემ ჯის“ – 3.1%, საზოგადოებრივ მაუწყებელს კი 2.8%. სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 11.9% შეადგინა.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით

ტელეიმედი	32.8%
მედია ჰოლდინგ	13.7%
მთავარი არხი	7.7%
პოსტვ	7.2%
სილქ მედია	6.8%
ტელეკომპანია პირველი	5.4%
ფორმულა	5.4%
ჯი-დი-ეს-თივი	3.2%
ბი ემ ჯი	3.1%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	2.8%
სხვა	11.9%



მიღებული სატელევიზიო კომერციული სარეკლამო⁶² შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2023 წელს ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს“ ეკავა - 38.6%, „მედია ჰოლდინგს“ – 15.7%, „მთავარ არხს“ – 9%, „პოსტეს“ – 8.5%, „ფორმულას“ – 6.1%, „ტელეკომპანია პირველს“ – 6%, „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს – 3.8%, „ბი ემ ჯი“-ს – 3.6%, საზოგადოებრივ მაუწყებელს – 2.8%, „მედია-ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზს“ – 0.5%. სხვა მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 5.4% შეადგინა.

სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით

ტელეიმედი	38.6%
მედია ჰოლდინგ	15.7%
მთავარი არხი	9.0%
პოსტვ	8.5%
ფორმულა	6.1%
ტელეკომპანია პირველი	6.0%
ჯი-დი-ეს-თივი	3.8%
ბი ემ ჯი	3.6%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	2.8%
მედია-ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი	0.5%
სხვა	5.4%



⁶⁰გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.
⁶¹„მედია ჰოლდინგ“ მოიცავს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს, მარაოსა და კომედი არხს.
⁶²კომერციულ სარეკლამო შემოსავალს მოიცავს: პირდაპირი რეკლამა, სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება.



2023 წელს „ტელეიმედის“ რეკლამის დამკვეთი კომპანიების ათეული, რომელთა გადახდილი თანხაც 500 ათას ლარს აღემატება, ასე გამოიყურება:




- „რუსთავის აზოტი“
- „დიპლომატ ჯორჯია“
- „პსპ ფარმა“
- „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“
- „სმარტ კაპიტალ ქონსალტენსი“
- „Optimum Media Buying Limited“
- „არქი პრომოუშენი“
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- „ნესტლე საქართველო“
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



„მედია ჰოლდინგის“ დამკვეთი კომპანიები, რომლებმაც ტელევიზიას 500 ათას ლარზე მეტი გადაუხადეს:

კომპანიები, რომლებიც მაუწყებლისაგან სარეკლამო დროს 100 ათასიდან 500 ათასამდე ლარის ღირებულების ფარგლებში ყიდულობდნენ:



- „პსპ ფარმა“
- „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“
- „დიპლომატ ჯორჯია“
- „ავერსი-ფარმა“
- „ნესტლე საქართველო“
- „Optimum Media Buying Limited“
- „ლაქტალის ჯორჯია“
- „მაკდონალდსი“
- „იმპელ დეველოპმენტი“
- „არქი პრომოუშენი“



„მთავარი არხის“ დამკვეთ კომპანიებს, რომლებიც ტელევიზიას **500 ათას ლარზე მეტს** უხდიდნენ, წარმოადგენდნენ:

კომპანიები, რომლებიც მაუწყებლისაგან სარეკლამო დროს **100 ათასიდან 500 ათასამდე ლარის** ღირებულების ფარგლებში ყიდულობდნენ:




- „პსპ ფარმა“
- „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“
- „დიპლომატ ჯორჯია“

- „ავერსი-ფარმა“
- „ჯი ემ ფარმასიუთიქალს“
- „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“
- „მაკდონალდსი“
- „სელფი მობაილ“
- „გორჯია“
- „ვიმ ბილ დან საქართველო“



„ზოსტვს“ დამკვეთ კომპანიებს, რომლებიც ტელევიზიას **500 ათას ლარზე მეტს** უხდიდნენ, წარმოადგენდნენ:

კომპანიები, რომლებიც მაუწყებლისაგან სარეკლამო დროს **100 ათასიდან 500 ათასამდე ლარის** ღირებულების ფარგლებში ყიდულობდნენ:



- „კავეა“
- „კავკასუს ავტო სერვისი“
- „ფალავანი“
- სტერეო+“

- „გემრიელი“
- „მალკო“
- „არქი პრომოუშენი“
- „ტიფლის ფაბ“
- „ქართული რძის პროდუქტები“
- „დს ჯგუფი“



„ფორმულას“ დამკვეთ კომპანიებს, რომლებიც ტელევიზიას **500 ათას ლარზე მეტს** უხდიდნენ, წარმოადგენდნენ:

კომპანიები, რომლებიც მაუწყებლისაგან სარეკლამო დროს **100 ათასიდან 500 ათასამდე ლარის** ღირებულების ფარგლებში ყიდულობდნენ:

კომპანიები, რომელთა მიერ შეძენილი სარეკლამო დროის ფასი **50 ათასიდან 100 ათას ლარამდე** დიაპაზონში ხვდებოდა:


- „პსპ ფარმა“
- „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“

- „სი კორპორეიშენ 22“
- „თეგეტა მოტორსი“
- „თიბისი ბანკი“
- „ორთაჭალა გეითი“
- „ავერსი-ფარმა“
- „პ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“

- „კავეა“
- „ჩინური მედიცინის ცენტრი“

TV შინჯელი **„ტელეკომპანია პირველის“** დამკვეთ კომპანიას, რომელიც ტელევიზიას **500 ათას ლარზე მეტს** უხდიდა:

კომპანიები, რომლებიც მაუწყებლისაგან სარეკლამო დროს **100 ათასიდან 500 ათასამდე ლარის** ღირებულების ფარგლებში ყიდულობდნენ:




- „პსპ ფარმა“

- „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“
- „გალფი“
- „კავეა“
- „თიბისი ბანკი“
- „სოფარმა“
- „ნოვა“
- „იმპექსფარმი“
- „ბერლინ-ქიმიას წარმომადგენლობა საქართველოში“
- „თბილისი ცენტრალი“

პირდაპირ და გადახვევის რეჟიმებში ყურებადობა

2023 წელს, ერთი ადამიანი საშუალოდ, დღის განმავლობაში ტელევიზორს დაახლოებით 164 წუთს უყურებდა.

პირდაპირ და გადახვევის რეჟიმებში ყურებადობა⁶³



რადიომაუწყებლობა

2023 წელს რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლებმა 7.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით, 1.3 მლნ ლარით მეტია.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლები (მლნ ლარი)

2023	7.6
2022	6.3
2021	7.2
2020	6.8
2019	8.8



რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს, 99.96%-ს, კომერციული რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა, პროდუქტის განთავსებასა და განცხადებებს კი, მცირე წილი ეკავა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების განაწილება კატეგორიების მიხედვით



⁶³2023 წელს, მონაცემების მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსის“ მიერ აუდიტორიის საზომი კვლევის პანელის გაფართოებით.

რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2023 წელს ყველაზე დიდი წილი - 57.9%, რადიო ჰოლდინგ ფორტუნას ეკავა. რადიო იმედს - 9.6%, რადიო პალიტრას - 5.0%, ქართულ რადიოს - 4.1%, რადიო ჯორჯიან თაიმსს - 3.5%, მდ ჯგუფს - 3.4%, ჰოლდინგი-აფხაზეთის ხმას - 2.6%, სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს - 2.6%, ახალ რადიოს - 1.3%, ძველ ქალაქს კი - 1.0% ეკავა. სხვა რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 8.9% შეადგინა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით⁶⁴


რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	57.9%
რადიო იმედი	9.6%
რადიო პალიტრა	5.0%
ქართული რადიო	4.1%
რადიო ჯორჯიან თაიმსი	3.5%
მდ ჯგუფი	3.4%
ჰოლდინგი - აფხაზეთის ხმა	2.6%
სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი	2.6%
ახალი რადიო	1.3%
ძველი ქალაქი	1.0%
სხვა	8.9%



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები


2023 წელს, მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების⁶⁵ ოდენობამ 60,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 130,7%-ით მეტია.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები (მლნ ლარი)⁶⁶



⁶⁴დამრგვალების გამო, მონაცემები 100-ზე არ ჯამდება.
⁶⁵კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის იმ მაუწყებლების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.
⁶⁶2021 წლიდან გამოყოფილია „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ მიერ განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული ინვესტიციის
ოქონობა კატეგორიების შესაბამისად (მლნ ლარი)




მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული
კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება
კომპანიების მიხედვით

საზოგადოებრივი მაუწყებელი ⁶⁷	38%
სილქნეთი	31%
თელინეთი	18%
მედია ჰოლდინგ	8%
სხვა	5%

⁶⁷შედის როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ისე „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაკიტალური ინვესტიციის კატეგორიები კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2023 წელს, კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სულ **499,573,882** ლარი შევიდა. გასულ წელს, მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების⁶⁸ სახით გადახდილმა თანხამ **56,048,528** ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - **441,467,364** ლარი. რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, 2023 წელს სულ კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში **2,011,060** ლარი შევიდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის⁶⁹ სახით ბიუჯეტში **46,930** ლარი ჩაირიცხა.

⁶⁸მონაცემები ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა. მოიცავს: საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, დღგ-ს, აქციზს, იმპორტის გადასახადს, ქონების გადასახადს, მიწის გადასახადს (სასოფლო-აღასასოფლო).
⁶⁹ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 8.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

მედიამომსახურებების მიმართულებით ქართული კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების წლების უკან დანყებული პროცესი, 2023 წელს გაგრძელდა.

კომუნიკაციების კომისიის მონაწილეობითა და ევროკომისიის ჩართულობით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ 2010/13/EU დირექტივასთან ჰარმონიზების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები მომზადდა. 2023 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგადაც მაუწყებლობის თვითრეგულირების ორგანოების ინსტიტუციური მოწყობის საკითხები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირდა. კანონში ცვლილებებამდე, აღნიშნული წესები „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ წესრიგდებოდა.

კანონის მიხედვით, სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების საკითხები კომუნიკაციების კომისიის რეგულირებას დაექვემდებარა. კერძოდ, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს კომუნიკაციების კომისიაში. აღნიშნულ ცვლილებამდე მას ეს უფლება არ ჰქონდა, რადგან მაუწყებლის თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ამავე თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში საჩივრდებოდა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და კომუნიკაციების კომისიასა და სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ცვლილების მიხედვით, ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევაში, კომუნიკაციების კომისია უფლებამოსილია კანონით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება საკუთარი ინიციატივით მოახდინოს.

ასევე, დაიხვეწა საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა კომუნიკაციების კომისიის მხრიდან რეაგირების წესებს, არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი მასალის, კერძოდ - პორნოგრაფიისა და უხამსობის შემცველი პროგრამების ან რეკლამების გადაცემის შემთხვევაში.

კანონით დაიხვეწა კომუნიკაციების კომისიის წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესები. დადგინდა კომუნიკაციების კომისიის წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში შესაბამისი საკონკურსო კომისიის მონაწილეობაც. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შექმნილი მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული



საკონკურსო კომისია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას დაადგენს, გამართავს გასაუბრებას კანდიდატებთან და საქართველოს მთავრობას კანდიდატების შესახებ რეკომენდაციას წარუდგენს. უშუალოდ კანდიდატების შერჩევა საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული, კონსტიტუციის შესაბამისი წესით მოხდება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარსადგენი კანდიდატურების სიას, რომელიც შემდგომ საქართველოს პარლამენტს წარედგინება ასარჩევად. კომუნიკაციების კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები საქართველოს პარლამენტის რეკლამენტის ნაცვლად, დარეგულირდა უშუალოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. ასევე, დაზუსტდა კომუნიკაციების კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და პროცედურა. ცვლილების შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლია კომუნიკაციების კომისიის წევრის მიერ 15 დღის ნაცვლად, ზედიზედ 3 თვეზე მეტი ხნით, ან წლის განმავლობაში 2 თვის ნაცვლად, 4 თვეზე მეტი ხნით, არასაპატიო მიზეზით უფლებამოსილების შეუსრულებლობა. ასევე, დადგინდა, რომ კომუნიკაციების კომისიას და კომუნიკაციების კომისიის იმ წევრს, რომლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს, უფლება აქვს, საქართველოს პარლამენტს პლენარულ სხდომაზე წერილობით ან/და ზეპირად წარუდგინოს საკუთარი პოზიცია.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონით დაზუსტდა მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის საკითხი და მიეთითა, რომ დაინტერესებული პირის სარჩელს სასამართლო განიხილავს მხოლოდ მაშინ, თუ მას ამავე საკითხზე მიმართული აქვს კომუნიკაციების კომისიისთვის.

კანონით დადგინდა გამარტივებული ავტორიზაციის წესი ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რომლებიც ავტორიზაციას მარტივი, კომუნიკაციების კომისიისთვის ავტორიზაციის შეტყობინების წარდგენის გზით გაივლიან. მკაფიოდ ჩამოყალიბდა ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი პირების პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ფარგლები, მათ პლატფორმაზე სარედაქციო პასუხისმგებლობის გარეშე განთავსებული მასალისთვის. ასევე დაბუსტდა, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელ პირებს პასუხისმგებლობა შეიძლება

დაეკისროთ მხოლოდ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო და არა უშუალოდ პლატფორმაზე განთავსებული მასალის მართლსაწინააღმდეგო ხასიათისთვის.

კანონით შემსუბუქდა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამების ეთერში გადაცემისთვის. კერძოდ, აღნიშნული დარღვევისთვის, პირველ ჯერზე, მაუწყებლებს ჯარიმის ნაცვლად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნების დარღვევის მსგავსად, წერილობითი გაფრთხილება დაეკისრებათ.

2024 წლის გეგმა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია გამოცხებით აუდიოვიზუალური მომსახურების ე.წ. VOD და ვიდეო გაზიარების პლატფორმების ე.წ. VSP სერვისებისთვის ქვევის კოდექსებს შეიმუშავებს. ჩატარდება ევროპის ქვეყნებში არსებული კოდექსების კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდება სამუშაო დოკუმენტები, ხოლო ნორმატიული აქტების შემუშავებაში ევროპელი ექსპერტები ჩაერთვებიან. დოკუმენტები შესაფასებლად ევროკომისიას გაეგზავნება.

ასევე, კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კომუნიკაციების კომისია მეორად კანონმდებლობას შეიმუშავებს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მედიამომსახურებებზე უწყვეტ და პროგრესულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. კომუნიკაციების კომისია მიიღებს წესებს, რომლებიც შპს პირთათვის მედიამომსახურებების განგრძობითად და პროგრესირებადად ხელმისაწვდომობას, მათთვის აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ონლაინპორტალის ფუნქციონირებას, ასევე, შპს პირებისთვის ადაპტირებული პროგრამების, მათ შორის აუდიოდეკრიფციით, სუბტიტრებიტა და შესტების ენით მომზადებასა და განთავსებას მოიცავს.

ეთერში პროდუქტის განთავსების ე.წ. Product Placement შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა

ბოლო წლებში გახშირდა მაუწყებლების მიერ სარეკლამო კომუნიკაციების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, რაზეც კომუნიკაციების კომისიამ, ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, შესაბამისი რეაგირება მოახდინა. ძირითადად, საქმე სპონსორობისა და პროდუქტის განთავსების ე.წ. Product Placement წესების დარღვევებს ეხებოდა.

სამაუწყებლო სფეროში აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, იმისთვის, რომ მაყურებლების უფლებები იყოს დაცული და არ ხდებოდეს მაუწყებლის მიერ მათი შეცდომაში შეყვანა, კომუნიკაციების კომისიამ, 2023 წელს, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, კვლევა დაიწყო. კვლევის მიზანი პროდუქტის განთავსების შესახებ ევროპის 15 ქვეყანაში არსებული პრაქტიკის შესწავლაა.

სპონსორობისა და პროდუქტის განთავსების წესების დარღვევა ლახავს მაყურებლის უფლებებს, ვინაიდან წამყვანების მიერ პროდუქტის მახასიათებლებსა და უპირატესობებზე გადაჭარბებული ხაზგასმისას, შეუძლებელი ხდება რეკლამისა და გადაცემის შინაარსის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სარეკლამო წესების დარღვევა, ასევე დამაზიანებელია სარეკლამო ბაზრისთვის, რადგან რეკლამის დამკვეთები პროდუქტის განთავსებაში თანხის გადახდას ანიჭებენ უპირატესობას.

მოკვლევის ფარგლებში, შესწავლილია პროდუქტის განთავსების რეგულირების საუკეთესო მაგალითები და მიდგომები, რომელებიც სარეკლამო კომუნიკაციების ბაზარზე არსებობს. მათ შორის: რა ზიანი ადგება მაყურებელს პროდუქტის არაიდენტიფიცირებადი და გადაჭარბებული განთავსებით; როგორია სარეკლამო კომუნიკაციის სახეები და პროდუქტის განთავსების განსაკუთრებულობა; რას ექვევება ყურადღება დარღვევის დადგენისას.

კვლევის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა, მათ შორის ის, რომ ევროპის ყველა ქვეყანაში, კანონის აღსრულების ნაწილში, გაცილებით მკაცრი მიდგომებია, ვიდრე საქართველოში. კვლევამ ასევე, აჩვენა, რომ გადაცემის შინაარსისა თუ ფორმატის მიუხედავად, სარეკლამო კომუნიკაცია მკაფიოდ იდენტიფიცირებული უნდა იყოს, რადგან მაყურებელმა უნდა იცოდეს, რომ ის სარეკლამო კომუნიკაციას უყურებს. კვლევით დადგინდა, რომ ქართული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია ევროპულ პრაქტიკასთან, თუმცა კანონის მოთხოვნების ეფექტიანი აღსრულებისთვის, დარგის რეგულატორი უფრო მომთხოვნი უნდა გახდეს.

2024 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, სტანდარტის დაწესებას და მიდგომის დაინტერესებული პირებისთვის გაცნობას გეგმავს. კომუნიკაციების კომისია გადაწყვეტილებას არსებული რეგულაციის ან პრაქტიკის შეცვლის საჭიროების შესახებ მიიღებს და როგორც მაუწყებლებისთვის, ისე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, აქტივობებს განახორციელებს. ასევე, ჩატარდება მონიტორინგი და გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მოხდება კანონის აღსრულება.



წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგი

კომუნიკაციების კომისია, „წინასაარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, ახორციელებს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგს და შედეგებს საჯაროდ აქვეყნებს. 2023 წელს, საქართველოს პარლამენტის შუალედური და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების, ასევე საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნების რაოდენობრივი მედიამონიტორინგი განხორციელდა. მონიტორინგს ის ადგილობრივი მაუწყებლები დაექვემდებარა, რომლებიც იმ მულტიპლექსებით მაუწყებლობენ, რომელთა დაფარვის ზონაშიც აღნიშნული არჩევნების საარჩევნო ოლქები შედის.

საქართველოს პარლამენტის შუალედური და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, მონიტორინგი 3 მაუწყებელს: „თრიალეთს“, „გურჯაანს“ და „ტვ 4“-ს

ჩაუტარდა. ხოლო, საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისას - 15 მაუწყებელი, მათ შორის: „ალტ ინფო“, „ეგრისი“, „ერი მედია“, „რიონი“, „მეგა ტვ“, „გურჯაანი“, „არგო“, „ზარი“, „მე-9 არხი“, „ატვ 12“, „იმერვიზია“, „ხარისხის არხი“, „ეკომი“, „ფარვანა“ და „მეცხრე ტალღა“ შემონიშნა.

მონიტორინგი საუკეთესო დროს, კერძოდ, 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში მიმდინარეობდა და კომუნიკაციების კომისიის დაკვირვების საგანს წინასაარჩევნო რეკლამა, წინასაარჩევნო დებატები, ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, წინასაარჩევნო აგიტაცია და საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები წარმოადგენდა.

აღნიშნული არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კომუნიკაციების კომისიამ მედიამონიტორინგის ანგარიშები ვებ-გვერდზე ოფიციალურად გამოაქვეყნა.

2024 წლის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნებია დაგეგმილი, „წინასაარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია ვალდებულია წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი განახორციელოს.

24 საათიან რაოდენობრივ მონიტორინგთან ერთად, საერთო ეროვნულ მაუწყებლებს, საუკეთესო საეთერო დროის პერიოდში, ასევე თვისებრივი მონიტორინგი ჩაუტარდება. თვისებრივი მონიტორინგისას კომუნიკაციების კომისია ყურადღებას მედია სტანდარტებზე გაამახვილებს.

მედიამონიტორინგს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭოს მედიაექსპერტის, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელი დირექტორის, რასტო კუზელის მიერ გადამზადებული მონიტორინგი ჩაატარებენ.

მედიანინგნიერების ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში

მას შემდეგ, რაც 2018 წლიდან კომუნიკაციების კომისიას კანონით მედიანინგნიერების განვითარების ხელშეწყობის ფუნქცია დაეკისრა, ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ღონისძიებებისა და პროექტების უმრავლესობა მოსწავლეებში, მასწავლებლებში, მშობლებსა და სტუდენტებში მედიანინგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას ემსახურება.

2022 წლიდან კი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, კომუნიკაციების კომისიამ მედიანინგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების პროექტი დაიწყო.

მედიანინგნიერება, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, 2018 წლიდან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით სხვადასხვა საგანშია ინტეგრირებული. თუმცა, კომუნიკაციების კომისიის ძალისხმევით, 2023-2024 სასწავლო წლიდან მედიანინგნიერება, როგორც ცალკე, არჩევითი საგანი, X-XII კლასებში ისწავლება. შესაბამისად, დღეს მედიანინგნიერება ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევითი საგნების ნუსხაშია შესული და სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში ისწავლება.

პროექტი სამ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე ჩატარდა მედიანინგნიერების საჭიროებებისა და დამოკიდებულებების კვლევა სასკოლო საზოგადოებაში, რომლის მიზანი X-XII კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების მედიანინგნიერების მიმართ დამოკიდებულების, ინფორმირების, მზაობისა და საჭიროებების დონის შეფასება იყო. კვლევის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი მიგნება, მათ შორის:

• მასწავლებლები აცნობიერებენ მედიანინგნიერების შესახებ ცოდნის ღირებულებას და მისი ინტეგრირების საჭიროებას საკლასო გარემოში. შესაბამისად, სურვილი აქვთ, განვითარონ მედიანინგნიერების უნარები;

• მოსწავლეების უმეტესობა მედიანინგნიერების შესახებ საკუთარი ცოდნის დონეს აფასებს, როგორც დაბალს და ამასთან, მზადაა ჩაერთოს მედიანინგნიერების განვითარებისთვის საგანმანათლებლო აქტივობებში;

• ონლაინ სივრცეში უსაფრთხო ნავიგაციის თვალსაზრისით, მოსწავლეებისა და მასწავლებლების შემთხვევაში, გარკვეულწილად, ერთგვაროვანი სურათი გამოვლინდა. რაც უფრო განვითარებული აქვს მოსწავლესა და მასწავლებელს ციფრული, მედია კონტენტის ანალიზისა და შეფასების უნარები, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ისინი ონლაინ სივრცეში უსაფრთხოდ მოახდენენ ნავიგაციას, ხოლო მედიაკონტენტს პასუხისმგებლობითა და ეთიკის პრინციპების დაცვით მოიხმარენ.



პროექტის მეორე ეტაპზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მედიანინგნიერების საგანმანათლებლო სტანდარტი შემუშავდა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის - „მედიანინგნიერების გაკვეთილები“ და გადამზადების მოდული. სახელმძღვანელოს ავტორია მედიანინგნიერების მკვლევარი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ნატო ინგოროყვა. სახელმძღვანელოში განხილულია ისეთი თემები, როგორებიცაა: მედიანინგნიერების რაობა, მედიისა და ინფორმაციის ენა, ინფორმაციის დამუშავებისა და დეზინფორმაციის, კიბერბულინგისა და მედიანინგნიერების საკვანძო პრინციპები. ასევე, სახელმძღვანელო გაჯერებულია კომპლექსური დავალებებით, რაც მასწავლებლებს სწავლების პროცესში დაეხმარებათ.



პროექტის ბოლო ეტაპი მოიცავდა 500 პედაგოგის გადამზადებას. მასწავლებელთა მაღალი დაინტერესების შედეგად, 2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ზესტაფონში, ამბროლაურში, გორში, მცხეთაში, თელავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, მარნეულში, ახალციხესა და პანკისში, სულ 600 პედაგოგი გადამზადა. ჯამში ჩატარდა 22 სემინარი, აქედან 14 - რეგიონებში.

პროექტის განხორციელების შედეგად, 2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან, მედიაინჟინერება, როგორც არჩევითი საგანი, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის, X, XI, და XII კლასების მოსწავლეებში საქართველოს უკვე 5 სკოლაში, მათ შორის, თბილისსა და ქუთაისში, ისწავლება.

მასწავლებლების შემდგომი გადამზადებისა და პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა (TPDC) და გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება გააფორმა.

მემორანდუმის შედეგად, კომუნიკაციების კომისიამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროექტის ფარგლებში შექმნილი საგანმანათლებლო რესურსები გადასცა, რომლის მეშვეობითაც, TPDC-იმ მედიაინჟინერების სწავლებაში დამატებით 1000-მდე მასწავლებელი უკვე გადამზადა. პროექტის ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების და გადამზადების მსურველთა რაოდენობა, მედიაინჟინერების მიმართ სასკოლო საზოგადოების მაღალ ინტერესზე მიუთითებს.

ასევე, 2023 წელს, მედიაინჟინერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობისა და მედიაინჟინერების საგნის და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების გაცნობის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მონაწილეობითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და კახეთის სკოლების დირექტორებთან 6 საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომლებსაც 240 დირექტორი დაესწრო.

2024 წლის გეგმა

მედიაინჟინერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისია აქტიურად მუშაობს უმაღლესი განათლების მიმართულებითაც. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით, ორ უნივერსიტეტში - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა (BTU) და ევროპის უნივერსიტეტში, მედიაინჟინერება, როგორც ცალკე, არჩევითი საგანი, უკვე ისწავლება. კერძოდ, BTU-ში ისწავლება საგანი „ციფრული ნიგნიერება და კიბერეთიკა“, ასევე, სტრატეგიული კომუნიკაციების კურსის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიაინჟინერების საფუძვლების სწავლებას. ხოლო ევროპის უნივერსიტეტში დანერგილია არჩევითი სასწავლო კურსი „მედია და ინფორმაციული ნიგნიერება“.

კომუნიკაციების კომისია აგრძელებს უმაღლესი განათლების მიმართულებით მუშაობას და გეგმავს სხვადასხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობას იმისთვის, რომ მედიაინჟინერების შესწავლის შესაძლებლობა საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსაც ჰქონდეთ.

მედია და ინფორმაციული ნიგნიერების გლობალური კვირეული საქართველოში

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, გაეროს წევრ ქვეყნებთან ერთად, საქართველოში რიგით მესამე, მედია და ინფორმაციული ნიგნიერების კვირეული ჩაატარა. მედია და ინფორმაციული ნიგნიერების კვირეული 2021 წელს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციის ფარგლებში ტარდება და სამიზნე ჯგუფებში მედიაინჟინერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და ღონისძიებები თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა, სტუდენტებმა და

სტარტაპეკოსისტემით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს.

სპეციალურად კვირეულისთვის, კომუნიკაციების კომისიის მოწვევით, საქართველოში მედიაინჟინერების საერთაშორისო ექსპერტები ჩამოვიდნენ, მათ შორის: მედიაინჟინერების ექსპერტი და ამერიკელი პროფესორი რენე ჰობსი, ევროკომისიის მიერ ციფრულ ელჩად აღიარებული ლინდა ლიუკასი და ბრიტანეთის მარეგულირებელი კომისიის (Ofcom) მედიაინჟინერების პოლიტიკისა და პროექტების ხელმძღვანელი, ფილანტი.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა კომუნიკაციების კომისიის მიერ მედიაწინგნიერების მიმართულებით განხორციელებული პროექტები წარმატებულად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ საქართველომ მედიაწინგნიერების კუთხით, შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია. აღნიშნული შეფასება, მათ შორის, იმ ღონისძიებებს ეხებოდა, რომლებიც კომუნიკაციების კომისიამ კვირეულის ფარგლებში ჩაატარა. კერძოდ:



- მედია და ინფორმაციული წიგნიერების კვირეული, „მედიაწინგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ ღონისძიებით გაიხსნა, ვინაიდან, 2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან, მედიაწინგნიერების, როგორც ცალკე, არჩევითი საგანის სწავლება დაიწყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე. შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიმართა და მედიაწინგნიერების სტანდარტისა და სახელმძღვანელოს „მედიაწინგნიერების გაკვეთილები“ პრეზენტაციას დაეთმო. შეხვედრა მისასაღებელი სიტყვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა, კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ, ასევე UNICEF-ის წარმომადგენელმა საქართველოში, იესპერ მოლერმა გახსნეს და მედიაწინგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ღონისძიება ჰიბრიდულ ფორმატში ჩატარდა, რომელსაც 100-მდე პედაგოგი და დაინტერესებული პირი ესწრებოდა;



- მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით, სკოლებში მედიაწინგნიერების დღე აღინიშნა. მედიაწინგნიერებისადმი მიძღვნილი დღის ფარგლებში, მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეს ყალბი ინფორმაციისა და მისი მავნე ზეგავლენის შესახებ. ამასთან ერთად, კომუნიკაციების კომისიის მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით, მოამზადეს საინფორმაციო ბანერები, პრეზენტაციები, პოდასტები და ვიდეოები, შეასრულეს ჯგუფური დავალებები, გამართეს კინოჩვენებები და მონაწილეობა მიიღეს სიმულაციურ თამაშებში. გარდა ამისა, ცალკეულ სკოლაში, მედიაწინგნიერების თემატიკაზე მოიხატა სკოლის ეზოები.

მედიაწინგნიერების დღე საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონის 145 საჯარო და კერძო სკოლაში, 630 სხვადასხვა პროექტითა და აქტივობით აღინიშნა. შედეგად, კომუნიკაციების კომისიამ ჩართულ სკოლებსა და მასწავლებლებს, მოსწავლეებთან ერთად, სერტიფიკატები და სიმბოლური ჯილდოები გადასცა;



- კომუნიკაციების კომისიის მოწვევით, ფინური წიგნების სერიის „გამარჯობა, რუბი“ ავტორმა და ევროკომისიის მიერ ციფრულ ელჩად აღიარებულმა ლინდა ლიუკასმა მასწავლებლებისთვის ახალი წიგნის პრეზენტაცია გამართა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში (GITA) ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში, ლინდა ლიუკასმა პედაგოგებს პროგრამირების სწავლებისა და სასწავლო პროცესში წიგნის ეფექტურად გამოყენების მეთოდოლოგია გააცნო. შეხვედრას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 80-მდე მასწავლებელი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის მეორე ქვეყანა, სადაც „გამარჯობა, რუბის“ ახალი გამოცემა, რომელიც 4 წიგნსაერთიანებს, ითარგმნა და კომუნიკაციების კომისიის მიერ გამოიცა, რაც დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, პროგრამირებისა და კოდის წერის საწყისების შესწავლაში დაეხმარება. გარდა მასწავლებლებისა, ლინდა ლიუკასი შეხვდა მშობლებსაც და მათ ბავშვთა ონლაინ უსაფრთხოებისა და კომპიუტერის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ისაუბრა;



- კვირეულის ფარგლებში, ახალგაზრდობისთვის პირველად გაიმართა მედიაწინგნიერების გლობალური ჰაკათონი, რომელიც მიზნად მედიაწინგნიერების გარშემო არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის ინოვაციური გზების აღმოჩენას ისახავდა. მედიაწინგნიერების ოთხდღიან ჰაკათონში მონაწილეობას 10 გუნდი იღებდა, რომლებმაც, პროფესიონალი ტრენერებისა და მენტორების დახმარებით, განათლების ტექნოლოგიების (EduTech), ყალბი ინფორმაციისგან თავდაცვისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხების შესახებ ბიზნესპროექტები შეიმუშავეს. შეიქმნა საინტერესო პროექტები, მათ შორის: ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ამოიცნოს ყალბი ინფორმაცია; პლატფორმა ინტერნეტის გამოყენებისას პირადი ინფორმაციის დასაცავად; ასევე, საგანმანათლებლო ვიდეო თამაში, რომელიც სკოლის მოსწავლეებს სამოქალაქო განათლებასა და უსაფრთხოების თემებზე პრაქტიკული ცოდნის მიღებაში ეხმარება.

გამარჯვებულ გუნდებს კომუნიკაციების კომისიამ 5,000, 2,000 და 1,000 ლარის ოდენობის ჯილდო გადასცა;



- კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, პროფესორ რენე ჰობსის საჯარო ლექცია გაიმართა. ამერიკელი პროფესორი, რენე ჰობსი, რომელიც ციფრული და მედიაწინგნიერების განათლების სფეროს წამყვანი საერთაშორისო ექსპერტი, მედიაგანათლების ლაბის დამფუძნებელი და მედიის კვლევებისა და განათლების დარგში 12 წიგნის ავტორია, კომუნიკაციების კომისიამ, სპეციალური მონვევით, საქართველოში პირველად ჩამოიყვანა. შეხვედრის ფარგლებში, განხილული იყო პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში მედიაწინგნიერების მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის, ასევე, ამ მიმართულებით არსებული ტენდენციები და გამოწვევები. ლექციის დასრულების შემდგომ, მონაწილეებს პროფესორისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა ჰქონდათ. შეხვედრა ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა და მას 120-მდე სტუდენტი და დაინტერესებული პირი დაესწრო;



- მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეული შემაჯამებელი კონფერენციით დაიხურა, რომელიც მედიაწინგნიერების სტრატეგიული ხედვისა თუ საერთაშორისო წარმატებული მაგალითების გაზიარებასა და არსებული გამოწვევების განხილვას დაეთმო. კონფერენცია კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ, კახა ბექაურმა გახსნა და მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები შეაჯამა. ასევე, კონფერენციაზე სიტყვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, გიორგი ამილახვარი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში, საბინე მახლი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი, ასევე, UNICEF-ის წარმომადგენელი საქართველოში, იესპერ მოლერი და მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, როლანდ პრაისი წარსდგნენ;

კონფერენცია კომუნიკაციების კომისიის მედიაწინგნიერების განვითარების დეპარტამენტის პროექტებისა და მიღწეული შედეგების პრეზენტაციით გაგრძელდა, რასაც მოჰყვა ორი პანელური დისკუსია. პირველ პანელურ სესიას მოდერატორი კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ გაუწია და ამერიკელ პროფესორ რენე ჰობსთან და ბრიტანეთის მედია მარეგულირებლის (Ofcom) მედიაწინგნიერების პოლიტიკისა და პროექტების ხელმძღვანელ ფელიქს ტანტანერთად, მედია და ინფორმაციული წიგნიერების საერთაშორისო გამოცდილების, მსოფლიო ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ იმსჯელა. ხოლო, მომდევნო პანელური სესია, რომლის მოდერატორიც კომუნიკაციების კომისიის მედიააკადემიის ხელმძღვანელი, შორენა შავრდაშვილი იყო, ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ახალი მედიის როლის განხილვას დაეთმო. დისკუსიაში მონაწილეობა კომუნიკაციების კომისიის წევრმა ივანე მახარაძემ, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა, თინათინ ბერძენიშვილმა და პროდიუსერმა ირაკლი კაკაბაძემ მიიღეს.

2024 წლის გეგმა

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების შესახებ რეზოლუცია 2021 წელს მიიღო, რომლის თანავტორიც საქართველოა. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღიურად იმატებს დეზინფორმაციის საფრთხეები, რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეებს ჰქონდეთ მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების უნარ-ჩვევები და გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა ამაზე უნდა იზრუნონ.

შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია, როგორც ქვეყანაში მედიაწინგნიერების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, მედიისა და ინფორმაციის გლობალური კვირეულის ინიციატივის ფარგლებში, ყოველწლიურად გააგრძელებს კვირეულის ჩატარებას და ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირაში სხვადასხვა ღონისძიებას გამართავს. კომუნიკაციების კომისია მედიაწინგნიერების მნიშვნელობის მასშტაბურობიდან გამომდინარე, კვირეულის ფარგლებში, მეტი დაინტერესებული პირის ჩართვას გეგმავს და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით განახორციელებს აქტივობებს, რომლის მიზანიც მედიაწინგნიერების შესახებ ცნობიერებისა და საჭიროებებზე ინფორმირებულობის გაზრდა იქნება.

მედიანინგინერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, მედიანინგინერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ ორჯერ ჩაატარა, როგორც სკოლის მოსწავლეების, ისე სტუდენტებისთვის. პროექტი მიზნად მოზარდებსა და ახალგაზრდებში კრიტიკული და ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარების განვითარებას ისახავს და კონკურსთან ერთად, საინფორმაციო კამპანიასა და საგანმანათლებლო სემინარებს მოიცავს. წესების თანახმად, კონკურსის მონაწილეებს ევალებათ მედიასივრცეში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის აღმოჩენა, რომელიც მანამდე არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი და შემდგომ, შემოქმედებითი გზით ინფორმაციის აღმოჩენის გზის, შესაბამისი წყაროსა და რეალური ფაქტების წარმოდგენა.



კომუნიკაციების კომისია, ჟიურის მიერ გამოვლენილ 3 გამარჯვებულს მაღალტექნოლოგიური პრიზებით აჯილდოებს. დამატებით, საუკეთესო 15 ნაშრომის ავტორ სტუდენტს კი, ცოდნის გაღრმავებასა და კარიერულ განვითარებაში ეხმარება, რაც სერტიფიცირებულ გადამზადებასა და მედიანინგინერების პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას გულისხმობს. კონკურსების პარალელურად, ჩატარდა 17 საგანმანათლებლო სემინარი სკოლებში, რომლებსაც 600 მოსწავლე ესწრებოდა, ხოლო 14 სემინარი - საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში 450-მდე სტუდენტის მონაწილეობით.

კომუნიკაციების კომისიამ, კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ უკვე ათჯერ ჩაატარა, ექვსჯერ სკოლის მოსწავლეებისთვის და ოთხჯერ სტუდენტებისთვის. კონკურსების ფარგლებში ჩატარდა 170-მდე სემინარი, რის შედეგადაც 3700-ზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი მედიანინგინერებაში გადაამზადა.



„გამარჯობა, რუბი“

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა „გამარჯობა, რუბის“ ახალი წიგნი, რომელიც 4 ნაწილს აერთიანებს. „გამარჯობა, რუბი“ ფინური წიგნების სერიაა, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებში პროგრამირებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სანყისების დაუფლებასთან ერთად, ციფრული წიგნიერების, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის მეორე ქვეყანა, სადაც „გამარჯობა, რუბის“ ახალი წიგნი ითარგმნა და გამოიცა კომუნიკაციების კომისიის მიერ.

მედია და ინფორმაციული კვირულის ფარგლებში, 2023 წელს „გამარჯობა, რუბის“ ახალი წიგნები პედაგოგებს ავტორმა ლინდა ლიუკასმა თავად გააცნო და პროგრამირების სწავლების ახალ მეთოდოლოგიაში გადაამზადა.

სასწავლო პროცესში წიგნის ეფექტიანად გამოყენებისთვის, მასწავლებლებმა პრაქტიკული სამუშაოები შეასრულეს და შესაბამისი საგაკვეთილო გეგმა შეიმუშავეს.

2019 წლიდან კომუნიკაციების კომისიამ „გამარჯობა, რუბის“ 10,000 წიგნი დაბეჭდა და საქართველოს მასშტაბით 59 საჯარო და 2 კერძო სკოლას უსასყიდლოდ გადასცა. წიგნებით სწავლებაში კომუნიკაციების კომისიამ 220-მდე კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი გადაამზადა. შედეგად, დაწყებითი კლასის 6000-ზე მეტ მოსწავლეს მიეცა „გამარჯობა, რუბის“ წიგნებით პროგრამირების შესწავლის შესაძლებლობა.



2024 წლის გეგმა

„გამარჯობა, რუბი“ 25 ქვეყანაში აღიარებული და წარმატებული ფინური საბავშვო წიგნების სერიაა, რომლის ქართულად თარგმნისა და გამოცემის უფლება კომუნიკაციების კომისიამ წიგნის ავტორისგან ექსკლუზიურად მიიღო. კომუნიკაციების კომისიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, განათლების ახალი რეფორმის ფარგლებში, „გამარჯობა, რუბი“ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში, დაწყებითი კლასების დამატებით სახელმძღვანელოდაა შესული.

2024 წელს, კომუნიკაციების კომისია, „გამარჯობა, რუბის“ წიგნების ახალი გამოცემის დამატებით 7,500 ეგზემპლარს 100-მდე სკოლას გადასცემს. შესაბამისად, ასევე, გაგრძელდება მასწავლებელთა გადამზადება აღნიშნული წიგნებით სწავლებაში.

მედიაწიგნიერების ეროვნული პლატფორმა



კომუნიკაციების კომისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარების პროცესში მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა და აქტიური კოორდინაციის ხელშეწყობაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მედიაწიგნიერების ონლაინ პლატფორმა - www.mediatsigniereba.ge, რომელიც საქართველოში მედიაწიგნიერების მიმართულებით მომუშავე საჯარო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ უწყებებისთვის ერთიან ონლაინ სივრცეს, ერთგვარ ჰაბს წარმოადგენს. ეს არის ვებ-პლატფორმა, რომელიც მედიაწიგნიერების შესახებ არსებულ საგანმანათლებლო რესურსებსა და პროექტებზე წვდომას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს.

2023 წელს, მედიაწიგნიერების ეროვნულ პლატფორმას 7 ახალი პარტნიორი ორგანიზაცია დაემატა. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსს, ამ დროისთვის, ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია 100-ზე მეტი შემეცნებითი სტატია, რომლებიც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მოზარდების კატეგორიებშია გადანაწილებული და ისეთ თემებს ეხება, როგორებიცაა: კიბერჰიგიენა, ინტერნეტსაფრთხეები, სოციალური მედია, ხელოვნური ინტელექტი და სხვა. პლატფორმაზე განთავსებულ სხვადასხვა გზამკვლევისა და სახელმძღვანელოს გარდა, ხელმისაწვდომია 2023 წელს კომუნიკაციების კომისიის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისათვის შექმნილი ელექტრონული სახელმძღვანელო - „მედიაწიგნიერების გაკვეთილები“. ასევე, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ მომზადებული ბავშვთა ონლაინ დაცვის ქართულენოვანი სახელმძღვანელო მშობლებისა და აღმზრდელებისთვის.

www.mediatsigniereba.ge პლატფორმას, 2023 წლის მონაცემებით, 60,000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

მედიის გასაღები

მეორე წელია კომუნიკაციების კომისიის მედიანიგნიერების ეროვნულ პლატფორმაზე პროექტი - „მედიის გასაღები“ განთავსებული. აღნიშნული ფინური მოდელის მიხედვით შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც ფილმების შესახებ პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და კინომცოდნეების მიერ შემუშავებული ინფორმაციაა განთავსებული. პლატფორმა ხელს უწყობს მოზარდებს, მედიანიგნიერების უნარ-ჩვევების გამოყენებით, განვითარონ კრიტიკული აზროვნება, გააანალიზონ ფილმის შინაარსი, ასევე, შეაფასონ მთავარი სათქმელი და მედია პროდუქტის არსი.



2023 წლის ბოლოსთვის, პროექტის ფარგლებში ვებ-გვერდზე განთავსებულია 100 ფილმის, მათ შორის 30 ქართული და 70 უცხოური ფილმის შესახებ ინფორმაცია. ყველა ფილმი სპეციალური ასაკობრივი კატეგორიების მიხედვითაა დაყოფილი და თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური აღწერა და რეკომენდაციები, თუ რა დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია კონკრეტულ ფილმსა თუ მულტფილმს მოზარდის შემდგომ განვითარებაზე. „მედიის გასაღები“ მშობლებს, მასწავლებლებსა და მოზარდებს სთავაზობს ფილმებს ოთხი ასაკობრივი ჯგუფისთვის, მათ შორის: სკოლამდელი და დაწყებითი კლასის ასაკის - 4-8 წლამდე ბავშვებისთვის, დაწყებითი კლასების - 9-11 წლამდე მოსწავლეებისთვის, ასევე, 12-14 წლამდე და 15-18 წლამდე მოზარდებისთვის.

მედიანიგნიერების აღნიშნული პროექტი მშობლებსა და მასწავლებლებს ხელს უწყობს განსაზღვრონ მათი შვილების ასაკისთვის შესაფერისი ფილმები, გამართონ მათთან დისკუსია და განიხილონ ფილმის პოზიტიური შინაარსი. ამასთან, პროექტი მოზარდებს მედიანიგნიერების, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებაში ეხმარება.

პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია სკოლებში კინოჩვენებებს მართავს და მოსწავლეებს ფილმების მიმოხილვის პროცესში რთავს. ფილმის ყურების შემდეგ, მოზარდები განიხილავენ, რა არის ფილმის მთავარი თემა, ფილმის მთავარი სათქმელი და გადმოცემული ინფორმაციის სანდოობას აფასებენ.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, პროექტის ფარგლებში სკოლებში ფილმის ჩვენებები და დისკუსიები გამართა, რომლებსაც 180 მოსწავლე დაესწრო.

2024 წლის გეგმა

„მედიის გასაღები“ ევროკომისიის მიერ აღიარებული პროექტია, რომელიც ფილმების ანალიზით, მოზარდებს კრიტიკული მედიანიგნიერების, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარებაში ეხმარება. კომუნიკაციების კომისია სკოლებში კინოჩვენებების მოწყობას და მოსწავლეებთან, პედაგოგებსა და მშობლებთან დისკუსიის გამართვას გეგმავს.

2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, კომუნიკაციების კომისიამ მედიანიგნიერების პროექტების ფარგლებში, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების - მედიანიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, **15,400** მოსწავლე, **4,000** მასწავლებელი და **1,600** სტუდენტი გადაამზადა. სულ ჩატარდა **600**-ზე მეტი საგანმანათლებლო სემინარი და შეხვედრა, ხოლო ციფრული მხარდაჭერის პროგრამას **3,500**-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს.

საერთო ჯამში მედიანიგნიერების პროექტებისა და პროგრამების მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობამ **26,000** შეადგინა.

სატელეკომუნიკაციო სფეროსა და მედიანიგნიერების შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება

კომუნიკაციების კომისია, სტუდენტებში სატელეკომუნიკაციო სფეროსა და მედიანიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან აქტიურად თანამშრომლობს.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა პრეზენტაციები თემებზე „5G-ის განვითარება საქართველოში“ და „მედიაგარემო და რეგულირება“. საინფორმაციო შეხვედრები ინტერაქტიული ფორმატით მიმდინარეობდა და დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა დეტალურად მიეღოთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მედია გარემოსა და ტელეკომ ბაზრის შესახებ, მათ შორის: რა გამოწვევებია ქართულ მედიაში, როგორია საერთაშორისო პრაქტიკა, როგორ ინერგება ახალი ტექნოლოგიები და რა პერსპექტივები არსებობს ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით. შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU), ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) და „ალტე უნივერსიტეტში“ ჩატარდა, სადაც მონაწილეობა 450-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

კომუნიკაციების კომისიას, მედიანიგნიერების მიმართულებით, ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება აქვს გაფორმებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, სადაც თემატური საჯარო ლექციები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო ექსპერტების მიერ ტარდება.



2024 წლის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ახალგაზრდები არიან თანამედროვე ტექნოლოგიების ყველაზე აქტიური მომხმარებლები, კომუნიკაციების კომისიის მიზანია უფრო მეტ დაინტერესებულ სტუდენტს მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია გეგმავს დამატებით უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას იმისთვის, რომ პროცესში ჩართულ სტუდენტებს აუმაღლოს ცნობიერება მედიანიგნიერების, მედიისა და ტელეკომ სფეროებში არსებული გარემოს შესახებ, რათა მათ შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

მედიააკადემია



მედიაკრიტიკის ონლაინ-პლატფორმა www.mediacritic.ge მეხუთე წელია საზოგადოებას მედიაპროდუქტების კრიტიკულ ანალიზს სთავაზობს და ხელს უწყობს ჟურნალისტებისა და პროდიუსერების პროფესიულ განვითარებას.

იმ ფონზე, როცა დეზინფორმაციის, სხვადასხვა სახის ყალბი ამბების გავრცელება კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში, მედიაკრიტიკის პლატფორმა ქმნის ინფორმაციის პროფესიულ და კვალიფიციურ ფილტრს.

www.mediacritic.ge - არის ერთგვარი გზამკვლევი საზოგადოებასა და მედიას შორის, რომელიც იმავდროულად, ზრუნავს მედიის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებაზე.

მედიაკრიტიკის პლატფორმა მუშაობს საკუთარი სარედაქციო კოდექსის საფუძველზე, რომელიც დაარსებისას პროფესიონალ ჟურნალისტებთან და მედიის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა.

კოდექსის ძირითადი პრინციპებია - ინფორმაციის სიზუსტე, მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება, საზოგადოებრივი ინტერესი და ანგარიშვალდებულება, ფაქტებისა და შეფასებების გამიჯვნა, ბალანსი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სარედაქციო დამოუკიდებლობა.

მედიაკრიტიკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები სწორედ აღნიშნული მედიასტანდარტების დარღვევებს აკრიტიკებს.

2023 წლის განმავლობაში, პლატფორმაზე 119 მასალა გამოქვეყნდა.

მედიაკრიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს, რომელთა სტატისტიკაც ასეთია:

- 68 რეცენზია - ანალიტიკური სტატია, რომელიც მოიცავს ერთი ან რამდენიმე მედიაპროდუქტის ანალიზს;
- 22 რეპლიკა - მცირე ფორმატის კრიტიკული სტატია, რომელიც ძირითადად, ეხება ყოველდღიურ ახალ ამბებს;
- 29 ბლოგი - სავტორო ხასიათის ანალიტიკური სტატია.

2023 წლის განმავლობაში, მედიაკრიტიკის პლატფორმას 335,000 ვიზიტორი ჰყავდა.

www.mediacritic.ge-ზე განთავსებულ მასალებს, დაარსების დღიდან, მილიონზე მეტი მომხმარებელი გაეცნო, ხოლო ვებ-გვერდზე სამ მილიონზე მეტი ვიზიტი დაფიქსირდა.

მედიაკრიტიკის Facebook გვერდს 24,000 გამომწერი ჰყავს, მათ შორის 3,700 გამომწერი 2023 წელს დაემატა.

2024 წლის გეგმა

2024 წელს მედიაკრიტიკა საზოგადოებისთვის მასალების კიდევ უფრო მრავალფეროვნების შეთავაზებას გეგმავს. ტრადიციული მედიის პარალელურად, ე.წ. ახალი მედიის განვითარების კვალდაკვალ, ონლაინ-მედიაპროდუქტების უფრო ხშირად განალიზება მოხდება.

სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციისთვის, 2024 წელს იგეგმება საკომუნიკაციო არხის გაუმჯობესება. დაგეგმილია მედიაკრიტიკის ვებ-გვერდის განახლება და ვებ-აპლიკაციის შექმნა, რომელიც იქნება მრავალფუნქციური მეტი ტექნიკური ინსტრუმენტით.

მედიასკოლა, მაღალი მედია სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, მეხუთე წელია აქტიურად მუშაობს და მედიის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში ეხმარება.

2023 წელს, მედიასკოლამ 13 სემინარული სემინარი და სწავლება ჩაატარა პროდიუსერებისთვის, მოქმედი და დამწყები ჟურნალისტებისთვის, მაღალი მოთხოვნის გამო, ასევე გადამზადდნენ ოპერატორები.

სემინარებში მონაწილეობა 190-ზე მეტმა მსურველმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ მედიასკოლის სწავლების მიმართ სტუდენტების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

2023 წელს მედიასკოლის სემინარები შემდეგ თემებს დაეთმო:

„სატელევიზიო პროდუქტის მენეჯმენტი“ – BBC-ის ცვლილებების მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მენეჯერმა ნათია აბრამიამ პროდიუსერები სატელევიზიო პროდუქტის წარმოების ოპტიმიზირებასა და კრეატიული გუნდის მართვაში გადაამზადა. სემინარის მონაწილეები ისეთ საკითხებს გაეცნენ, როგორც იდეის დამუშავება, ამბის ფოკუსის დახვეწა, ამოცანის სწორად დასახვა, პრეინტერვიუ და წინასწარ შეთანხმებული ჩარჩოების, სტანდარტებისა და გაიდლაინების ეფექტიანად გამოყენება.

„უსაფრთხოების კურსი“ – ფოტოჟურნალისტ დავით მძინარიშვილისა და ჟურნალისტ მაკა ანთიძისგან სემინარის მონაწილეებმა მიტინგების, დემონსტრაციებისა და სამხედრო კონფლიქტების უსაფრთხო გაშუქებაზე მიიღეს ინფორმაცია.

„სამხედრო ოპერაციების გაშუქება“ – ჟურნალისტი დავით კაკულია, სამხედრო პირების ჩართულობით, სემინარის მონაწილეებს ასწავლიდა თუ როგორ იგეგმება სამხედრო ოპერაციები და რა საკითხები უნდა გაითვალისწინონ მსგავსი ოპერაციების გაშუქებისას მედიის წარმომადგენლებმა. ასევე, როგორია საბრძოლო მოქმედებების ზონაში მოხვედრისას საქმიანობის და უსაფრთხოების სტანდარტი.

„როგორ მოვეყვით ამბავი საინტერესოდ?“ – ჟურნალისტ მარიკა ბაკურაძისგან მონაწილეებმა ამბის თხრობის, სიუჟეტის წყობისა და განვითარების, ასევე, დრამატურგიის შესახებ მიიღეს ინფორმაცია. გაეცნენ თანამედროვე მულტიმედია გარემოში მუშაობის სირთულეებს, რესპონდენტებთან ურთიერთობის მეთოდებსა და მათთან ინდივიდუალურად მიდგომის გზებს. ასევე, ისწავლეს როგორ აქციონ თემა ექსკლუზიურ რეპორტაჟად და როგორ დაიცვან საავტორო უფლებები.

„კურსი ტელეოპერატორებისთვის“ – რეპორტიორ დავით ჩხიკვიშვილისგან ტელეოპერატორები ამბის ერთი კადრით მოყოლის მეთოდს, გადაღების დაგეგმვის პროცესს, განათების, ფოკუსის და კომპოზიციის შერჩევის პრინციპებს, ასევე, კონფლიქტისა და საგანგებო სიტუაციების გაშუქების თავისებურებებს და სტრესის მართვის მეთოდებს გაეცნენ.

„როგორ მოვძებნო მთავარი გმირი?“ – დრამატურგ ბასა ჯანიკაშვილისგან სემინარის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ამბის დრამატურგიის, მისი სხვადასხვა რაკურსით გაშლისა და ისტორიად ქცევის შესახებ.

„როგორ გავაშუქოთ კულტურის ამბები?“ – თეატრმცოდნისა და ტელეწამყვან ნიკოლოზ წულუკიძისგან სემინარის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეგოთ კულტურის სფეროს გაშუქების თავისებურებებისა და იმ უნარების შესახებ, რომლებიც ამ დარგში მომუშავე ჟურნალისტებს მაღალი კონკურენციის პირობებში სჭირდებათ.

„რა არის ევროპა?“ – ფსიქოლოგი რუსუდან გორგილაძე სემინარზე, მონაწილეებთან ერთად, ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილავდა ევროკავშირის შექმნისა და გაფართოების ისტორიას, ევროპის კავშირის ინსტიტუციებს, კულტურულ მრავალფეროვნებებს, ასევე, ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალური მოწყობის ფორმებს და საქართველოს ადგილს ევროპაში.



მედიაკადემიის მედიასკოლა საზოგადოებას მესამე წელია სრულიად უფასოდ სთავაზობს პროექტს „მასტერკლასი“, სადაც მენეჯერები, პროდიუსერები, ტელენამყვანები და ოპერატორები დაინტერესებულ აუდიტორიას საკუთარ გამოცდილებას ონლაინ ლექციების საშუალებით უზიარებენ. ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა წარმატებული და პროფესიონალი ავტორებისგან ისწავლონ ის, რაც ზოგადად, მედიას, მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მომზადებასა და პროფესიონალ ჟურნალისტს სჭირდება.

2023 წელს პროექტს ახალი ავტორები და მათი ლექციების ციკლი დაემატა.

თინათინ ბერძენიშვილი - მედიამენეჯერი და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი - ავტორი საკუთარ ლექციებში დეტალურად მიმოიხილავს თანამედროვე მენეჯმენტის საბაზისო პრინციპებს, ორგანიზაციული მართვის გამოწვევებს მენეჯერებისთვის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვის ვერტიკალს, ასევე, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედეგის მისაღწევად გასათვალისწინებელ რჩევებს გვანვდის.

ნოესულაბერიძე - პროდიუსერი და ტელენამყვანი - ავტორი საკუთარ ლექციებში პროდიუსერობის 14 წლიან გამოცდილებაზე საუბრობს და საკუთარ მაგალითებზე დაყრდნობით, მსმენელს გუნდის დაკომპლექტების პრინციპებს უზიარებს, განიხილავს შოუების შექმნის ეტაპებს, იძლევა რჩევებს თუ რა თვისებები სჭირდებათ კარგ პროდიუსერებს. ასევე, მიმოიხილავს როგორ ხდება პროექტებისა თუ წამყვანების შერჩევა.

ირაკლი კაკაბაძე - პროდიუსერი და ტელენამყვანი - ავტორი საკუთარ ლექციებში მსმენელს სერიალებისა და გასართობი შოუების შექმნის გამოცდილებას უზიარებს და მიმოიხილავს პროექტის წარმატებისთვის აუცილებელ პირობებს, შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის პრინციპებს, პროდიუსერობისას არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მაგალითებს და იმ ფორმულებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მსგავს პროექტებზე მუშაობისას. გარდა ამისა, ონლაინ ლექციების ფარგლებში, მსმენელი სატელევიზიო პროდუქტების YouTube პროდუქტებად ტრანსფორმირების პროცესის შესახებ იღებს ინფორმაციას.

„მასტერკლასის“ ვიდეო ლექციებს, რომლებიც YouTube არხზე ყველასთვის ხელმისაწვდომია, 3 მილიონზე მეტი ჯამური ნახვა აქვს.

პროექტს 12 ავტორი ჰყავს, მათ შორის არიან: ჟურნალისტები ეკა ბერიძე, თამთა სანიკიძე და მაკა ანთიძე; დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი; ფოტორეპორტიორი დავით მძინარიშვილი; ოპერატორი დავით ჩხიკვიშვილი; მედია მენეჯერი გიორგი ხაბურზანია; ხარისხის მართვის მენეჯერი ნათია აბრამია; ასევე, თეატრმცოდნე და ტელენამყვანი ნიკა წულუკიძე; პროდიუსერები ნოესულაბერიძე და ირაკლი კაკაბაძე; მედიამენეჯერი თინათინ ბერძენიშვილი.

2024 წლის გეგმა

აუდიტორიის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, 2024 წელს მედიასკოლის არსებული პროექტები კვლავ გაგრძელდება. პარალელურად, მედიასკოლა აპირებს დაამატოს გრძელვადიანი გადაზიდვების სასერტიფიკატო პროგრამა მათთვის, ვისაც სურს გახდეს ჟურნალისტი ან ოპერატორი. გრძელვადიანი კურსები მედიაკადემიის ნიუსრუმში ჩატარდება, რომელიც საჭირო ტექნიკით აღიჭურვება და კურსის მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრენერებისგან მიიღონ ცოდნა.

ასევე განახლდება მედიასკოლის ვებ-გვერდი და შეიქმნება ვებ-აპლიკაცია.

ციფრული წიგნიერების განვითარებისა და ციფრული მედიის მიმართულების სტარტაპების დახმარების მიზნით, მედიალაბი ხელს უწყობს საინტერესო პროექტების განვითარებას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს სტარტაპერებისთვის, რომლებიც ციფრული მედიის სფეროში ინოვაციური, პროგრესული და თანამედროვე გადაწყვეტების შექმნასა და დანერგვაზე მუშაობენ. მედიალაბის აქსელერატორი სტარტაპებს ეხმარება როგორც კონსულტაციებით, სემინარებითა და სპეციალისტების რჩევებით, ისე მედიალაბის ისეთ რესურსებზე წვდომით, როგორებიცაა: უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, უფასო სამუშაო სივრცე, სხვადასხვა ტიპის აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მედიალაბი სტარტაპებს პოტენციურ ინვესტორებსა და პარტნიორებთან კომუნიკაციაში ეხმარება.

საქართველოში სტარტაპ-ეკოსისტემის განვითარებისათვის, საჭიროა სტარტაპ-განათლების განვითარება და გავრცელება, ამიტომ, გარდა სტარტაპების დახმარებისა, მედიალაბი მუდმივად ახორციელებს პროექტებს ციფრული წიგნიერების განვითარებისთვის, ქმნის საგანმანათლებლო და ინფორმაციულ მასალას, მუდმივად ატარებს ტრენინგებსა და სემინარებს, სხვადასხვა ტიპის ბენეფიციარებისთვის, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაინტერესდეს და მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოში გავრცელებული მიდგომების, შესაძლებლობებისა და სიახლეების შესახებ. ასევე, მედიალაბი ღონისძიებების და პროექტების საშუალებით, აკავშირებს სხვადასხვა კომპეტენციის ადამიანებს, რითაც აყალიბებს ძლიერ სტარტაპ-საზოგადოებას მომავალი კოლაბორაციებისთვის და სტარტაპ-ეკოსისტემის გაძლიერებისთვის.

2023 წელს, მედიალაბმა სტარტაპერებისთვის 20-ზე მეტი სემინარი და სამუშაო შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის რეგიონებში.

2023 წელს, მედიალაბმა 450-მდე ბენეფიციარი გადაამზადა.

სემინარები პროდუქტის განვითარების შესახებ, ასევე მარკეტინგულ, იურიდიულ და ფინანსურ საკითხებს მოიცავდა. სტარტაპერები დიზაინისა და პროდუქტის დახვეწაში, იდეის სწორად და მიზნობრივად გადმოცემის ხელოვნებასა და თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებაში გადამზადდნენ, რომელთა ინტეგრირება დროისა და რესურსის დაზოგვაში დაეხმარებათ.

სემინარები შემდეგ თემებს ეხებოდა: მარკეტინგი სტარტაპერებისთვის; გუნდის მართვა და ლიდერობა; კონკურენტების შესწავლა და ბაზრის ანალიზი; ui/ix დიზაინი; სტარტაპის დაფუძნება სხვადასხვა იურისდიქციებში; იდეის წარდგენა; ხელოვნური ინტელექტი, როგორც ინსტრუმენტი; ფინანსების მართვა სტარტაპში. გარდა ამისა, ტრენინგების სერია „იდეიდან პროდუქტამდე“, მოიცავდა თემებს:

- სტარტაპისა და ტრადიციული ბიზნესის თავისებურებები;
- სტარტაპის სწრაფი მასშტაბირება;
- სტარტაპთან დაკავშირებული რისკები;
- სტარტაპ-გუნდის მართვა;
- ღირებულების შეთავაზება;
- იდეისა და პროდუქტის ტესტირება;
- პროტოტიპის დაგეგმვა და შექმნა;
- ბიზნესმოდელი;
- ინვესტორებთან მოლაპარაკება.

2023 წლის განმავლობაში, მედიალაბი აქტიურად თანამშრომლობდა სტარტაპ-ეკოსისტემის წარმომადგენელ სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთან ერთადაც 10-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. მათი უმეტესობა სტარტაპერების ინვესტორებთან დაკავშირებას, მათ მიერ ვენჩურული კაპიტალის მოზიდვასა და ქართული სტარტაპ-ეკოსისტემის პოტენციალის წარმოჩენას ემსახურებოდა.

2023 წელს, ასევე, ჩატარდა მედიალაბის „პროტოტიპირების“ სემინარი Nasa Space App Challenge - ის ფარგლებში.

ასევე, 2023 წელს პირველად, მედიალაბმა აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტებთან და მათთან ერთად გამართა სამუშაო შეხვედრები როგორც მენტალური ჯანმრთელობის, ისე ლიდერობისა და გუნდის მართვის მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, მედიალაბი ევროპული ინვესტორების ქსელის - EBAN-ის წევრი გახდა, რომელიც 100-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს.

სტარტაპიდების კონკურსი „იდეადრომი“

2023 წელს, მედიალაბმა ორჯერ ჩაატარა სტარტაპიდების კონკურსი „იდეადრომი“, რომლის მიზანი პოტენციური სტარტაპერებისა და სტარტაპიდების აღმოჩენა და მათი რეალობად ქცევის ხელშეწყობაა. კონკურსში მონაწილე სტარტაპებმა ერთკვირიანი ინტენსიური გადამზადება გაიარეს. პროგრამის ფარგლებში, მათ მიიღეს სპეციალისტების დახმარება. გუნდებთან იმუშავეს გამოცდილმა სტარტაპერმა და კომერციული ბიზნესის ექსპერტმა, იურისტმა, ფინანსისტმა, მარკეტერმა, ასევე, პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტებმა. მონაწილეები გადამზადდნენ სტარტაპიდის ვალიდაციის, გუნდის მართვის, პროტოტიპირებისა და პროდუქტის ტესტირების მიმართულებებით, ასევე, გაიარეს თემები მარტივი ფინანსების, იურიდიული საკითხებისა და იდეისთვის შესაფერისი ბიზნეს მოდელის შერჩევის შესახებ.

გადამზადების შემდეგ, მონაწილეებმა იდეები უიურის წარუდგინეს. იდეადრომის საპრიზო ფონდი 10 000 ლარია.

2023 წლის კონკურსების თემები ტრადიციულად იყო: ციფრულ სივრცეში კომუნიკაციის გამარტივება; საგანმანათლებლო გეიმინგი; ყალბი ინფორმაციისგან თავის დაცვა; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.


„იდეადრომი“ კომფორტულ გარემოში ამზადებს სტარტაპებს გლობალური გამოწვევებისთვის. ხუთდღიანი სემინარები და მენტორებთან ინტენსიური მუშაობა შესაძლებლობას აძლევს სტარტაპერებს გაეცნონ გავრცელებულ პრაქტიკებსა და ოპტიმალურ მიდგომებს. „იდეადრომი“ ასწავლის გუნდის შეკვრასა და მართვას, ეხმარება სტარტაპერებს საჭირო კონტაქტების დამყარებაში.

2020 წლიდან მედიალაბმა „იდეადრომი“ უკვე 7 ჯერ ჩაატარა. მონაწილე გუნდების უმეტესობა წარმატებით აგრძელებს საქმიანობას და ზოგიერთმა მათგანმა უკვე გლობალურ ბაზარზე გაიტანა საკუთარი პროდუქტი.

2023 წლის კონკურსების გამარჯვებული გუნდები არიან „Wempler“ და „Widgera“. ორივე გუნდმა გაიმარჯვა სხვადასხვა კონკურსში და აგრძელებენ საკუთარი პროექტების განვითარებას.

Wempler-ი უკვე აქტიურად მუშაობს ბაზარზე და მისი შემოსავალი ყოველთვიურად 60%-ით იზრდება, ჰყავს ყოველთვიურად 6000 აქტიური მომხმარებელი. 2023 წელს სტარტაპმა მოიპოვა \$400 000-მდე ინვესტიცია, როგორც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსგან, ისე ანგლოზი ინვესტორებისა და ვენჩურული ფონდებისგან.

რაც შეეხება კონკურსის მეორე გამარჯვებულს, სტარტაპმა Widgera-მ უკვე დაასრულა პროდუქტის პროტოტიპი და მის დახვეწაზე მუშაობს.



მედიალაბის საერთო სამუშაო სივრცე, აქსელერაციისა და ინკუბაციის პროგრამა

2023 წელი წარმატებული იყო გასული წლების „იდეადრომების“ მონაწილე გუნდებისთვის, რომლებიც აქსელერაციის პროგრამაში ჩაერთნენ. პროგრამის მიზანია სტარტაპერებს იდეის დახვეწაში, დაფინანსების მოზიდვასა და პროდუქტის ბაზარზე გატანაში დაეხმაროს. პროგრამის დახმარებით, სტარტაპ Webbix-მა წარმატებით გაუშვა პროდუქტი ბაზარზე. Webbix მულტიფუნქციური ე.წ. ვებ ბილდერია, რომელიც მომხმარებლებს და მათ ბიზნესებს ციფრულ სივრცეში ინტეგრაციას გაუმარტივებს. სტარტაპმა Stori 2023 წელს 500,000 აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა და Product Hunt-ის პლატფორმაზე “Product of the Month”-ის სტატუსი მოიპოვა. Stori ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პლატფორმაა, რომელიც მომხმარებლებს მარკეტინგული კონტენტის ავტომატიზაციასა და გუნდის მართვაში ეხმარება.

სტარტაპებმა გაიარეს გამოცდილი მენტორების, მათ შორის იურისტის, დეველოპერების, ფინანსისტების უფასო სემინარები. აქსელერაციის პროგრამაში ჩართულმა სტარტაპებმა ბაზარზე გაიტანეს მათ მიერ შექმნილი პროდუქტები.



აქსელერაციაში მონაწილე სტარტაპებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ მედიალაბის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო სივრცე და უფასო პროგრამული უზრუნველყოფა. მედიალაბის საერთო სამუშაო სივრცე აღჭურვილია თანამედროვე საოფისე აპარატურით, სწრაფი ინტერნეტით, იზოლირებული შეხვედრების ოთახით და სხვა მრავალი ინსტრუმენტით, რაც აუცილებელია კომფორტულად მუშაობისთვის. სივრცის გამოყენება შეუძლიათ როგორც მცირე სტარტაპ ჯგუფებს, ისე ფრილანსერებს, პროგრამისტებს, დიზაინერებს, ხმის ინჟინერებს, ბლოგერებს და ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს, სტარტაპებს პროდუქტის განვითარებაში დაეხმაროს.

სამუშაო სივრცე გათვლილია 10 გუნდზე და აკმაყოფილებს სტარტაპერების ყველა მოთხოვნას. სივრცე საშუალებას იძლევა, ჩატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიება 50-მდე მონაწილისთვის.

ვიდეო გაკვეთილები და საგანმანათლებლო რესურსი მედიალაბისგან



მედიალაბი საკუთარ პლატფორმებზე მუდმივად ავრცელებს სტატიებსა და სხვა საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო მასალას ციფრული მედიითა და ზოგადად, სტარტაპებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

2023 წელს, ვიდეო გაკვეთილების გარდა, მედიალაბის პროექტებს შეემატა პოდკასტები, რომლებიც საშუალებას იძლევა სტარტაპერებმა და ინვესტორებმა გამოცდილება გაუზიარონ დაინტერესებულ პირებს, მათ შორის პოტენციურ სტარტაპერებს.

ვიდეო გაკვეთილები მოიცავს სტარტაპის განვითარებასთან დაკავშირებულ თემებს:

- სტარტაპის წამოწყება;
- რისკები;
- ფინანსები;
- იურიდიული საკითხები;
- ინდუსტრიის ანალიზი;
- სტარტაპის მასშტაბირებადობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული ღირებულების შეთავაზება.

2023 წელს, მედიალაბის ვებ-გვერდზე განთავსდა სტარტაპებისთვის საინტერესო სხვადასხვა ტიპის სტატია მრავალფეროვანი თემებით, როგორებიცაა: ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები; ევროკავშირის AI აქტი; ხელოვნური ინტელექტის როლი განათლებაში; იდეის ვალიდაცია, წარმატებული სტარტაპების და სტარტაპერების გამოცდილება; ასევე, წარმატებული სტარტაპისგან მიღებული გამოცდილება; მეტავერსის პოტენციური ბიზნესებისთვის; სტარტაპი და Design thinking; ინვესტორებთან კომუნიკაცია; კონკურენტების კვლევის მეთოდები და სწორი კითხვების დასმის უნარები; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; დროის მართვა; პროდუქტისთვის თავსებადი ბაზრის პოვნა; მარკეტინგი და აგრესიული მარკეტინგი სტარტაპებისთვის; სოცმედია; მარკეტინგი შეზღუდული რესურსებით; სტარტაპეკოსისტემები; UX დიზაინი.

სტარტაპ-სამყაროს სიახლეების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გარდა, საგანმანათლებლო მასალის გამოქვეყნება ცნობიერების ამაღლებას, გამოცდილების გაზიარებასა და ციფრული წიგნიერების განვითარებას ემსახურება.

მედიალაბის Facebook გვერდს 26 000-მდე გამომწერი ჰყავს.

2024 წლის გეგმა

წარმატებიდან გამომდინარე, მედიალაბის არსებული პროექტები 2024 წელს გაგრძელდება და მრავალფეროვანი გახდება, მათ შორის, სტარტაპეკოსისტემის გაძლიერების, სტარტაპგანათლებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების მიზნით, მედიალაბი დაინტერესებული პირებისთვის გეგმავს როგორც სემინარების კურსების, ისე საგანმანათლებლო რესურსების დამატებას. მედიალაბი ახალი პარტნიორებისა და სტარტაპებისთვის ინვესტორების მოსაზიდად, ეკოსისტემის სხვა მოთამაშებებთან ერთად, ასევე, ჩაერთვება კოლაბორაციულ ღონისძიებებში.

ასევე, განახლდება მედიალაბის ვებ-გვერდი და შეიქმნება ვებ-აპლიკაცია, რაც სტარტაპსაზოგადოების გაფართოებას და სამიზნე აუდიტორიის გაერთიანებას შეუწყობს ხელს.

კომუნიკაციების კომისია აღმოსავლეთ კარტნიორების ელექტრონული კომუნიკაციების
მარეგულირებლების ქსელის თავმჯდომარაა

2023 წელს, კომუნიკაციების კომისია, ეკატერინე იმედაძის წარმომადგენლობით, აღმოსავლეთ კარტნიორების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების ქსელს (EaPeReg) თავმჯდომარეობდა. კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში ქსელის წარმატებისა და შემდგომი განვითარებისათვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა:

2023 წელს ირლანდიის კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა (ComReg) და კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, EaPeReg-ის 21-ე პლენარული შეხვედრა დუბლინში, ხოლო კომუნიკაციების კომისიის მასპინძლობით, ქსელის 22-ე პლენარული შეხვედრა თბილისში გაიმართა. პლენარულ შეხვედრებზე 2023 წელს EaPeReg-ისა და მისი ექსპერტული ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტივობები შეჯამდა და 2024 წლის საქმიანობა დაიგეგმა, ასევე, მიმოიხილეს ქსელის საერთაშორისო თანამშრომლობა და EU-4Digital – Telecom Rules პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ნინო გრძელიძემ, სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელმა რომან ქურდაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელმა მზია გოგილაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ელექტრონული კომუნიკაციების ოთხი ქსელის გაერთიანებულ სამიტში, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციების ევროპულ მარეგულირებელთა ორგანოს (BEREC) ორგანიზებით, ევროკომისიის (DG CNECT, DG NEAR) ხელშეწყობითა და პორტუგალიის კომუნიკაციების ეროვნული ორგანოს (ANACOM) მასპინძლობით გაიმართა. სამიტში მონაწილეობა მიიღეს BEREC-ის, ევრო-ხმელთაშუა ზღვის მარეგულირებელთა ჯგუფ EMERG-ის, EaPeReg-ისა და ლათინური ამერიკის, ესპანეთისა და პორტუგალიის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ქსელ REGULATTEL-ის წარმომადგენლებმა. სამიტის მიზანი მისი მთავარი თემის - საერთაშორისო დაკავშირებადობის - შესახებ აქტუალური საკითხების განხილვა და გამოცდილების

გაზიარება იყო. ეკატერინე იმედაძემ EaPeReg-ის სახელით სამიტზე საერთაშორისო დაკავშირებადობის ციფრული დერეფნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის გავლით ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ციფრული კავშირის დერეფნის შექმნის მნიშვნელობაზე, საქართველოს ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებისა და ქვეყანაში მონაცემთა ცენტრის შექმნის პერსპექტივებზე.

2023 წელს განსაკუთრებით გააქტიურდა EaPeReg-ის თანამშრომლობა ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირთან (ITU). ეკატერინე იმედაძემ EaPeReg-ი ITU-ს სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ღონისძიებაზე წარმოადგინა, მათ შორის:

- ევროპის რეგიონალური განვითარების ფორუმზე (RDF), სადაც ITU-ს პროექტებში ქსელის ჩართულობის მიზნით, EaPeReg-ისთვის პრიორიტეტული თემები მიმოიხილა, მათ შორის - ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების ციფრული რუკა, რეგიონალური ციფრული დერეფნების განვითარება და ციფრული მომსახურების ჰაბი;
- მარეგულირებელთა გლობალურ სიმპოზიუმზე (GSR-23), სადაც რეგიონალური ქსელების სპეციალურ სესიაზე EaPeReg-ის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები რეგიონალური ქსელების თავმჯდომარეებს გააცნო.

მარეგულირებელთა გლობალურ სიმპოზიუმზე ეკატერინე იმედაძემ, EaPeReg-ის სახელით, ხელი მოაწერა სამმხრივ დეკლარაციას ITU-ს, EaPeReg-სა და EMERG-ს შორის თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში, უკვე ჩატარდა სამი სამუშაო შეხვედრა, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნების მარეგულირებლების წარმომადგენლებმა შეხვედრების მონაწილეებს ციფრული რუკის შესახებ თავისი გამოცდილება გაუზიარეს. მესამე შეხვედრას კომუნიკაციების კომისიამ უმასპინძლა. ამავე შეხვედრაზე განისაზღვრა სამმხრივი თანამშრომლობის 2024 წლის სამუშაო გეგმა.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისია აქტიურად იყო ჩართული ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) საქმიანობაში, შესაბამისად, ComCom-ის წარმომადგენლებმა ITU-ს მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, ჟენევაში გამართულ ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტის (WSIS) მაღალი დონის კვირეულში მიიღო მონაწილეობა და სესიაზე - „ხელშემწყობი გარემო“ - კომუნიკაციების კომისია წარმოადგინა. სიტყვით გამოსვლისას, ეკატერინე იმედაძემ ინფორმაციული ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაზე, ციფრული ტრანსფორმაციისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნასა და ამ პროცესში მარეგულირებელი ორგანოების როლზე, კერძოდ კი - სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ბაზარზე კონკურენციის ხელშემწყობის, ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის ინიციატივებზე ისაუბრა. ამავდროულად, მან საქართველოს რეგიონული შესაძლებლობები განიხილა და აღნიშნა, რომ კომუნიკაციების კომისიისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით შეიქმნას მონაცემთაგაცვლის ცენტრი და საქართველო წყალქვეშა ციფრული დერეფნების გამოყენებით სამხრეთ კავკასიის ციფრული ჰაბი გახდეს.

ეკატერინე იმედაძემ კომუნიკაციების კომისია ITU-ს მარეგულირებელთა გლობალურ სიმპოზიუმზეც (GSR) წარმოადგინა და იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე ისაუბრა, რომლებიც ICT ინფრასტრუქტურის განთავსებასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. მარეგულირებელთა ხელმძღვანელების მრგვალ მაგიდაზე მან კომუნიკაციების კომისიის მიმდინარე პროექტებსა და საქართველოში სატელეკომუნიკაციო სექტორის პერსპექტივებზე იმსჯელა.

საქართველოს დელეგაციამ, ComCom-ის წევრის, ეკატერინე იმედაძის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო ITU-ს მიერ ორგანიზებულ რადიოკომუნიკაციის მსოფლიო კონფერენციაში (WRC-23), რომელიც ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ იმართება და რადიო-რეგულაციების - სიხშირული სპექტრისა და გეოსტაციონარულ-სატელიტური და არაგეოსტაციონარულ-სატელიტური ორბიტების - გამოყენების მარეგულირებელი საერთაშორისო შეთანხმებების გადახედვასა და განახლებას ისახავს მიზნად. კონფერენციის ფარგლებში, ComCom-ის წევრმა ეკატერინე იმედაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ნინო გრძელიშვილმა სამუშაო შეხვედრები გამართა

საუდის არაბეთის, ომანის, ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები მიმოიხილეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. სამუშაო შეხვედრა გაიმართა, ასევე, SpaceX-ის წარმომადგენლებთან, რომელზეც Starlink-ის თანამგზავრული სისტემებით საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

2023 წელს, ეკატერინე იმედაძემ მონაწილეობა მიიღო ITU-სა და ევროკომისიის ფორუმში, სახელწოდებით „ხელმისაწვდომი ევროპა“ („Accessible Europe“), რომელზეც მან ციფრული ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და ღონისძიების მონაწილეებს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის საქმიანობა გააცნო.

ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიოსაკომუნიკაციო სექტორის (ITU-R) მე-5 შემსწავლელი ჯგუფის (SG5) თავმჯდომარის მოადგილემ, კომუნიკაციების კომისიის მრჩეველთა საბჭოს წევრმა სერგო შავგულიძემ, SG5-ის სამუშაო ქვეჯგუფის 5D (WP5D) და 5A (WP5A) შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. ის, ასევე, იმყოფებოდა ITU-R-ის რადიოსაკომუნიკაციო ასამბლეაზე (RA-23), რომელზეც RA-23-მა ის ოთხნობიანი ვადით ITU-R-ის მე-7 შემსწავლელი ჯგუფის (SG7) თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად აირჩია. აღსანიშნავია, რომ ComCom-ის მრჩეველთა საბჭოს წევრმა სერგო შავგულიძემ, ITU-ს გენერალური მდივნის, დორინ ბოგდან-მარტინის ხელმოწერით, მაღლობის სიგელი მიიღო იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც მან, როგორც რადიოკომუნიკაციის სექტორის (ITU-R) მე-5 შემსწავლელი ჯგუფის (SG5) ვიცე-თავმჯდომარემ, ITU-ს რადიოკომუნიკაციის სექტორის საქმიანობის მხარდაჭერაში შეიტანა.

კომუნიკაციების კომისიის მედიანინჟინერების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, მარიამ ბიბილაშვილმა, ITU-ს ბავშვთა ონლაინ უსაფრთხოების შესახებ საბჭოს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრის ფარგლებში, მან ბავშვთა ონლაინ დაცვის მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის მიერ განხორციელებული პროექტები წარადგინა და აღნიშნა, რომ კომუნიკაციების კომისია, მოზარდების შესაძლო ზიანისგან დასაცავად, მშობლების ინტერნეტ საფრთხეების შესახებ ინფორმირებას განაგრძობს.

2023 წლის განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კოლეგა მარეგულირებლებთან ურთიერთთანამშრომლობის გასაღრმავებლად. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა და სამომავლო ორმხრივი პროექტები დაგეგმა:

- პორტუგალიის კომუნიკაციების ეროვნულ ორგანოსთან (ANACOM). აღნიშნული ურთიერთ-თანამშრომლობა მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი თემების ტექნიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების შესწავლას, როგორებიც არის: ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონპროექტის აღსრულება, ინფრასტრუქტურის ციფრული რუკა, მომსახურების ხარისხი, სპექტრის მართვა და სხვა;
- არაბთა გაერთიანებული საემიროების ტელეკომუნიკაციისა და ციფრული მმართველობის მარეგულირებელ ორგანოსთან (TDRA). აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი საკითხების შესახებ.

თანამშრომლობის გაღრმავებისა და მედია-ნიგნიერების მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიის წევრი, ნათია კუკულაძე, მედიანიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, მარიამ დახუნდარიძე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, ნინო გრძელიშვილი, სამუშაო ვიზიტით გაერთიანებული სამეფოს კომუნიკაციების ოფისს (Ofcom) ეწვივნენ, სადაც ბრიტანელ კოლეგებს შეხვდნენ. ვიზიტის ფარგლებში, Ofcom-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ნათია კუკულაძემ და მარიამ დახუნდარიძემ კომუნიკაციების კომისიის გამოცდილება გაუზიარეს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოში Ofcom-ის დაფინანსებით ახორციელებენ მედიანიგნიერების პროექტებს.

მნიშვნელოვნად გაღრმავდა თანამშრომლობა კომუნიკაციების კომისიასა და ირლანდიის კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას (ComReg) შორის. 2023 წელს, ComReg-ის ორგანიზებით, კომუნიკაციების კომისიის წევრი ეკატერინე იმედაძე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი მზია გოგილაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ComReg-ის ოფისს ეწვივნენ და ირლანდიის სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. გარდა ComReg-ის შესაბამისი სპეციალისტებისა, შეხვედრაში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიების

- „Vodafone“-ისა და „Google“-ის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრის მიზანს ციფრული და სატელეკომუნიკაციო პოლიტიკის მიმართულებით ირლანდიის უნიკალური გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. ქართული მხარე ირლანდიის ეროვნულ ფართოზოლოვან პროგრამას, მის ერთიან ციფრულ სტრატეგიას, საკაბელო ინფრასტრუქტურის მშენებლობის განახლებულ რეგულაციებსა და სხვა საგულისხმო საკითხებს გაეცნო, რაც ქვეყნის ციფრული შესაძლებლობების განვითარებისა და რეგიონში მოწინავე პოზიციის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია.

2023 წლის ნოემბერში, კომუნიკაციების კომისიამ ComReg-ის თავმჯდომარეს უმასპინძლა. შეხვედრაზე კომუნიკაციების კომისიის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სიჭინავამ და სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა სანდრო ქარუმიძემ ირლანდიელ სტუმრებს კომუნიკაციების კომისიის მიმდინარე პროექტები გააცნეს.

2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაღრმავდა თანამშრომლობა აშშ-ის კომუნიკაციების ფედერალურ კომისიასთან (FCC). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებითა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ციფრული კავშირისა და კიბერუსაფრთხოების პარტნიორობის დაფინანსებით, თბილისში გაიმართა ღონისძიება თემაზე - „დაკავშირებადობის უზრუნველყოფის მოდელები (Connectivity Solutions)“. ღონისძიების ფარგლებში, FCC-ის ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის ეროვნული ადმინისტრაციისა და აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს თავისი გამოცდილება გაუზიარეს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აშშ-ში მოქმედ მოდელებსა და პროგრამებზე, აშშ-ის ფედერალური კომუნიკაციების კომისიის მიდგომებზე დაკავშირებადობის მიმართ, სატელიტურ ინტერნეტზე, ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე, საუბარი იყო ასევე ინფრასტრუქტურის ციფრული რუკის შემუშავებაზე. ღონისძიების ფარგლებში კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ ამერიკელ კოლეგებს საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერი ინიციატივები გააცნო და ქვეყანაში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით მიმდინარე პროექტები და აქტივობები მიმოიხილა, რომლებიც კომუნიკაციების კომისიის ჩართულობით ხორციელდება.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტის - TAIEX-ის - ფარგლებში, ინფრასტრუქტურის ციფრული რუკის აგების თაობაზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, სლოვენის საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ეროვნული სააგენტოს ექსპერტები ეწვივნენ. ექსპერტებმა კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სპეციალისტებს გამოცდილება გაუზიარეს ციფრული რუკის აგების ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, კერძოდ, ციფრული რუკის სტრუქტურის, განლაგების თავისებურებების, დაშვების დონეებისა და მათი გამოყენების თავისებურებების, ასევე, შრეებად დაყოფის პრინციპისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიასა და ჩეხეთის ტელეკომუნიკაციის ოფისს (CTU) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გიგა ცისკარიძემ და გიორგი პაპავამ CTU-ს მიერ ორგანიზებულ სტაჟირების პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. სტაჟირება ITU-ს „Partner2Connect“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა და სპექტრის მონიტორინგისა და მომხმარებელთა გაძლიერების ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ თემებს ეხებოდა.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლები Cullen International-ის ექსპერტებმა ელექტრონული კომუნიკაციების და მედიამომსახურებების რეგულირების მიმართულებით გადაამზადეს. მედიამომსახურებების რეგულირებასთან დაკავშირებულ სესიას კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია Wagner Hatfield-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ჟან ფრანსუა ფურნემონი უძღვებოდა. სესია მიზნად ისახავდა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და „მუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების ეფექტიან აღსრულებას.

თანამშრომლების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამუშაო სესიები ასევე ჩატარდა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მედიამომსახურებების რეგულირების მიმართულებით. შეხვედრას Cullen International-ის მთავარი ანალიტიკოსი და კონკურენციის ექსპერტი, ვერონიკა ბოკაროვა და ელექტრონული კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი, დრის ინდესთიჯი უძღვებოდნენ, რომლებიც სესიაზე ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტმომსახურებების, ზარის დასრულების, მობილურ ქსელზე დაშვებისა და საერთაშორისო როუმინგული მომსახურების რეგულირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლებს უზიარებდნენ.

თანამშრომლობა გარეგანი ორგანიზაციის ევროპულ კლასიფორმასთან (EPRA)

2023 წლის განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ივანე მახარაძემ, მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა კონსტანტინე ქორიძემ და მედიანიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მარიამ დახუნდარიძემ EPRA-ს ყოველწლიურ 57-ე შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, რომლის მიზანსაც აუდიო-ვიზუალური მედიის რეგულირებისა და მედიანიგნიერების თაობაზე, ევროპის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. 58-ე შეხვედრის თემატური სესიები კი კონტენტის რეგულირებას, მისი გავრცელების ახალ ტექნოლოგიებსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს მიეძღვნა. სესიაზე, სახელწოდებით -

„მედია და ინფორმაცია საზოგადოების სასიკეთოდ“, დისკუსია გაიმართა საზოგადოებრივი მუწყებლების გამოწვევებისა და შესაძლებლობის შესახებ. კომუნიკაციების კომისიის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა კონსტანტინე ქორიძემ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ნინო გრძელიშვილმა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელმა თამარ ხუხუნიაშვილმა კოლეგებს ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით მიმდინარე პროცესები და არსებული მდგომარეობა გააცნეს.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის აღმასრულებელი საბჭოს 69-ე შეხვედრაში. ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის მიზანი ევროპის აუდიოვიზუალური ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელებაა. ობსერვატორია აერთიანებს ინფორმაციას ევროპის აუდიოვიზუალური ბაზრებისა და მათი დაფინანსების შესახებ, აანალიზებს და ამზადებს ანგარიშებს საკითხებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს აუდიოვიზუალური ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორზე. ობსერვატორიის საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: ფილმები, მაუნყებლობა, გამოცხადებითი აუდიოვიზუალური მომსახურება და სხვა.

აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2024 წელს საქართველო ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნება.

აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის ივნისში ობსერვატორიის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა მართავს საჯარო მედია კონფერენციას სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. შესაბამისად, 2024 წლის ივნისში კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, თბილისში ობსერვატორიის საჯარო მედია კონფერენცია ჩატარდება.

კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელი CDMSI-ის ექსპერტად აირჩიეს

კომუნიკაციების კომისიის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი, ლევან მაისურაძე, ევროპის საბჭოს მედიისა და ინფორმაციული საზოგადოების მმართველი კომიტეტის (CDMSI) ონლაინ უსაფრთხოების, კონტენტის შემქმნელთა და მომხმარებელთა გაძლიერების ექსპერტული კომიტეტის ეროვნულ ექსპერტად 31 ხმით აირჩიეს. კომიტეტები დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტებისგან და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული ექსპერტებისგან. ევროპის საბჭოს 46 ქვეყნიდან კი, კომიტეტში მხოლოდ 7 ქვეყნის წარმომადგენლის არჩევა ხდება. ექსპერტული კომიტეტები მედიისა და ინფორმაციული საზოგადოების მიმართულენიან აქტუალურ საკითხებზე ევროპის საბჭოს ანგარიშებისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე არიან პასუხისმგებლები.

ორი ახალი ექსპერტული კომიტეტის, კერძოდ: ონლაინ უსაფრთხოების, კონტენტის შემქმნელთა და მომხმარებელთა გაძლიერების (MSI-eSEC) და გამოხატვის თავისუფლებაზე გენერირებადი ხელოვნური ინტელექტის გავლენის (MSI-AI) არჩევნები CDMSI-მა კომიტეტის რიგით 24-ე სხდომაზე ჩაატარა. მმართველი კომიტეტის სხდომაზე, რომელშიც Com-Com-ის წევრი, ივანე მახარაძეც მონაწილეობდა, განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა ჟურნალისტიკაში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით დანერგვა, მედიის მდგრადი დაფინანსების საუკეთესო პრაქტიკა, მეტავერსი და მისი გავლენა ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე.

სხდომა მომავალი 2 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და CDMSI-ის ექსპერტული კომიტეტების მიერ მომზადებული ანგარიშებისა და შესაბამისი რეკომენდაციების განხილვას ემსახურებოდა.

კომუნიკაციების კომისია კომუნიკაციების საერთაშორისო ინსტიტუტის (IIC) მარაგულირებალთა ფორუმზე

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, კომუნიკაციების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მარეგულირებელთა საერთაშორისო ფორუმში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია თემებზე: „მომავლის მარეგულირებლების სტრუქტურები და მოდელები“ და „გლობალური პროგრესი“, რომლებზეც ეკატერინე იმედაძემ, კომუნიკაციების კომისიის მაგალითზე დაყრდნობით, განიხილა იმ მარეგულირებლების საქმიანობა და გამოწვევები, რომლებსაც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი აქვთ და როგორც სატელეკომუნიკაციო, ისე

მედია სექტორს არეგულირებენ. ამასთან, ეკატერინე იმედაძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სექტორული მარეგულირებლების მანდატზე, საოპერაციო მოდელებზე და ამ მოდელების ახალ ციფრულ რეალობაში განვითარებისთვის საჭირო წინაპირობებზე. ღონისძიებაზე ასევე განიხილეს, თუ როგორ იზრდება სფეროს მარეგულირებლების როლი, როგორც ციფრული მედია პლატფორმების განვითარების, ისე უსაფრთხო და მდგრადი ციფრული ეკოსისტემის უზრუნველყოფის საჭიროების მიმართულებით.

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-4 თემატური ჯგუფის სხდომაზე, საქართველოში მედიასა და ტელეკომ სექტორში არსებული გარემო შეაფასა. შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით მიღწეული შედეგების შეჯამებას ისეთი მიმართულებებით, როგორებიც არის: ინფორმაციული საზოგადოება, აუდიო-ვიზუალური და მედიის სფერო, მეცნიერება და ტექნოლოგიები, განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა, კულტურა, ასევე, სპორტი და ფიზიკური აქტივობა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით მიმდინარე სამუშაო პროცესი განიხილეს.

ივანე მახარაძემ ევროკავშირისა და ევროკომისიის წარმომადგენლებს საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების და კომუნიკაციების კომისიის პროექტების, მათ შორის, ჩატარებული 5G აუქციონისა და ტელეკომ ბაზრის მიმდინარე კომპლექსური კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ევროკავშირის მხარემ, რომელსაც ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის და ეუთოს სამმართველოს უფროსი, ედუარდ აუერი ხელმძღვანელობდა, საქართველოში სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონის მიღება დადებითად შეაფასა.

კომუნიკაციების კომისია GSMA-ის მინისტრიალზე

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის წევრებმა ეკატერინე იმედაძემ და ნათია კუკულაძემ მობილური კომუნიკაციების გლობალური სისტემების ასოციაციის (GSMA) მიერ ორგანიზებულ მობილური ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესში (MWC) მიიღეს მონაწილეობა. კონგრესის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის წევრებმა, ეკატერინე იმედაძემ და ნათია კუკულაძემ, სტრატეგიული პროექტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ორმხრივი შეხვედრები გამართეს BEREC-ის თავმჯდომარესთან - კონსტანტინოს მასელოსთან,

BEREC-ისა და EaPeReg-ის ვიცე-თავმჯდომარეებთან - ანამარი სიპკესა და რობერტ მოურიკთან, ასევე, ევროკომისიის საკომუნიკაციო ქსელების, კონტენტისა და ტექნოლოგიების გენერალური დირექტორის მოადგილესთან - რენატე ნიკოლაისთან. შეხვედრების მთავარ თემებს ევროკომისიის მიერ საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორის განვითარების მხარდაჭერა, კომუნიკაციების კომისიის BEREC-ში განწევრიანება და ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების პერსპექტივა წარმოადგენდა.

კომუნიკაციების კომისია ევროპის საბჭოს ფორუმზე

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ, ევროპის საბჭოს რეგიონული მედია ფორუმის - „ნარატივის ფორმირება: გამოხატვის თავისუფლება ომისდროს“ ფარგლებში, მედიის რეგულირების შესახებ გამართულ პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა. ივანე მახარაძემ საქართველოს მედიაგარემოზე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებზე, ძირითად ტენდენციებსა და ასევე, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება.

ვიზიტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის წევრმა ივანე მახარაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ნინო გრძელიშვილმა მოლდოვას რესპუბლიკის აუდიო-ვიზუალური საბჭოს წარმომადგენლებთან გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გამართეს.

კომუნიკაციების კომისიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება, რომელსაც ხელი კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ და UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში, ანა ჩერნიშოვამ მოაწერეს. თანამშრომლობის მიზანს საზოგადოებაში ციფრული ეკონომიკის პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა წარმოადგენს. შეთანხმების ფარ-

გლებში, დაიგეგმება ერთობლივი აქტივობები ციფრული წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, მათ შორის: ციფრული უთანასწორობის შემცირების, ციფრული ეკონომიკის პოტენციალის ათვისების, ასევე, ელექტრონული სერვისების გამოყენების გავრცელებისა და საზოგადოებაში ციფრული წიგნიერების უნარების გაუმჯობესების მიმართულებით.

ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა

ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმი საქართველოში

2023 წელს, საქართველოს ICT კლასტერის ორგანიზებით, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის, ასევე, სხვა დონორი ორგანიზაციებისა და პარტნიორების მხარდაჭერით, ოთხ დღიანი ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმი ჩატარდა, რომელიც მიზნად ქვეყნის ციფრული შესაძლებლობების ათვისებასა და განვითარებას ისახავს. ფორუმი კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ, USAID-ის მისიის დირექტორმა, ჯონ პენელმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ირაკლი ნადარეიშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, ნიკოლოზ გაგუამ და Skills Agency of Georgia-ს გენერალურმა დირექტორმა, თამარ კიტაიშვილმა გახსნეს.

ეკატერინე იმედაძემ ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ინკლუზიური ციფრული ტრანსფორმაციაა, რაც სატელეკომუნიკაციო ეკოსისტემისთვის არსებულ აქტუალურ თემატიკას მთლიანად პასუხობს. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა კომუნიკაციების კომისიის როლს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებისა და პოტენციალის ათვისების მიმართულებით.

ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმის ფარგლებში, რიგით მესამე შეხვედრას კომუნიკაციების კომისიამ უმასპინძლა და სესიები, ინკლუზიური ციფრული ტრანსფორმაციის, ტელეკომის და ციფრული წიგნიერების განვითარებას მიუძღვნა. ციფრული წიგნიერების საკითხის ქრილში, გაიმართა დისკუსია თემაზე - „მედიანიგნიერების ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში“, რომელსაც მოდერაცია კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ

გაუწია და გახსნით სიტყვაში, მედიანიგნიერების მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის როლზე ისაუბრა.

სესიის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს მედიანიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების მნიშვნელობა, ამ კუთხით არსებული მიღწევები, ძირითადი გამოწვევები და სკოლებში მედიანიგნიერების სწავლების ხელშეწყობის შესაძლებლობები. ასევე, იმსჯელეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა საჭიროებები არსებობს და როგორია საერთაშორისო გამოცდილება ფორმალურ განათლებაში მედიანიგნიერების დანერგვის მიმართულებით. პანელური დისკუსია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, თანამშრომლობის ინიციატივასა და ერთობლივი სამომავლო ნაბიჯების განხილვასაც დაეთმო.

ტელეკომისადმი მიძღვნილ ნაწილში, სესია კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, საქართველოს ICT კლასტერის თანადამფუძნებელთან, დავით კიზირიასთან, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსთან, ეკა ყუბუსიძესთან და დიგიტალიზაციის, ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის საკითხებში ევროკავშირის დელეგაციის ატაშესთან საქართველოში, ლიზე ვანვიმელბეკესთან ერთად გახსნა. აქცენტები გაკეთდა ინფრასტრუქტურის გაზიარებაზე, ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საქართველოში ინტერნეტის გაცვლის ნეიტრალური წერტილის - IXP-ის შექმნაზე.

ამავე ღონისძიების ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, სანდრო ქარუმიძემ, მეხუთე თაობის ტექნოლოგიის შესახებ ისაუბრა, სადაც 5G-ის მახასიათებლებზე, განმასხვავებელ ნიშნებზე და ამ მიმართულებით, მსოფლიოში არსებულ ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება.

ასევე, გაიმართა პანელური დისკუსია, რომელსაც სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირებისა და კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი, ეკა სიჭინავა გაუძღვა და კომუნიკაციების კომისიის კომპლექსურ კვლევასთან ერთად, საქართველოში

ტელეკომ ბაზრის იმ გამოწვევების შესახებ იმსჯელა, როგორცაა ბაზრის გახსნა და ვირტუალური დაშვების მოდელების შექმნა.

ფორუმზე მონაწილეობა მიიღო ასევე, კომუნიკაციების კომისიის მედიააკადემიის მედიალაბმა, რომელმაც სტარტაპის ბიზნესამდე ჩამოყალიბების ეტაპები წარმოადგინა. მედიალაბის ხელმძღვანელმა, რუსუდან ჩაჩანიძემ, მედიალაბის საქმიანობასა და ფუნქციებზე ისაუბრა. ის ასევე, პანელურ დისკუსიას გაუძღვა, რომელიც სტარტაპ იდეის რეალურ ბიზნესამდე ჩამოყალიბების ეტაპებს მიეძღვნა.

ციფრული ტრანსფორმაცია და საქართველო

კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ, ტელეკომ სექტორის განვითარებისა და არსებული გამოწვევების შესახებ, დისკუსიაში „ციფრული ტრანსფორმაცია და საქართველო“ ისაუბრა, რომელიც საქართველოს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიის კლასტერის (ICT) ორგანიზებითა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა. შეხვედრის ფარგლებში, ეკატერინე იმედაძემ ICT კლასტერის ბორდის წევრსა

და ციფრული ტრანსფორმაციის საქართველოს კონსორციუმის თანადამფუძნებელთან, დავით კიზირიასთან ერთად, ტელეკომის სფეროში არსებული ის ტენდენციები განიხილა, რომელთაც გავლენის დიდი პოტენციალი აქვთ როგორც ინდუსტრიაზე, ისე ფართო საზოგადოებაზე. გარდა ამისა, ისაუბრა საქართველოს პოტენციალზე გლობალურ პროცესში და ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარების პერსპექტივებზე.

ინტერნეტ-მართვლობის ფორუმი საქართველოში

კომუნიკაციების კომისიის წევრებმა ეკატერინე იმედაძემ და ნათია კუკულაძემ, სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა სანდრო ქარუმიძემ და კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სიჭინავამ საქართველოს ინტერნეტ-მართვლობის (IGF) რიგით მეცხრე ფორუმში მიიღეს მონაწილეობა და ქვეყნის ციფრული პოტენციალის, 5G ინტერნეტისა და მედიაინიციტივების განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე, ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს. ფორუმი მისასალმებელი სიტყვით კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან, გურამ გურამიშვილთან და USAID საქართველოს კერძო

სექტორის განვითარების უფროს მრჩეველთან, დავით წიკლაურთან ერთად გახსნა. ნათია კუკულაძემ ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კომუნიკაციების კომისიისთვის აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება, პრიორიტეტულია.

პანელურ სესიაში „საქართველო საერთაშორისო ინტერნეტ შეერთების გასაყარზე და ინტერნეტ ფრაგმენტაციის ახალი გამოწვევები“, კომუნიკაციების კომისიის წევრი, ეკატერინე იმედაძე მონაწილეობდა. მან იმ შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე ისაუბრა, რომლებიც საქართველოს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებას უკავშირდება.

პანელურ სესიას თემაზე - „ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარება“ - მოდერაცია სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, სანდრო ქარუმიძემ გაუწია. სესია 5G ინტერნეტის, ვირტუალური მობილური ოპერატორების, ასევე, ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონისა და ინტერნეტის გაცვლის ცენტრის მდგომარეობის შეფასებას და განვითარების შესაძლებლობების განხილვას ემსახურებოდა. პანელზე, სხვა გამომსვლელებთან ერთად, კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, ეკა სიჭინავა მონაწილეობდა, რომელმაც საქართველოში მობილური ბაზრის განვითარების ტენდენციები და 5G

ქსელებისა და ვირტუალური ოპერატორების განვითარების პერსპექტივები შეაფასა.

ფორუმის ფარგლებში, გაიმართა კიდევ ერთი პანელური სესია ციფრული წიგნიერების სწავლების შესახებ, სადაც საქართველოში ციფრული წიგნიერების სწავლების შედეგები და გამოწვევები, აკადემიური საფეხურის კიბერგანათლება და ციფრული მოქალაქეობის ინდექსის საკითხები განიხილებოდა. სესიაში კომუნიკაციების კომისიის წევრი, ნათია კუკულაძე მონაწილეობდა, რომელმაც ამ მიმართულებით კომუნიკაციების კომისიის მიერ განხორციელებული სამუშაო და მიღწეული შედეგები მიმოიხილა.

კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში

2023 წელს, კომუნიკაციების კომისიის, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული ბანკის, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოში კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. გახსნილ სესიაში, რომელიც კონკურენციასა და მომხმარებლის უფლებების კუთხით მიღწევებს და გამოწვევებს ეხებოდა, კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ვახტანგ აბაშიძემ კოლეგა მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად მიიღო მონაწილეობა და ყურადღება კომუნიკაციების კომისიის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მედიანეგოციაციების განვითარების მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა ასევე ისაუბრა მარეგულირებელი ორგანოების ერთიანი პლატფორმის ფარგლებში პარტნიორობის მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგულირებელი უწყებების თანამშრომლობას ითვალისწინებს და აღნიშნა, რომ ქვეყანაში კონკურენციის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ამ მიმართულებით მარეგულირებელი უწყებების კოორდინირებული თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია.

კონფერენციის ფარგლებში, პანელურ სესიაში მონაწილეობა ComCom-ის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსმა, ლევან მაისურაძემ მიიღო, რომელმაც საზოგადოებას მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გააცნო და კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

კომუნიკაციების კომისია კიბერუსაფრთხოებისა და IT ინოვაციების რეგიონულ კონფერენციაზე

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, სანდრო ქარუმიძემ, კიბერუსაფრთხოებისა და IT ინოვაციების (GITI) რეგიონულ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების გახსნილ ნაწილში, ეკატერინე იმედაძემ ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე, როგორც მომავლის ეკონომიკის წარმატების წინაპირობაზე ისაუბრა. ეკატერინე იმედაძემ ყურადღება გაამახვილა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნასა და ინოვაციური სატელეკომუნიკაციო მოდელების დანერგვაზე, რაც, მისი თქმით, ქვეყანაში მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ეკატერინე იმედაძემ მიიღო მონაწილეობა პანელურ სესიაშიც, რომელიც ქვეყნის ეროვნული ციფრული ეკოსისტემის განვითარებას ეხებოდა.

ღონისძიების ფარგლებში, ბიზნეს პროცესის პროცედურული გამარტივების შესახებ საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, ჩატარდა მეორე პანელური სესიაც, რომელზეც კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, სანდრო ქარუმიძე მონაწილეობდა. სანდრო ქარუმიძემ საქართველოში 5G ინტერნეტის განვითარების პერსპექტივები და ასევე, ის სამუშაოები მიმოიხილა, რომლებიც კომუნიკაციების კომისიამ ქვეყანაში 5G ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით განახორციელა.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) ორგანიზებით გამართულ ინოვაციების საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაში კომუნიკაციების კომისიის როლზე ისაუბრა. ფორუმის მთავარ თემას „ციფრული ტრანსფორმაცია: განათლების ახლებური ხედვა მომავლისთვის“ წარმოადგენდა და მიზნად საგანმანათლებლო სექტორში მენარმეობისა და ინოვაციების განვითარებას ისახავდა.


ფორუმის ფარგლებში, გაიმართა პანელური დისკუსია ციფრული ტექნოლოგიების როლის შესახებ, რომელზეც ეკატერინე იმედაძემ იმ შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც ახალი ციფრული რეალობა ქმნის.

ფორუმის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ექსპერტებმა, ქართველ კოლეგებთან ერთად, ასევე, იმსჯელეს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადი ციფრული ეკოსისტემის არსებობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

დანართი 1

კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა

კომისიის თავმჯდომარე



დანართი 2

კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი

2023 წლის ფაქტიური

სულ შემოსავლები	16,717,363
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	12,274,205
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,492,559
სხვა შემოსავლები	950,599
სარეზერვო ფონდი	0
სულ ხარჯები	14,654,958
კაპიტალური დანახარჯები	968,459
შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,187,440
მივლინების ხარჯები	313,911
მომსახურების ხარჯები	668,659
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	220,111
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	166,255
კომუნიკაციის ხარჯები	33,009
კომუნალური ხარჯები	111,945
საკანცელარიო ხარჯები	7,036
დაცვის ხარჯები	182,160
საწვავის ხარჯი	55,818
საწევრო ხარჯები	21,080
რემონტისა და შენახვის ხარჯები	220,966
სხვა ხარჯები	23,997
წარმომადგენლობითი ხარჯები	88,053
გაუთვალისწინებელი ხარჯები	0
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	262,288
მედიანგნიერება	3,123,772
მედიანგნიერების ხარჯები	829,002
ა(ა)იპ მედიააკადემია	2,294,770

2024 წლის გეგმა

სულ შემოსავლები	20,191,000
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	13,571,154
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,444,773
სხვა შემოსავლები	908,459
სარეზერვო ფონდი	2,266,614
სულ ხარჯები	20,191,000
კაპიტალური დანახარჯები	1,957,476
შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,996,232
მივლინების ხარჯები	445,203
მომსახურების ხარჯები	2,782,523
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	275,066
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	217,920
კომუნიკაციის ხარჯები	38,339
კომუნალური ხარჯები	114,299
საკანცელარიო ხარჯები	7,129
დაცვის ხარჯები	206,160
საწვავის ხარჯი	46,576
საწევრო ხარჯები	22,585
რემონტისა და შენახვის ხარჯები	228,575
სხვა ხარჯები	21,248
წარმომადგენლობითი ხარჯები	271,155
გაუთვალისწინებელი ხარჯები	24,474
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	278,038
მედიანგნიერება	4,258,002
მედიანგნიერების ხარჯები	1,345,479
ა(ა)იპ მედიააკადემია	2,912,523

დანართი 3

მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა

2023 წელს კომუნიკაციების კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 1572 განცხადება/საჩივარი შევიდა⁷⁰, საიდანაც დაკმაყოფილდა - 1438, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 41, ხოლო 93 განცხადების შემთხვევაში, დარღვევა არ დაფიქსირდა. საჩივრების უმრავლესობა ინტერნეტ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის განთავსებას, ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანებასა და მომსახურების შეზღუდვას ეხებოდა.

2023 წელს უმოსული საჩივრების თემატიკა და სტატისტიკა⁷¹

თემატიკა	რაოდენობა
1. ინტერნეტ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის განთავსება	410
2. ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება და მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები	331
3. უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	260
4. სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	132
5. მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	70
6. მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და სადავო დავალიანება	63
7. საანძო მეურნეობების განთავსების/ექსპლუატაციაში შეყვანის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასხივება	34
8. სააბონენტო ნომრის გასხვისება	17
9. სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	16
10. არასასურველი კომერციული მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SPAM)	12
11. სააბონენტო ნომრის პორტირება	3
12. სხვა	226


⁷⁰ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში: momkhmarebeli.comcom.ge

⁷¹ საერთო და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა.

რაც შეეხება ინტერნეტის ხარისხს, 2023 წელს, Sheamotsme.ge-ს ფარგლებში, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 67 საჩივარი შევიდა, საიდანაც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებელი კომპანიის ჩართულობით, დაკმაყოფილდა 33, ხოლო 34 საჩივარი დახარვეზდა. საჩივრების უმრავლესობა თბილისში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით იყო.

Sheamotsme.ge-ს ფარგლებში დაფიქსირებული საჩივრების სტატისტიკა⁷² :

ტექნოლოგიების მიხედვით:



კომპანიების მიხედვით:



რეგიონების მიხედვით:



⁷²ინფორმაცია მოწოდებულია საჩივარში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით.

დანართი 4

ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილებისა და აქტივების გასხვინებაზე

- გამოცხადდა ერთი კონკურსი სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაკოველად;
- გაიცა ერთი სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზია;
- მოდიფიცირდა კერძო რადიომაუწყებლობის ერთი ლიცენზია;
- ვადა გაუგრძელდა კერძო რადიომაუწყებლობის 9 ლიცენზიას;
- გაიცა რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემაზე 6 თანხმობა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად 24 აუქციონი გამოცხადდა. აუქციონების შედეგად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 4 ლიცენზია გაიცა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაიარა 2-მა იურიდიულმა პირმა;
- მოდიფიცირდა 8 იურიდიული პირის მაუწყებლობაზე ავტორიზაცია;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, მაუწყებლობაზე ავტორიზაცია შეუჩერდა 3 იურიდიულ პირს;
- მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია ვერ გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა;
- მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაუქმდა 4 იურიდიულ პირს;
- კომუნიკაციების კომისიის ინიციატივით, მაუწყებლობაზე ავტორიზაცია შეუჩერდა ერთ იურიდიულ პირს;
- მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია განაახლა ერთმა იურიდიულმა პირმა;
- გამოქაზებით აუდიოვიზუალურ მედიამომსახურებაზე ავტორიზაცია გაიარა 10-მა იურიდიულმა პირმა;
- გამოქაზებით აუდიოვიზუალურ მედიამომსახურებაზე ავტორიზაცია ვერ გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა;
- ვიდეოგაზიარების კლათფორმის მომსახურებაზე ავტორიზაცია გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- ავტორიზაცია გაიარა 24-მა იურიდიულმა პირმა;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, ავტორიზაცია გაუქმდა 8 იურიდიულ პირს;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, ავტორიზაცია შეუჩერდა 2 იურიდიულ პირს;
- კომუნიკაციების კომისიის ინიციატივით, ავტორიზაცია შეუჩერდა 11 იურიდიულ პირს;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაცია ვერ გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა;
- ავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 45 უფლება;
- არაავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 179 უფლება;
- ავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით, გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 4 უფლება;
- განუხილველად დარჩა 6 იურიდიული პირის განცხადება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ;
- 44 რადიომოწყვარულს მიენიჭა სახმობი ნიშანი;
- სიხშირეების მინიჭების შესახებ, 3 გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილებები;
- 32 საზღვაო ხომალდს მიენიჭა სახმობი და ამოცნობის ნიშანი.

2023 წელს ავტორიზებულ პირთან შერწყმის, ასევე ავტორიზებული პირის წილის, აქციებისა და საოპერაციო აქტივების შექმნაზე, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, გაიცა 17 თანხმობა:

ავტორიზებული პირის წილის (აქციები) შექმნაზე - **14 თანხმობა**

ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შექმნაზე - **3 თანხმობა**

დანართი 5

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების
ეროვნული გეგმა და თავისუფალი
სიხშირული რესურსი

ქვეყანაში თანამედროვე რადიოსიხშირული სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ 2022 წელს „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილება შეიტანა და რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ახალი ეროვნული გეგმა დაამტკიცა.

კომუნიკაციების კომისია „რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს და აქვეყნებს რადიოსამაუწყებლო სიხშირეთა გეგმას ლიცენზიის მაძიებლებისთვის, ხოლო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს ამტკიცებს. 2023 წელს მოქმედებდა 2022 წელს დამტკიცებული გეგმა, რომელიც 2024 წელს განახლდება.

დანართი 6

კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული
დადგენილებები

N1. 30.03.2023 - „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - აღნიშნული ცვლილება განაპირობა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და შესაბამისი სამართლებრივი აქტით, ფიზიკური და იურიდიული ავტორიზებული პირების მიერ წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციის ფორმების დამტკიცებას ითვალისწინებს.

N2. 06.04.2023 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - აღნიშნული ცვლილებები სალიცენზიო მონუმობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების განახლების მიზნით განხორციელდა. კერძოდ, შეიცვალა სალიცენზიო მონუმობაში მისათითებელი ინფორმაცია, მათ შორის: ლიცენზიის ნომერი, ლიცენზიის მფლობელი, ლიცენზიის მოქმედების ვადა, ლიცენზიის გაცემის საფუძველი/სალიცენზიო პირობები და სალიცენზიო მონუმობის გაცემის თარიღი; ლიცენზიის ხელმომწერებში მიეთითა მხოლოდ ხელმომწერი პირების თანამდებობები; სალიცენზიო მონუმობებზე დატანილ იქნა კომუნიკაციების კომისიის ახალი, მოქმედი ლოგო. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (შემდგომში - ოქმი) ფორმაში შეტანილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია; ასევე, კომუნიკაციების კომისიამ, პირის იდენტიფიცირების მიზნით, მეტი სიცხადისთვის, ოქმში დაამატა სამართალდამრღვევის და მონუმების პირადი ან/და საიდენტიფიკაციო მონაცემები.

N3. 13.07.2023 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - აღნიშნული დადგენილებით კომუნიკაციების კომისიის თანამშრომელთა პროფესიული და ეთიკური ქცევის წესები დამტკიცდა, რომელიც თანამშრომელთა კომპეტენციის სფეროში შემავალი საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღებისას სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე გარე, მესამე პირებთან და შიდა, თანამშრომლებს შორის, ურთიერთობის საკითხებს აწესრიგებს.

ახალი წესები ეთიკური გარემოსა და პროფესიული სტანდარტების გაძლიერებას უწყობს ხელს, რაც მიუკერძოებელი, ობიექტური და კოლეგიალური საჯარო დაწესებულების არსებობას, ასევე კომუნიკაციების კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას უზრუნველყოფს.

N4. 20.07.2023 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილებაში ცვლილება ახალი რადიოსისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვამ, ასევე ეროვნულ დონეზე სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების სპეციფიკურმა მოთხოვნებმა განაპირობა. დოკუმენტი რადიომოყვარულთა დამწყები და პროფესიონალური კვალიფიკაციის მქონე კატეგორიებისთვის ერთიანი უნიკალური სახმობი ნიშნის მინიჭებას, მოქმედი წესის CEPT-ის მოთხოვნებთან ჰარმონიზებას, ასევე სამოყვარულო რადიოკავშირისთვის გამოსაყენებელი დიაპაზონების განახლებას ითვალისწინებს.

ცვლილებები ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ევროპის კონფერენციის (CEPT) რეკომენდაციებისა და გადანაცვლებების, ასევე ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის შესაბამისად მომზადდა.

N5. 26.10.2023 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2023 წლის 20 ივლისის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ / N6. 26.10.2023 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - აღნიშნული ცვლილებების პაკეტის შესაბამისად, გამარტივდა 2003 წელს მიღებული დოკუმენტის სტრუქტურა, რომელიც რამდენიმე წესს აერთიანებს, მათ შორის: „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები“, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესები“, „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესი“ და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომელთა პროფესიული და ეთიკური ქცევის წესები“. ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს მხოლოდ ტექნიკურ და არა შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს, თითოეულ წესს მიენიჭა შესაბამისი დანართის ნომერი, ხოლო თითოეულ დანართს თანდართული ექნება შინაარსობრივად შესაბამისი დანართები შესაბამისი ნუმერაციით. აღნიშნული ცვლილებებით დადგენილება მარტივად აღსაქმელი გახდა.

დანართი 7

განხილული დავები

1. შპს „ტელეიმედის“ მიმართ ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.
დავის საგანი: მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადანაცვლებების აღუსრულებლობა.
შედეგი: საჩივარი განუხილველად დარჩა.
გადანაცვტილება: Nგ-23-16/215
2. შპს „სეზონი ტვ“-ის მიმართ ფიზიკურ პირ თ. ფანქველაშვილის საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.
დავის საგანი: სიძულვილის ენის, უხამსობისა და პირადი ცხოვრების შემლახავი პროგრამის განთავსება.
შედეგი: საჩივარი განუხილველად დარჩა.
გადანაცვტილება: Nგ-23-16/500
3. სს „სილქნეტის“, შპს „მაგთიკომის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მიმართ შპს „ირკას“ განცხადების განსახილველად მიღების საკითხის განხილვის შესახებ.
დავის საგანი: კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 30 მარტის Nგ-20-9/385 გადანაცვტილებით დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების შეუსრულებლობა და აღნიშნული გადანაცვტილების დარღვევა.
შედეგი: უარი ეთქვა განცხადების დავის რეჟიმში განხილვაზე. კომუნიკაციების კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს დაევალა დასკვნის წარდგენა.
გადანაცვტილება: Nგ-23-12/191

4. შპს „რადიო პალიტრას“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიმართ ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ საჩივრის გაცნობისა და დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.

დავის საგანი: სოციალური რეკლამის განუთავსებლობა.

შედეგი: შპს „რადიო პალიტრას“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიმართ ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

გადაწყვეტილება: Ng-23-16/156

5. შპს „რადიო პალიტრას“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიმართ ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ საჩივრის განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

დავის საგანი: სოციალური რეკლამის განუთავსებლობა.

შედეგი: მაუწყებლების მიერ სოციალური რეკლამის განთავსების გამო, ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრმა“ უარი განაცხადა საჩივარზე.

გადაწყვეტილება: Ng-23-16/177

6. სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ შპს „მულტინეტის“ საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის № 671/9 გადაწყვეტილების დარღვევა.

შედეგი: საჩივარში მოყვანილი მოთხოვნები მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის კომპეტენციას განეკუთვნებოდა და იგი განსახილველად არ იქნა მიღებული.

გადაწყვეტილება: Ng-23-16/466

7. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ფარგლებში მონაცემთა მიწოდების ტარიფის გაანგარიშება.

შედეგი: შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ საჩივარი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ, განსახილველად იქნა მიღებული. დავის განხილვა დაინიშნა 2024 წლის 22 თებერვალს.

გადაწყვეტილება: Ng-23- 16/570

დანართი 8

ადმინისტრაციული კასუსისმგებლობის
დაკისრება

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო

1. კომპანია: შპს „Voxbone SA“

საფუძველი: წილის გასხვისების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა, კომუნიკაციების კომისიის თანხმობის გარეშე წილის გასხვისება, წილის გასხვისების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Ng-23-18/225

2. კომპანია: შპს „რეტნ ჯი“

საფუძველი: ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცვლილება კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Ng-23-18/47

3. კომპანია: შპს „გურია-ნეტ“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა და საფასურის გადაუხდელობა.

შედეგი: ჯარიმა, 3,000.00 ლარი.

გადაწყვეტილება: Ng-28-18/168

4. კომპანია: შპს „ახალი ქსელები“

საფუძველი: წილის ცვლილება კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/201

5. კომპანია: შპს „გურია-ნეტი“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/300

6. კომპანია: შპს „სხივი“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/469

7. კომპანია: შპს „ჯრკომი“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/470

8. კომპანია: შპს „სმარტ ტვ“

საფუძველი: „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/560

9. კომპანია: შპს „სმარტ-ტელეკომი“

საფუძველი: „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/559

10. კომპანია: შპს „დათაჰაუს გლობალი“

საფუძველი: „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/558

11. კომპანია: შპს „რეგიონ ონლაინ-Region online“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება და კანონით დადგენილ ვადაში კომუნიკაციების კომისიისთვის ცვლილების შეუტყობინებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/467

12. კომპანია: შპს „გეო ვლანი“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება და ცვლილების განხორციელებიდან დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/468

13. კომპანია: შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპი“

საფუძველი: ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა.

შედეგი: ჯარიმა, 5,000.00 ლარი.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/331

14. კომპანია: შპს „ფლაი ტივი“

საფუძველი: სარგებლობის უფლების მინიჭების გარეშე ნუმერაციის რესურსის გამოყენება.

შედეგი: ჯარიმა, 5,000.00 ლარი.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/33

15. კომპანია: შპს „Voxbone SA“

საფუძველი: კომუნიკაციების კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილება და ცვლილების განხორციელებიდან დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/120

16. კომპანია: შპს „რკინიგზის ტელეკომი“

საფუძველი: განცალკევებული აღრიცხვის აუდირებული ანგარიშის კომუნიკაციების კომისიაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/427

17. კომპანია: შპს „კავკასუს ონლაინი“

საფუძველი: განცალკევებული აღრიცხვის აუდირებული ანგარიშის კომუნიკაციების კომისიაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/428

18. კომპანია: შპს „კავკასუს ონლაინი“

საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/585

19. კომპანია: შპს „კავკასუს ონლაინი“

საფუძველი: განცალკევებული აღრიცხვის აუდირებული ანგარიშის კომუნიკაციების კომისიაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: ჯარიმა, 30,000.00 ლარი.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/428

20. კომპანია: შპს „ტ-ნეტი“

საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/587

21. კომპანია: შპს „რკინიგზის ტელეკომი“

საფუძველი: განცალკევებული აღრიცხვის აუდირებული ანგარიშის კომუნიკაციების კომისიაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/590

22. კომპანია: შპს „ელაუდ ცხრა“

საფუძველი: დაუშვებელი პროდუქციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მომსახურების მიმწოდებლის მიერ ვალდებულების დარღვევა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/484

23. კომპანია: შპს „პოვერნეტ“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შეუსრულებლობა.

შედეგი: სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/439

24. კომპანია: შპს „ჯენკოლაინი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შეუსრულებლობა.

შედეგი: სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/440

25. კომპანია: შპს „პიკ-ნეტ“

საფუძველი: დირექტორის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/462

26. კომპანია: შპს „ტენეტ“

საფუძველი: დირექტორის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/463

27. კომპანია: შპს „PC&I Networks“

საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/565

28. კომპანია: შპს „ა+ბ“

საფუძველი: „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-23-18/566

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)


2024 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო




სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	6,405	6,095
არამატერიალური აქტივები	9	242	191
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,647	6,286
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		68	4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,129	1,074
წინასწარ გადახდილი გადასახადები		17	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	8,722	7,207
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,936	8,291
სულ აქტივები		16,583	14,577
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	12	240	801
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	14	1,585	1,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,825	2,266
სულ ვალდებულებები		1,825	2,266
სულ წმინდა აქტივები		14,758	12,311
გაუნაწილებელი ფონდები			
გაუნაწილებელი ფონდები	20	14,758	12,311
სულ გაუნაწილებელი ფონდები		14,758	12,311

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 აპრილს:


კახია ბექაშვილი
კომისიის თავმჯდომარე


ნათია დევდარიანი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-5 დან მე-20 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება*

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>2023</i>	<i>2022</i>
ამონაგები რეგულირების საფასურიდან	13	12,274	10,953
საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან	14	3,374	3,349
მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	16	(8,851)	(7,770)
მედიაკადემიის ხარჯი	7	(2,295)	(1,927)
მიღებული მომსახურების ხარჯი	17	(1,982)	(1,719)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(696)	(673)
გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი	17	(151)	(167)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(214)	(304)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		37	58
ფინანსური შემოსავალი	15	951	578
წლის გაუნაწილებელი ფონდები		2,447	2,378

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-5 დან მე-20 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური გაუნაწილებელი ფონდების ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	გაუნაწილებელი ფონდები	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		9,933	9,933
2022 წლის გაუნაწილებელი ფონდები		2,378	2,378
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20	12,311	12,311
2023 წლის გაუნაწილებელი ფონდები		2,447	2,447
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20	14,758	14,758

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-5 დან მე-20 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		15,649	14,597
მომწოდებლისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(5,244)	(3,600)
მედიააკადემიის დაფინანსებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,289)	(1,964)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,493)	(6,168)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები		1,623	2,865
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,061)	(509)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		951	578
საინვესტიციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(110)	69
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		2	(58)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	7,207	4,331
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	11	8,722	7,207

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-5 დან მე-20 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომისია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“-სთვის (შემდგომში „კომისია“).

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ დაფუძნდა 2000 წლის 1 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის შექმნის წინაპირობა არის პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“. აღნიშნული კანონი 2005 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით შეიცვალა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით მკაფიოდ გამიჯნულია მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის შემმუშავებელი (რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი) ორგანოს და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომისია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომისიას არ გააჩნდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება, ასევე მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა. კომისიის შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, ასევე რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახადებია.

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორებიც არის:

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისთვის ავტორიზებულ და ლიცენზიის მფლობელ პირებს შორის წარმოქმნილი დავებისა და ასევე დარგის მოთამაშეებსა და მომხმარებელს შორის წარმოქმნილი დავების განხილვა;
- სიხშირული სპექტრისა და ნუმერაციის რესურსის ეფექტიანი გადანაწილება;
- მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ურთიერთხართვის ტექნიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური საკითხების დარეგულირება, რომლის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

კომუნიკაციების კომისია არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნების მისაღწევად, 2018 წელს კომისიამ დააფუძნა ახალი იურიდიული ერთეული, ააიპ "მედიააკადემია", რომელიც კომისიასთან ერთად უზრუნველყოფს ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარებას.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომისიის იურიდიული მისამართია ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქ. #50/18, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საოპერაციო გარემო

კომისიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთს. უამრავმა კომპანიამ შეწყვიტა თავისი ბიზნესი რუსეთსა და ბელარუსში. მოვლენები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომისიას პირდაპირი კავშირი არ აქვს უკრაინასთან, რუსეთთან და ბელორუსთან. ზოგადად მოსალოდნელია, რომ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზეც. შექმნილი ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ 2023 წელს ზრდის დადებითი დინამიკა აჩვენა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად კომისიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა შეინარჩუნოს კომისიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია ფასს სტანდარტებთან და მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფასს-თან შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან საადრიცხო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომისიის საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ინფორმაციაზე მოცემულია არსებით მუხლებთან დაკავშირებულ შენიშვნებში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ორგანიზაცია ოპერირებს. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა და კომისიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“ლარი”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირებულია ქართულ ლარში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. მოგება და ზარალი, რომელიც ამ ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება, წარდგენილია სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების“ ნაწილში.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: აშშ დოლარი 1=2.6894; ევრო 1=2.9753 ქართულ ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1=2.702; ევრო 1=2.8844 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომისიის ხელმძღვანელობის ან უფლებამოსილი პირების მიერ ფინანსური ინფორმაციის გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომისია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და დაშვებების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე დაშვებებს, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. დაშვებები, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 8.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 10.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

გამოცემულ იქნა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულო იყო 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის არის შემდეგი:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაშია 2023 წლის 1 იანვარიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ნაცვლად. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ცვლილებებმა გავლენა მოახდინა კომისიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებაზე, მაგრამ არა კომისიის ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის გაზომვაზე, აღიარება ან წარდგენაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან - შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვევლებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდულო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომისიას ადრე არ მიუღია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულების გაყიდვა და უკულიზინგი (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგი წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკულიზინგის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს შემოსავლების აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს მეიჯარემ შემდგომში შეაფასოს ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს მოგების აღიარების გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება აქვს განახორციელოს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი,

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებაში და ფასს 7-ში ფინანსური ინსტრუმენტები. წარდგენა: მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს, წარდგენის ახალი მოთხოვნები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის). ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის წარდგენის შესახებ, 2023 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რომლის მიხედვით ერთეულმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების (SFAs) შესახებ. ეს საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ამ შეთანხმებების ზეგავლენა ერთეულის ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე და ერთეულის ლიკვიდურობის რისკზე. წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური ღონისძიებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების ან გაზომვის პრინციპებზე, არამედ მხოლოდ გამჟღავნების მოთხოვნებზე.

ცვლილებები ბასს 21-ში „გაცვლის შეუძლებლობა“ (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის). 2023 წლის აგვისტოში განხორციელდა ცვლილებები ბასს 21-ში, რათა ერთეულებმა უკეთ შეძლონ შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ კონკრეტული თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსი, როდესაც გადაცვლა არ არის შესაძლებელი. ცვლილებები ეხება ერთეულებს, რომელთაც აქვთ ტრანზაქციები ან ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, რომელიც განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე არ არის კონვერტირებადი შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული კურსით. ბასს 21-ში არ არის მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი. ამის ნაცვლად, ადგენენ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც ერთეულს შეუძლია განსაზღვროს გაცვლითი კურსი შეფასების თარიღისთვის. ცვლილებები არ ეხება წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას. საჭიროა ცვლილების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება სავარაუდო გაცვლითი კურსით თავდაპირველი შეფასების თარიღისთვის, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით ან სხვაობის კუმულაციური ეფექტის რეზერვში ასახვით.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომისია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

<i>ათასი ლარი</i>	მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ააიპ მედიააკადემია	2	8

2023 და 2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:

<i>ათასი ლარი</i>	მედიააკადემიის ხარჯები 2023 წელს	მედიააკადემიის ხარჯები 2022 წელს
ააიპ მედიააკადემია	2,295	1,927

მედიააკადემიის ხარჯები მოიცავს გაწეულ ხარჯებს, რომელიც დაფინანსებულია კომისიის მიერ.

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენს კომისიის წევრები და კომისიის თავჯდომარე. სულ, ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, რომელიც აღრიცხულია სახელფასო ხარჯებში 2023 წლის განმავლობაში შეადგენს 1,230 ათას ლარს (2022 წელი - 1,229 ათასი ლარი). ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადად მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და პრემიას.

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარჩებებით.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობა-ნაგებობები	7-დან 60-მდე
სიხშირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	7-დან 26-მდე
ავტომობილები	6-დან 19-მდე
კომპიუტერული ტექნიკა	6-დან 23-მდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	7-დან 30-მდე

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ გამოყენებად ნივთებს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც აქტივებისგან ელიან კომისიისთვის სარგებლის მოტანას. შემდეგი ფაქტორები არის უპირველესად გათვალისწინებული: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რაც გამოწვეულია სამუშაო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან მოცემული აქტივის მეშვეობით გაწეულ მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების 10%-იანი ცვლილება ხელმძღვანელობის შეფასებისგან 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოიწვევს ცვეთის შემცირებას ან გაზრდას შესაბამისად 62 ათასი და 70 ათასი ლარით (2022: შემცირებას 26 ათასი ლარით და ზრდას 118 ათასი ლარით).

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშალები (გაგრძელება)

კომისიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშალები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	მიწა	შენობა - ნაგებობები	სიხშირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავტომობილები	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	8	3,327	4,693	627	1,274	786	147	10,862
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 1 იანვარს	-	(835)	(2,183)	(321)	(587)	(459)	(93)	(4,478)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	8	2,492	2,510	306	687	327	54	6,384
დამატებები	-	-	24	18	321	5	6	374
ცვეთის ხარჯი	-	(75)	(308)	(44)	(137)	(58)	(10)	(632)
გასვლები	-	-	(4)	(6)	(13)	(5)	(3)	(31)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	2,417	2,222	274	858	269	47	6,095
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	3,327	4,713	639	1,582	786	150	11,205
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(910)	(2,491)	(365)	(724)	(517)	(103)	(5,110)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	8	2,417	2,222	274	858	269	47	6,095
დამატებები	-	-	-	9	759	193	14	975
ცვეთის ხარჯი	-	(75)	(295)	(44)	(179)	(60)	(6)	(659)
გასვლები	-	-	-	(3)	(2)	-	(1)	(6)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8	2,342	1,927	236	1,436	402	54	6,405
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8	3,327	4,713	645	2,339	979	163	12,174
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(985)	(2,786)	(409)	(903)	(577)	(109)	(5,769)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8	2,342	1,927	236	1,436	402	54	6,405

9 არამატერიალური აქტივები

არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ლიცენზიებით.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია

6-დან 21-მდე

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

ათასი ლარი	ლიცენზიები	პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	26	1,740	2	1,768
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 1 იანვარს	(4)	(1,469)	(1)	(1,474)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	22	271	1	294
დამატებები	-	6	-	6
ცვეთის ხარჯი	(4)	(36)	(1)	(41)
გასავლები	-	(68)	-	(68)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	18	173	-	191
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	26	1,678	2	1,706
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	(8)	(1,505)	(2)	(1,515)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	18	173	-	191
დამატებები	51	21	17	89
ცვეთის ხარჯი	(6)	(30)	(2)	(38)
გასავლები	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	63	164	15	242
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	77	1,699	19	1,795
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	(14)	(1,535)	(4)	(1,553)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	63	164	15	242

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 36 თვის გამოცდილებას და ამ პერიოდისთვის შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია პერსპექტიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

<i>ათასი ლარი</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1,136	1,068
სხვა ფინანსური მოთხოვნები	4	2
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(36)	(35)
<i>სულ ფინანსური აქტივები* სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</i>	1,104	1,035
გადახდილი ავანსები	25	39
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,129	1,074

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

<i>ათასი ლარი</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	1	1
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	8,721	7,206
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,722	7,207

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რისკის ხარისხი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

<i>ათასი ლარი</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები BB" რეიტინგის მქონე ბანკებში	8,717	7,202
მიმდინარე ანგარიშები B+" რეიტინგის მქონე ბანკებში	5	5
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,722	7,207

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

<i>ათასი ლარი</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	65	74
სხვა ფინანსური ვალდებულება	26	90
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში	91	164
მიღებული ავანსები	149	637
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	240	801

იხილეთ შენიშვნა 21 ფინანსური ვალდებულების ყველა კლასისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

13 ამონაგები რეგულირების საფასურიდან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომისიის ამონაგები შედგება ამონაგები რეგულირების საფასურიდან და საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებიდან.

ამონაგები რეგულირების საფასურიდან. ამონაგები რეგულირების საფასურიდან წაროდგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სფეროს ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილ რეგულირების საფასურს. ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის შესაბამისად.

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს იმ ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომისია მოელის, ხოლო მისაღები თანხები წარმოადგენს მომავალი პოტენციური ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას არაგაცვლითი ოპერაციებიდან, რომელიც აღიარდება ფასდათმობების გარეშე და დადგენილია ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს ავტორიზებული პირებისათვის, წინა თვის საოპერაციო შემოსავლის 0.75% და 0.5%-ის შესაბამისად.

არაგაცვლითი ოპერაცია წარმოადგენს იმ ტრანზაქციებს, რომლებიც დაანგარიშდება მომხარებლებისგან მიღებული ანაზღაურებით და რომლის შესაბამისი ეკვივალენტი ღირებულების სერვისი შესაძლოა კომისიამ არ გაწიოს.

ათასი ლარი	2023	2022
ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება	11,761	10,521
მაუწყებლობის რეგულირება	513	432
სულ ამონაგები რეგულირების საფასურიდან	12,274	10,953

2023 წლის განმავლობაში კომისიამ შემოსავლების 73% მიიღო ორი ოპერატორისგან - შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი (2022 წლის განმავლობაში კომისიამ ამავე ორი ოპერატორისგან მიიღო შემოსავლების 73%).

14 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებებიდან

საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან. საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან წარმოადგენს რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილ საიჯარო გადასახადებს. მოცემულ რესურსებზე ფასები განსაზღვრულია კანონმდებლობით და რესურსით სარგებლობისთვის გადასახდელი თანხის სრულად გადახდა ხორციელდება წინასწარ ავტორიზებული და არაავტორიზებული პირების მიერ. ხოლო მრავალწლიანი რადიოსიხშირული რესურსის უფლებიდან - წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის საფუძველზე. საიჯარო შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად წრფივი მეთოდის გამოყენებით. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია რესურსებით სარგებლობის უფლებების განახლება.

14 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებიდან (გაგრძელება)

<i>ათასი ლარი</i>	2023	2022
ამონაგები გაცემული ნუმერაციის რესურსის უფლებიდან	2,506	2,454
ამონაგები გაცემული რადიოსიხშირული რესურსის უფლებიდან	868	895
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,374	3,349

კომისიის წინასწარ მიღებული ავანსები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს წინასწარ გადახდილ საიჯარო ავანსებს შემდეგნაირად:

<i>ათასი ლარი</i>	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა	312	220
ნუმერაციის რესურსით სარგებლობა	1,273	1,245
სულ მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	1,585	1,465

15 ფინანსური შემოსავალი

კომისიის ფინანსური შემოსავალი 2023 და 2022 წელს არის 951 ათასი და 578 ათასი ლარი. 2023 წელს 951 ათასი ლარი ფინანსური შემოსავალი მიღებულია საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებიდან (2022 წელს 578 ათასი ლარი).

16 მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი

<i>ათასი ლარი</i>	2023	2022
ხელფასები და კომპენსაციები	7,201	6,322
პრემია	1,650	1,448
სულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	8,851	7,770

მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებში შესულია მედიაწიგნიერების ხარჯები (ააიპ მედიააკადემიის გარეშე), რომელიც 2023 წლის განმავლობაში 438 ათასი ლარია (2022 წლის განმავლობაში - 300 ათასი ლარი).

17 მიღებული მომსახურება და გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი

მიღებული მომსახურება

ათასი ლარი	2023	2022
ელექტრონული ონლაინ მომსახურება	562	437
მივლინების ხარჯები	355	282
საკონსულტაციო მომსახურება	263	267
სოციალური მედიის ხარჯი	196	187
დაცვის მომსახურება	182	146
კომუნალური ხარჯი	112	109
დასუფთავების ხარჯი	93	100
ტელეკომუნიკაცია	33	35
საწევრო ხარჯები	21	25
სხვა ხარჯი	165	131
სულ მიღებული მომსახურება	1,982	1,719

გამოყენებული ნედლეული და მასალები

ათასი ლარი	2023	2022
სარემონტო მასალები	84	79
საწვავი	59	84
სხვა ხარჯი	8	4
სულ გამოყენებული ნედლეული და მასალები	151	167

მიღებული მომსახურება და გამოყენებული ნედლეული და მასალების ხარჯი მოიცავს მედიაწიგნიერების ხარჯებს (ააიპ მედიააკადემიის გარეშე), რომელმაც 2023 წლის განმავლობაში შეადგინა 231 ათასი ლარი (2022 წელი - 156 ათასი ლარი).

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნას სარჩელი კომისიის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომისია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების განხილვა. კომისიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალურ ტენდენციებს. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომისიის საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები (გაგრძელება)

მენეჯმენტი აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომისიის სრულუფლებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ ეს ინსტრუქციები გავრცელდება იმ სექტორზე, რომლებშიც კომისია ოპერირებს.

19 ფინანსური რისკების მართვა

კომისიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომისიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, 2023 წლის 31 დეკემბრისა და შესადარისი პერიოდების მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომისიის სამეურნეო საქმიანობის ერთი-ერთი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას.

ლიმიტები. კომისია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან, გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. კომისიის მომხმარებლებზე დაფუძნებულ დემოგრაფიას, რომელიც მოიცავს იმ ინდუსტრიის, რომელშიც კომისია მოღვაწეობს დეფოლტის რისკს, საკრედიტო რისკზე ნაკლები გავლენა აქვს. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რისი მიხედვითაც ყველა ახალი მომხმარებელი განიხილება ინდივიდუალურად კრედიტუნარიანობაზე მანამ, სანამ მათ, კომისიის სტანდარტულ გადახდებისა და მიწოდების პირობებს არ შესთავაზებენ. კომისიის განხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, როცა ისინი ხელმისაწვდომია, და გარკვეულ შემთხვევებში საბანკო რეკვიზიტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. კომისია მიმართავს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის (შენიშვნა 10).

საბაზრო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავალუტო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20 გაუნაწილებელი ფონდების მართვა

კომისია გაუნაწილებელ ფონდებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობისთვის საჭირო საოპერაციო და გრძელვადიანი აქტივების ხარჯებისთვის, რათა დააკმაყოფილოს კომისიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები. ეს მიიღწევა ეფექტური ფულის მართვით, ძირითადად კომისიის ფულადი სახსრების ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი გეგმებით. წლის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება კომისიის გაუნაწილებელი ფონდების მართვის მიდგომებში. გაუნაწილებელმა ფონდებმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 14,758 ათასი ლარი (2022: 12,311 ათასი ლარი).

21 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომლისთვისაც, სამართლიანი ღირებულება გამოვლენილია. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომისიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უთანაბრდება მათ საბალანსო ღირებულებებს. ყველა ფინანსური აქტივი, გარდა ნაღდი ფულისა, მიეკუთვნება მე-2 დონეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი მინიჭებულია 1 დონეზე. "

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დადგენილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ვალდებულებები. დადგენილი დაფარვის ვადებით დადგენილი სამართლიანი ღირებულების ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

22 პერიოდის შემდგომი მოვლენები

ააიპ „მედიასაკადემიის“ ერთ-ერთი მიმართულების „მედიასკოლის“ გრძელვადიანი სასწავლო კურსების ამოქმედების ფარგლებში შეიქმნა ნიუსრუმი, რომლის ტექნიკური აღჭურვისთვისაც 2024 წლის პირველ კვარტალში კომისიამ შეისყიდა 693 ათასი ლარის ღირებულების რადიო, ტელე და ვიდეო აპარატურა.

comcom.ge